

ვის გადაუსხამენ ჭიპაშვილის სისხლს?
A4



მაწანწალა ბავშვების აღრიცხვა ხელახლა დაიწყო
A4



"თქვენი აფხაზეთი"
A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი ოთხშაბათი, 15 ივნისი, 2005 წელი. №133 (993) ფასი 50 თეთრი

# თვითმმართველობის რეალური პრობლემები და პოპულიზმი

*დღეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ოფიციალური განაცხადი შევა, რომლის ავტორები - სახალხო ფორუმის საკოორდინაციო საბჭო და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია - ცესკო-ს რეფერენდუმისთვის ხელმოწერების შეგროვების ნებართვას მოსთხოვენ. საუბარია ინიციატივაზე, რომელიც მერებისა და გამგებლების საერთო-სახალხო წესით არჩევის მიზნით, რეფერენდუმის ჩატარებას ითვალისწინებს. ამისთვის კი საინიციატივო ჯგუფმა მოსახლეობაში 200 ათასი ხელმოწერა უნდა შეაგროვოს. ამ პროცესის დასაწყებად რეფერენდუმის გამართვის მსურველებმა ნებართვა სწორედ ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან უნდა მიიღონ. სახალხო ფორუმის საკოორდინაციო საბჭოს წევრის ირაკლი მელაშვილის განცხადებით, ხალხმა რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა მას დღეს მოქმედი საარჩევნო სისტემით არჩეული მერები და გამგებლები.*

თამარ მჭედლიშვილი

დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ქალაქების მერები პირდაპირი წესით ირჩევა. გამონაკლისს მხოლოდ თბილისი და ფოთი წარმოადგენს. ამ ქალაქების თავკაცებს უშუალოდ პრეზიდენტი ნიშნავს. რაც შეეხება პირველი და მეორე დონის თვითმმართველობებს, პირველი დონის საკრებულო მაჟორიტარული წესით ირჩევა, მეორე დონე კი ე.წ. ასოცირებულ საკრებულოს წარმოადგენს, რომელიც პირველი დონის საკრებულოების თავმჯდომარეებისგან შედგება. სწორედ მათი შემადგენლობიდან ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი რაიონების გამგებლებს.

ადგილობრივი არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მერებისა და გამგებლების არჩევის პრინციპის კრიტიკა ის მთავარი კოზირი გახდება,

გაგრძელება A3 გვერდზე

# საგაზაფხულო სესია მთავრდება, საპარლამენტო ბრძოლები კი გრძელდება

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიცია ცესკო-ს ახალი შემადგენლობის საკანონმდებლო ორგანოში გამოცხადებას ითხოვს და მისგან ახსნა-განმარტებებს ელოდება. პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე "კონსერვატორები" და "მემარჯვენეები" დაჟინებით ამტკიცებდნენ, რომ "ნაციონალური მოძრაობის" პარტიული ბოსები გამგებლებთან და სხვა ხელმძღვანელებთან კონფიდენციალურ შეხვედრებს მართავენ და მათ გარკვეულ ინსტრუქციებს აძლევენ. კერძოდ, მმართველი პარტიის წარმომადგენლები ითხოვენ საარჩევნო ადმინისტრაციების ქვედა რგოლების დასაკომპლექტებელ ხუთკაციან სიას, რომლის "საიმედობაზეც" ადგილობრივი ხელისუფლების თავკაცები თანამდებობებით აგებენ პასუხს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს ოპოზიციის ბრალდებები სასაცილოდ არ ჰყოფნით. ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი საიდუმლო შეკრებების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მსგავს ღონისძიებებში მას და "ნაციონალური მოძრაობის" სხვა ლიდერებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

გაგრძელება A2 გვერდზე



*ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრებმა, ოპოზიციონერებმა ზვიად ძიძიგურმა და მამუკა კაციტაძემ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები გამოთქვეს.*

# მეფე უდანაშაულოა, გაუმარჯოს მეფეს!

მაიკლ ჯექსონის სასამართლო ოდისეა დასრულდა

B3





# როცა მაჟორიტარი საიდუმლოს ვერ უმხელს ამომრჩეველს

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*პროექტი, რომელსაც "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" კახეთში ახორციელებს, მიზნად ისახავს მაჟორიტარი დეპუტატის ამომრჩევლებთან დაახლოებას და ბიუროს მუშაობის გაუმჯობესებას. მაგრამ, როგორც ირკვევა, დეპუტატთა უმრავლესობას არასამთავრობოებთან მუშაობის სურვილი არ გააჩნია.*

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველა მაჟორიტარი დეპუტატი ვალდებულია, ყოველ ექვს თვეში ერთხელ მაინც, ამომრჩევლის წინაშე წარდგეს და მას მუშაობის ანგარიში ჩააბაროს, მაგრამ რომელ ანგარიშვალდებულებაზეა საუბარი, როცა მაჟორიტარი დეპუტატები არჩევნების შემდეგ ამომრჩევლებს თვალითაც არ უნახავთ. მაგალითად, გურჯაანელების რჩეულ დეპუტატს ნიკოლოზ კვეზერელს არჩევნების შემდეგ სულ ორჯერ გაახსენდა რაიონი, უფრო სწორად - მაჟორიტარის ბიურო, ისიც სუფრაზე მოლხენის შემდეგ. ლაგოდეხელების რჩეული დეპუტატი ლაშა ნაცვლიშვილი რაიონში ჩასასვლელად თავს მაშინ იწუხებს, როცა ამომრჩევლები მისი საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებით იმუქრებიან. სიღნაღის და დედოფლისწყაროს მაჟორიტარები კი მაშინ ჩადიან ქიზიყში, როცა ალოობა ახლოვდება. საგარეჯოს დეპუტატ თენგიზ ოქროცვარიძეს იქაურები მხოლოდ სპორტულ მოედნებზე თუ ნახავენ, რადგან მას ბიუროც კი არ გააჩნია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მაწანწალა ბავშვების აღრიცხვა ხელახლა დაიწყო

თამარ დვალი

*მას შემდეგ, რაც გლდანის მიმღებ-გამანაწილებელმა ცენტრმა მუშაობა შეწყვიტა, მაწანწალა ბავშვების შესახებ არსებული მონაცემები დაიკარგა. ამჟამად, არასრულწლოვანთა ინსპექცია ქუჩაში მყოფი ბავშვების ხელმეორედ აღწერაზე მუშაობს. თბილისის არასრულწლოვანთა ინსპექციის ხელმძღვანელის, გიორგი პაპავას თქმით, პროფილაქტიკური სამუშაოები უკვე დაწყებულია.*

გლდანში, სადაც ადრე ბავშვთა მიმღებ-გამანაწილებელი ცენტრი ფუნქციონირებდა, ორი კვირის წინ, თანამედროვე ტიპის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი გაიხსნა. ადრე აქ ბავშვები პოლიციელების მიერ ჩატარებული რეიდის შედეგად ხვდებოდნენ, ახლა მიდგომა შეიცვალა და ბავშვების ამ ცენტრში მოსახვედრად, მათი კეთილი ნებაა საჭირო. ცენტრი 70 ბავშვზეა გათვლილი, დღეს იქ 40 ბავშვი ცხოვრობს, აქედან ყველაზე პატარა 7 წლისაა.

**"ჩვენმა სამსახურმა თბილისის მასშტაბით შემოიარა ის ტერიტორიები, სადაც მაწანწალა ბავშვები დგანან. მათ გაფრთხილება მივეცით და ხელწერილები დავაწერინეთ, რომ მათ, ვისაც ოჯახები ჰყავთ, დაუბრუნდნენ მშობლებს. აღსანიშნავია, რომ მაწანწალა ბავშვების დიდი ნაწილი**

გაგრძელება A4 გვერდზე

## ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

იურიდიული ოფისი ,,გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

## ამინდი

| | 15/06 | 16/06 | 17/06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 30 | 26 | 28 |
| ქუთაისი | 30 | 18 | 24 |
| სოხუმი | 26 | 21 | 24 |
| დმანისი | 26 | 21 | 23 |
| გორი | 28 | 21 | 25 |
| ონი | 25 | 14 | 21 |
| ზუგდიდი | 30 | 21 | 26 |
| ახმეტა | 28 | 24 | 28 |
| გაგრა | 25 | 22 | 22 |
| სამტრედია | 32 | 21 | 27 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |

| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ევროისტორია | B6 |
| სამართალი | A7 | ტენდერი | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებული საზოგადოებრივი დამცველისა და მისი თანაშემწის შესარჩევი საკონკურსო კომისია აცხადებს**

**კონკურსს**

საქართველოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელ კომისიათან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

**კანდიდატს მოეთხოვება:**

1. უმაღლესი იურიდიული განათლება.
2. კომუნიკაციების სფეროსა და მომხმარებელთა უფლებების კვალიფიციური ცოდნა.
3. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.

**სასურველია, კანდიდატს ჰქონდეს გამოცდილება ადამიანის უფლებების დაცვის სფეროშიც.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში (მაჩაბლის ქ. N11) უნდა წარადგინონ საბუთები "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

**საბუთების მიღება იწარმოებს 2005 წლის 8 ივლისის 19.00 სთ-მდე. საკონტაქტო პირი - ია ანთაძე.**

**კონკურსი**

**საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პროგრამა**

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი აცხადებს კონკურსს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებულ ერთწლიან ინტენსიურ პროგრამაში. სწავლება წარიმართება ინგლისურ ენაზე, ძირითადი სამუშაოდან მოწყვეტის გარეშე და მას განახორციელებენ აშშ-ისა და ევროპის წამყვანი საზოგადოებრივი პოლიტიკის კვლევისა და საგანმანათლებლო ცენტრის "RAND"-ის, ასევე სტენფორდის, კოლუმბიის და სხვა უნივერსიტეტების სპეციალისტები.

**ერთწლიანი პროგრამა ითვალისწინებს ინტენსიურ სწავლებას შემდეგ სფეროებში:**

- ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი (3 თვე);
- საგარეო პოლიტიკის ანალიზი და საერთაშორისო ურთიერთობები (3 თვე);
- საერთაშორისო უსაფრთხოებისა და თავდაცვის ანალიზი (3 თვე);
- კვლევის მეთოდები (1 თვე);
- პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში (1 თვე);
- გლობალური ტრანსფორმაცია და განვითარება (1 თვე);

სწავლების ფორმატი ითვალისწინებს სხვადასხვა სფეროებში მოღვაწე ქართველი და უცხოელი ექსპერტების ვიზიტებსა და მათთან დისკუსიების გამართვას. პროგრამის პერიოდში მიღწეული წარმატებებისა და მომზადებული მასალების დონის გათვალისწინებით, ხუთი საუკეთესო სტუდენტი მიიღებს ყოველთვიურ სტიპენდიას. კურსდამთავრებულებზე გაიცემა სათანადო სერტიფიკატი.

**მოთხოვნები:** უმაღლესი განათლება, ინგლისური ენის (კარგი) და მათემატიკის საბაზისო ცოდნა, პროფესიული წერის უნარჩვევები, საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებისადმი დიდი ინტერესი.

**საბუთები:**

- ბიოგრაფიული მონაცემები (რეზიუმე ინგლისურ ენაზე);

ერთგვერდიანი განცხადება, რომელშიც აღწერილი იქნება აპლიკანტის დაინტერესება აღნიშნული პროგრამით (ინგლისურ ენაზე);

- ორი სარეკომენდაციო წერილი (ინგლისურ ენაზე).

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 25 ივნისი, 2005 წ. აპლიკანტები გაივლიან წერით ტესტებს ინგლისურ ენაში და საბაზისო მათემატიკაში. შერჩეული აპლიკანტები გაივლიან გასაუბრებას.

**მისამართი: ჩიტაძის ქ.3ა, თბილისი, 0108, საქართველო.**
**ტელ: (995 32) 24 35 55;**
**ფაქსი: (995 32) 24 35 50**
**ვებ-გვერდი: www.gfsis.org**

**დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ ნინი ბაქრაძეს - nini@gfsis.org**

**შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).**

**dato.gogichaishvili@aec.ge**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**

# საგაზაფხულო სესია მთავრდება, საპარლამენტო ბრძოლები კი გრძელდება

პირველი გვერდიდან

ოპოზიციის გუშინდელ განცხადებას პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე იმით ხსნის, რომ გარკვეული პოლიტიკური ძალები საარჩევნო კომისიების დისკრედიტაციით არიან დაინტერესებულნი.

**"შიშს დიდი თვალები აქვს - საარჩევნო მაქინაციები ჩვენს ხელისუფლებას ნამდვილად არ სჭირდება. მით უმეტეს, მომავალი არჩევნები მთელი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში იქნება მოქცეული. გიჟი უნდა იყო, ჯოხის ბოლოს დაარტყა ფეხი, როდესაც იცი, რომ მისი მეორე ბოლო შენი თავისკენ არის მიმართული,"** - აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი. საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად, იგი თავისი სატელეფონო საუბრების მოსმენის "ნებასაც" კი იძლევა.

ასეთი "არგუმენტის" მიუხედავად, მაჭავარიანის უცოდველობისა ოპოზიციას მაინც არ სჯერა. "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენლის მამუკა კაციტაძის თქმით, წინა კვირას იგი რამდენიმე რეგიონში იმყოფებოდა და იმაზე, რასაც ვიცე-სპიკერი მტკიცედ უარყოფს (კონფიდენციალური შეხვედრები), ყველგან, როგორც რეალურ ფაქტზე, ისე საუბრობენ.

**"თუ ცესკო როგორც უნდოდათ, ისე დააკომპლექტეს, რატომ უნდა გვიკვირდეს, რომ საოლქო და საუბნო სარჩევნო კომისებსაც იგივე ბედი ელის?"** - საკუთარი "გულუბრყვილობა" აოცებს ოპოზიციას.

■ ■ ■

ხუთშაბათისთვის დანიშნული სამთავრობო საათი, რომელზეც ძალოვანი უწყებების პირველ პირებს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებზე უნდა ესაუბრათ, აღარ ჩატარდება. საპარლამენტო უმრავლესობის შეგონებამ გაჭრა: ბოლოს და ბოლოს, ოპოზიციამ "დაიჯერა", რომ დაუშვებელია იმ საქმეზე საჯაროდ მსჯელობა, რომლის ძიებაც მიმდინარეობს. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, დეტალურ ინფორმაციას დეპუტატები მხოლოდ გამოძიების დასრულების შემდეგ მიიღებენ, მანამდე კი სადეპუტატო შეკითხვაზე გენერალური პროკურორის წერილობითი პასუხით უნდა დაკმაყოფილდნენ.

თუმცა, გაურკვეველი ვადით მოლოდინზე ყველა როდია თანახმა. დეპუტატ კახა კუკავას თქმით, თუ შინაგან საქმეთა მინისტრი და გენერალური პროკურორი სამთავრობო საათზე არ გამოცხადდებიან, ამით ისინი დაარღვევენ კონსტიტუციას, რომლის 59-ე მუხლშიც წერია: **"პარლამენტის წევრთა, სულ ცოტა, ათკაციან ჯგუფს, საპარლამენტო ფრაქციას უფლება აქვთ, შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებულნი არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე."**

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გარემოებებზე საუბრის გარდა, სამთავრობო საათზე მიწვეულ ვანო მერაბიშვილს, აგრეთვე, პასუხი უნდა გაეცა სახალხო დამცველის მოხსენებაში მოყვანილ ფაქტებზე, რომლებიც ცალკეული პოლიციელების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებას შეეხებოდა. თუმცა, როგორც გაირკვა, სადეპუტატო შეკითხვის ავტორი ფიქრია ჩიხრაძე აღნიშნულთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა მინისტრის პარლამენტში გამოცხადებას საჭიროდ აღარ მიიჩნევს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*უმრავლესობა უარყოფს ოპოზიციის ბრალდებებს ქვედა დონის საარჩევნო კომისიებზე ზეგავლენის შესახებ. "შიშს დიდი თვალები აქვს - საარჩევნო მაქინაციები ჩვენს ხელისუფლებას ნამდვილად არ სჭირდება," - ამბობს მიხეილ მაჭავარიანი.*

■ ■ ■

გუშინ დეპუტატებმა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში მოისმინეს. მიუხედავად იმისა, რომ აკაკი ბობოხიძე ამ კომისიის თავმჯდომარედ, სულ რაღაც, ერთი თვის წინათ აირჩიეს, კოლეგების მხრიდან მწვავე კრიტიკის მოსმენა მას მაინც მოუხდა.

**"ჯერჯერობით, შედეგი მხოლოდ ის არის, რომ ახალ თავმჯდომარეს უკეთესი კაბინეტი აქვს და თავის აპარატში რამდენიმე ადამიანი დაასაქმა,"** - უკმაყოფილებას გამოთქვამს რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი.

დროებითი კომისიის მიმართ კიდევ უფრო მეტი პრეტენზიები აქვს მის თანაპარტიელ ივლიანე ხაინდრავას. მისი თქმით, საანგარიშო მოხსენებაში საუბარია თამაზ დიასამიძის წიგნის გამოცემასა და გალის რაიონში მელიორაციის პრობლემებზე, მაშინ, როდესაც არ გაკეთებულა 1989-1992 წლებში ცხინვალის რეგიონში მომხდარი ტრაგედიის ანალიზი და შეფასებები, არაფერია ნათქვამი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგების კონცეფციაზე და ა.შ.

განხილვის დროს დეპუტატები ცხინვალის რეგიონში დღეს შექმნილ რთულ ვითარებასაც შეეხნენ. აღსანიშნავია, რომ ამასთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა, ოპოზიციონერებმა ზვიად ძიძიგურმა და მამუკა კაციტაძემ, ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები გამოთქვეს. პირველი მათგანის მტკიცებით, **"ლიახვის ხეობის მოსახლეობა ძროხებსა და კარ-მიდამოს ყიდის და მშობლიურ ადგილებს ტოვებს,"** "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი კი აცხადებს, რომ **"შეიძლება, ადგილობრივი მოსახლეობა ძროხებს მართლაც ყიდის, მაგრამ სადმე კი არ გარბის, არამედ იმ ფულით თავისი უსაფრთხოების განმტკიცებისთვის საჭირო საშუალებებს იძენს."**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*სხდომის პარალელურად პარლამენტის შესასვლელთან გარემოვაჭრეთა საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. გარემოვაჭრეებმა, რომლებსაც დედაქალაქის საკრებულოს ზოგიერთი ოპოზიციონერი წევრი ხელმძღვანელობდა, პარლამენტის შენობაში შეჭრაც სცადეს. დაცვისა და პოლიციის ძალისხმევით ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.*

# დაკარგულ ოთხ ქართველს "ტექსტილის" დასახლებაში ეძებენ

**"თუ დღის ბოლომდე დაკარგულთა შესახებ არანაირი კონკრეტული ინფორმაცია არ გვექნება, ძებნას, სამართალდამცველების გარეშე, ჩვენ თავად განვახორციელებთ,"** - აცხადებენ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გაუჩინარებული ოთხი ქართველის ოჯახის წევრები და ახლობლები, რომლებიც თვითაღიარებული რესპუბლიკის კონტროლირებად ტერიტორიაზე გუშინ დაწყებულ ძებნის ოპერაციას უნდობლობას უცხადებენ.

ოსური მილიციის წარმომადგენლებისგან შემდგარ თითო სამძებრო ჯგუფს გუშინ დამკვირვებლის სტატუსით შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თითოთითო წარმომადგენელი დაჰყვებოდა ცხინვალის ეგრეთ წოდებულ "ტექსტილის" დასახლებაში. შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ხაჭაპურიძეები და ლომიძე სწორედ ცხინვალის ე.წ. "ტექსტილის" დასახლების კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა - რუდიკ ბესტაევმა, მეტსახელად "ლულუმ", და აცამაზ კოჩიევმა გაიტაცეს.

გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ თბილისში იმყოფებოდა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი კულახმეტოვი. ის კონფლიქტების დარეგულირების საკითხში სახელმწიფო მინისტრს გოგა ხაინდრავას შეხვდა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა შედგა და გავრცელებული ინფორმაციითვე, საუბრის თემა კონფლიქტის ზონიდან გაუჩინარებული ოთხი ქართველის ძებნის ოპერაციასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხებოდა. თუმცა, კონკრეტულად, რა სიახლეა ძებნის ოპერაციაში, არც სახელმწიფო მინისტრს და არც შერეული სამშვიდობო ძალების სარდალს შეხვედრის შემდეგ არ დაუკონკრეტებიათ.

შეგახსენებთ, რომ გუშინწინ უკვე ამოიწურა ვადა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ცხინვალში გამართული საათნახევრიანი მოლაპარაკებისას გიორგი ხაინდრავამ კოკოითს მისცა, რომლის მიხედვითაც, ცხინვალის ხელისუფლებას დაკარგული ქართველების ადგილ-სამყოფელის დასადგენად კონკრეტული ზომები უნდა მიეღო.

ერთი სიტყვით, ოსურმა მილიციამ გუშინ აქტიურად დაიწყო დაკარგულთა ძებნა. ლიახვის ხეობის მოსახლეობა ოსი სამართალდამცველების მიერ განხორციელებულ ოპერაციას უნდობლობას უცხადებს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ბრიუსელში, ევროპარლამენტში საქართველოსა და ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომა გაიმართა.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ხელმძღვანელობს. ევროპარლამენტის საქართველოსთან თანამშრომლობის ოფიციალურ დელეგაციაში ევროკავშირის სამი ძირითადი სტრუქტურის: ევროკომისიის, ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს ოფიციალური წარმომადგენლები შედიან.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-ევროკავშირის სამომავლო პერსპექტივები. ოფიციალურად პირველად დაფიქსირდა, რომ ევროკავშირი მზად არის, იფიქროს საქართველოსთან ახალ კონტრაქტუალურ ურთიერთობებზე - საქართველოს სამომავლო კანდიდატობაზე.

ევროკავშირი გააქტიურებს საქართველოსთან თანამშრომლობას ქართულ-რუსული და ქართულ-ამერიკული ურთიერთობების, საზღვრის მონიტორინგის აღდგენისა და კონფლიქტების მოგვარების საქმეში. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ედუარდ კოკოითს რუსეთთან მეგობრობა დაუფასეს. რუსეთის გმირთა კომიტეტის წევრმა იგორ გრუდნოვმა კოკოითს ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის, ეგრეთ წოდებული "მამულის ფარის" პირველი ხარისხის ორდენი გადასცა.

რუსეთის გმირთა კომიტეტის წევრები ცხინვალში 12 ივნისს ჩავიდნენ და ოს "უმცროს ძმებთან" ერთად რუსეთის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეიდან ახალციხეში, ორფელის სამხედრო პოლიგონზე საქართველოს შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიანი წვრთნები იწყება.

წვრთნების კოდური სახელწოდებაა "ჯავშანი 2005" და მასში შეიარაღებული ძალების კუთვნილი 100 ერთეული ჯავშან-ტექნიკა იქნება ჩართული. სწავლებას უშუალოდ უხელმძღვანელებს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი, რომელიც ერთ თვის განმავლობაში, წვრთნების დასრულებამდე ორფელოში დარჩება.

სწავლების მონაწილე საბრძოლო ტექნიკა ვაზიანის, ქუთაისისა და გორის სამხედრო ბრიგადებიდან ორფელოში უკვე გადაიტანეს.

"ჯავშანი 2005" ერთი თვის შემდეგ საზეიმოდ დაიხურება. საზეიმო ცერემონიას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი დაესწრებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოთხშაბათს თბილისში დსთ-ს წევრი ქვეყნების რკინიგზების ხელმძღვანელთა საბჭოს რიგით 41-ე სხდომა გაიმართება.

შპს "საქართველოს რკინიგზაში" აცხადებენ, რომ სხდომას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი დავით ონოფრიშვილი გახსნიან.

მათივე ინფორმაციით, სხდომაზე დასასწრებად თბილისში დსთ-ს წევრი ქვეყნების რკინიგზელთა გარდა, საქართველოს მეზობელი ქვეყნების რკინიგზების პირველი პირები ჩამოვლენ. სხდომაში მონაწილეობას 20-მდე ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს.

"საქართველოს რკინიგზის" პრესსამსახურის ინფორმაციით, სხდომაზე დაგეგმილია ბოლო ერთი წლის განმავლობაში რკინიგზების მუშაობის საკითხების და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა.

სამსახურის ინფორმაციით, სხდომის ფარგლებში ასევე ორმხრივი შეხვედრები გაიმართება. კერძოდ, დაგეგმილია დავით ონოფრიშვილის და რუსეთის საგზაო მიმოსვლის მინისტრის გენადი ფადეევის შეხვედრა, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად, აფხაზეთის გავლით, საქართველოსა და რუსეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხებზე იმსჯელებენ.

ასევე დაგეგმილია საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის რკინიგზების პირველი პირების შეხვედრა, რომელზეც ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პროექტს განიხილავენ.

*24 საათი*

■ ■ ■

**დუშეთი.** დუშეთის რაიონის პოლიციელებმა, მეზობლის მკვლელობის ბრალდებით, დააკავეს ამავე რაიონის სოფელ ფუძნარის მკვიდრი, 40 წლის მინდია იარაჯული.

შს სამინისტროს ინფორმაციით, 30 წლის ჯიმშერ ბუჯიაშვილი ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკებისას თოფიდან გასროლით მოკლა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.**

**პირობები:**

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

**საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## სეპარატისტული "სამიტი"

თვითაღიარებული რესპუბლიკების - აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის პრეზიდენტების მომავალი შეხვედრის შესახებ ინფორმაცია გაზეთ "რესპუბლიკა აბხაზიას" სერგეი შამბამ მიაწოდა.

მისი თქმით, ეს შეხვედრა ჯერ კიდევ მაისში უნდა გამართულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში ვადებს მათთვის მნიშვნელობა არა აქვს.

"ჩვენ არ გვეჩქარება. ამ შეხვედრისთვის მშვიდად მოვემზადებით და როცა ყველა მონაწილისთვის მოხერხებული იქნება, მაშინ შედგება," - ბრძანა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მან აღნიშნა, რომ მოსკოვში ერთ-ერთი ვიზიტისას სერგეი ბაგაფში დნესტრისპირეთის პრეზიდენტს იგორ სმირნოვსა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელს ედუარდ კოკოითს შეხვდა. სწორედ იქ გადაწყვიტეს ოფიციალური შეხვედრის ორგანიზება.

"მომავალი შეხვედრით ჩვენ გვინდა, დემონსტრირება გავუკეთოთ ჩვენს საერთო ინტერესებს. თვითაღიარებული რესპუბლიკების ხელმძღვანელობა აპირებს, ერთად განიხილოს დაგროვილი პრობლემები, ბოლო დროს ჩვენს რეგიონებში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ერთმანეთს შთაბეჭდილებები გაუზიარონ და შეაფასონ. ამდენად, ასეთი შეხვედრები საკმაოდ სასარგებლოა," - განაცხადა შამბამ.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## თბილსრესის მე-3 ენერგობლოკი ჩაირთო

ენერგოსექტორში დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო მოსალოდნელი ენერგოდეფიციტის შესამცირებლად სამშაბათს თბილსრესის მე-3 ენერგობლოკი ჩაირთო.

როგორც საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში აცხადებენ, ენერგოობიექტის გამართული მუშაობის შემთხვევაში, ქვესადგურ "დიდ ზესტაფონზე" დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოები 16-18 ივნისს ჩატარდება. მე-3 ენერგობლოკი ენერგოსისტემას 130 მეგავატ სიმძლავრეს შემატებს, რაც სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოსავლეთ საქართველოს ენერგომომარაგებაში დეფიციტს შეამსუბუქებს.

ქვესადგურ "დიდ ზესტაფონზე" სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება 10 ივნისს იგეგმებოდა, რაც მოსალოდნელი ენერგოდეფიციტის გამო გადაიდო. ენერგოსისტემაში დამატებითი სიმძლავრეების გაზრდის გარეშე, რეაბილიტაციის პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში ელექტროენერგიას მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები მიიღებდნენ, პიკის საათებში შეიზღუდებოდა თბილისის ელექტრომომარაგებაც.

ელექტროსისტემაში ვარაუდობენ, რომ თბილსრესის მიერ გამომუშავებული 130 მეგავატით ელექტრომომარაგების გრაფიკები აღარ გამკაცრდება.

"დიდი ზესტაფონის" რეაბილიტაცია გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) მიერ გამოყოფილი 12 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტით მიმდინარეობს.

ელექტროსისტემაში აცხადებენ, რომ ქვესადგურის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ ენერგოსისტემის საიმედოობა გაუმჯობესდება.

*24 საათი*

## აზერბაიჯანული ნავთობი ევროპაში 1360-კილომეტრიანი მილსადენით მოხვდება

ხორვატიაში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილხამ ალიევის ორდღიანი ვიზიტის დროს ერთ-ერთ მთავარ საკითხად აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან ხორვატიისთვის ენერგორესურსების მოწოდება განიხილებოდა.

აზერბაიჯანულ დელეგაციაში ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ჰუსეინ ბაგიროვიც შედიოდა. ამასთან დაკავშირებით, ზაგრებში მოლაპარაკებების დროს პოტენციური მარშრუტიც განიხილებოდა. ლაპარაკია კონსტანცა-ტრიესტის 1360-კილომეტრიან ნავთობსადენზე, რომელიც შავი ზღვიდან რუმინეთის, სერბეთის, ჩერნოგორიისა და ხორვატიის გავლით იტალიის ადრიატიკის სანაპირომდე გადაიჭიმება.

ამ პროექტის პერსპექტივა უფრო იზრდება, რადგან ვარაუდობენ ამ ნავთობსადენის მიერთებას ტრანსალპური მილსადენების სისტემასთან, რომელიც გერმანიასა და ავსტრიაზე გადის.

*მედია-ნიუსი*

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გაასამართლეთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.





### „სატელევიზიო რეალური შოუების" სასამართლო პროცესი

მოსამართლე: გაგა გოშრონიძე

პროკურორი: ნიკო ნერგაძე (ჟურნალისტი): ამ ტიპის შოუების იდეა არის ის რომ უცქერო ნამდვილი ადამიანების რეალურ ქცევებს. როგორც წესი რეალური ტელევიზია არ არის რეალური და არ არის საინტერესო. ეს ეხება ქართულ პროექტსაც „ამგანი".

ადვოკატი: მამუკა ღლონტი (პროდიუსერი): არ ვეთანხმები პროკურორის ბრალდებებს. შესაძლოა მონაწილეები კამერის წინ გარკვეულ წილად თამაშობენ კიდეც, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ მონაწილეებს გარკვეული პერიოდის შემდეგ ავიწყდებათ კამერის ფენომენი და მოქმედება თითქმის რეალურად მიმდინარეობს.

ვერდიქტი: „დილის სასამართლოს" 12-მა ნაფიცმა მსაჯულმა (ათი ხმა ორის წინააღმდეგ) სატელევიზიო რეალური შოუების არსებობა აუცილებლად მიიჩნია

12 ნაფიცი მსაჯულის დასახელება კითხვაზე: არის თუ არა საჭირო ჩვენს რეალობაში რეალური სატელევიზიო შოუები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.მიხეილ გორდელაძე | (საჭიროა) | 7.ნინო | (საჭიროა) |
| 2.ლაურა კოლგი | (საჭიროა) | 8.ნოდარ ქართველიშვილი | (საჭიროა) |
| 3.გური გოძიაშვილი | (საჭიროა) | 9.ფიქრია ლომიძე | (საჭიროა) |
| 4.ლელა გონგლიაშვილი | (საჭიროა) | 10.ჯემალ გოგინაშვილი | (არ არის მიზანშეწონილი) |
| 5.გინტარინტი | (საჭიროა) | 11.ლიკა | (საჭიროა) |
| 6.ქალბატონი დარეჯანი | (საჭიროა) | 12.ალექსანდრე ნარტაიშვილი | (არ არის მიზანშეწონილი) |

შენიშვნა: პროკურორმა არ ისარგებლა უფლებით და სასამართლოს გადაწყვეტილება არ გააპროტესტა.

# თვითმმართველობის რეალური პრობლემები და პოპულიზმი

პირველი გვერდიდან

რომელსაც ოპოზიციური პარტიები ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენებენ. ეს საქართველოში უკვე კარგად აპრობირებული მეთოდია, რასაც, როგორც წესი, სათანადო (და, რა თქმა უნდა, ოპოზიციისთვის სასურველი) შედეგი მოაქვს. ამიტომ ასეთი სახის აქციები არ არის დაზღვეული პოპულისტური ხასიათის გადახრებისგან.

მერებისა და გამგებლების არჩევითობის პრინციპი პირველხარისხოვანი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გადაიჭრება საქართველოსთვის ნომერ პირველი ამოცანა - განხორციელდება ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმა და ჩამოყალიბდება ცენტრსა და ადგილობრივ მმართველობებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის მკაფიო სისტემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში ისეთივე მკვდრადშობილი დარჩება, როგორც ეს დღემდე იყო.

საბიუჯეტო და ქონებრივი უფლებამოსილებების გამიჯვნა, თვითმმართველობების ფინანსური სიძლიერე, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა, საკუთარი სახსრებისა და ქონების ცენტრისგან დამოუკიდებლად განკარგვა - ეს ის საკითხებია, რომლის მოწესრიგება გაცილებით აქტუალურია, ვიდრე მერებისა და გამგებლების არჩევის წესი.

სხვათა შორის, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლებისაგან სწორედ ამ საკითხების გადაჭრას ითხოვენ და არა მერებისა და გამგებლების არჩევის პრინციპის გადახედვას. მაგალითად, ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა არაერთგზის მიანიშნეს ოპოზიციურ სპექტრს, რომ მნიშვნელობა არ აქვს, დედაქალაქის მერი პირდაპირი წესით აირჩევა თუ ირიბით (სხვათა შორის, წინასწარი ინფორმაციით, თბილისისა და ფოთის მერების არჩევითობის საკითხი უახლოეს მომავალში გადაიხედება და ისინი ირიბი წესით, ანუ ამ ქალაქების საკრებულოების შემადგენლობიდან აირჩევიან).

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც დღის წესრიგში დგას, ეს ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმაა.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობის მოდელის განსასაზღვრად შექმნილი სახელმწიფო კომისია დონორ ორანიზაციებთან აქტიურ კონსულტაციებს მართავს. მიუხედავად ამისა, კომისიაში ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი კონცეფცია და არ არის განსაზღვრული ადმინისტრაციული მოწყობის მოდელი და თვითმმართველობის დონეების რაოდენობა.

არსებობს რამდენიმე პროექტი, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრის გზებს გვთავაზობს, მაგრამ, ჯერჯერობით, ეს პროექტები შესაჯერებელია. თანაც, ის ტენდენციები, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში იკვეთება, აშკარად მიანიშნებს საკმაოდ შემაშფოთებელ პერსპექტივაზე. საქმე ის არის, რომ თვითმმართველობის გაძლიერების შესაბამისად, დეცენტრალიზაციისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივები არ ჩანს, რის გამოც პარლამენტის თვითმმართველობის, რეგიონული პოლიტიკისა და მთიანი რეგიონების კომიტეტი უკვე ღიად გამოთქვამს პროტესტს. მეტიც: პარლამენტში შემოდის ისეთი კანონპროექტები, რომლის მიღების შემთხვევაში, თვითმმართველობები უფრო მეტად დასუსტდებიან.

ასე მაგალითად: პარლამენტარების აზრით, ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის მოგების გადასახადის წართმევა თვითმმართველობებს სიცოცხლის ნიშანწყალს გაუქრობს. სწორედ ამიტომ იყო, რომ რამდენიმე ხნის წინ კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა პრეზიდენტის ინიციატივას - "საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ კანონში" ცვლილებების შეტანას. ამ ცვლილებების მიხედვით, ადგილობრივი ბიუჯეტები მოგების გადასახადს დაკარგავენ.

ამასობაში, დონორი ორგანიზაციები და, პირველ რიგში, ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლებისაგან სულ უფრო დაჟინებით ითხოვს საკითხისადმი მკაფიო მიდგომას.

და ბოლოს: ევროსაბჭოს წარმომადგენლები პირდაპირ აცხადებენ, რომ თუკი საშემოდგომო სესიაზე მაინც არ იქნება მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ტერიტორიულ მოწყობას ეხება, ევროსაბჭოს მომავალში ქართულ მხარესთან აქტიური თანამშრომლობა ნამდვილად გაუჭირდება. თანაც, საგულისხმოა, რომ ის სოლიდური თანხა, რომელიც ამ რეფორმის საინფორმაციო მხარდასაჭერად არის გამოყოფილი (საუბარია ათ მილიონ დოლარზე), ფაქტობრივად, ჯერ არ ამოქმედებულა, რადგან არ მიდის მოსახლეობის ინფორმირება თვითმმართველობის როლის, დანიშნულებისა და ტერიტორიული რეფორმის მნიშვნელობის თაობაზე.

ასეთ პირობებში, პოპულიზმისთვის აშკარად იქმნება ნოყიერი ნიადაგი და ოპოზიციური სპექტრი, ამომრჩეველთა ხმების მოსამკელად, ამ ნიადაგს აქტიურად გამოიყენებს.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ახალი დაბალი ტარიფები
თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:
- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...
„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:
ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):
აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)
დროის წამობრივი აღრიცხვა
მხოლოდ 30თ.
ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები
8-10
ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

## როცა მაჟორიტარი საიდუმლოს ვერ უმხელს ამომრჩეველს

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება დეპუტატ ნანა პატარკაციშვილს, მის მიმართ მადლიერებას, ყვარლელებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციებიც გამოხატავენ. ახმეტელების რჩეულ პავლე ცაძიკიძეს კი, როგორც ახმეტაში ამბობენ, წინა ხელისუფლების მსგავსად, ახლაც რაიონის თვითმმართველობა მარიონეტივით ჰყავს. რაც შეეხება რევოლუციის გმირს თამაზ ხიდაშელს, მის არაეთიკურობაზე უკვე "სამართლიანი არჩევნებიც" საუბრობს. როგორც კახეთში მოქმედი არასამთავრობოები ამბობენ, მედეა მეზვრიშვილის დაუძინებელ მტერს, ძველი ხელისუფლების "ვირუსი" გადაედო.

იმისათვის, რომ მაჟორიტარი დეპუტატების და მათი ბიუროების მუშაობა ეფექტური და საქმიანი იყოს, "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" რამდენიმე თვეა, რაც ახალი პროგრამის განხორციელება დაიწყო. პროექტი - "აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება" მიზნად ისახავს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობას, მათ ჩართვას სათემო საკითხების გადაწყვეტასა და საჯარო შეხვედრებში. პროექტის უმთავრეს პრიორიტეტს მაჟორიტარი დეპუტატების და მათი ბიუროების მუშაობის ეფექტურად ხელშეწყობა წარმოადგენს, ამისთვის კი ორგანიზაცია სპეციალურ სტაჟორს აგზავნის. სტაჟორი სამუშაო დღის გარკვეულ ნაწილს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში ატარებს, ეხმარება დეპუტატს და ბიუროს ამომრჩევლებთან ურთიერთობაში და ასრულებს მაჟორიტარი დეპუტატის მიერ მიცემულ დავალებებს.

ასეთი მუშაობა წარმატებით მხოლოდ გურჯაანის რაიონში ხორციელდება, მაგრამ სტაჟიორს ამ ხნის განმავლობაში დეპუტატისთვის თვალიც კი არ მოუკრავს. კახეთის რეგიონში "სამართლიანი არჩევნების" კოორდინატორი ნანა დევიძე ყველაზე მეტად თელავის მაჟორიტარი დეპუტატის თამაზ ხიდაშელის "ორიგინალურმა" პასუხმა ალაშფოთა. **"როცა დადგა დღის წესრიგში, რომ პროექტი თელავშიც განხორციელებულიყო, თამაზ ხიდაშელს დავუკავშირდი. დავიწყე დეპუტატის დარწმუნება, რომ ეს ჩვენგან რეალური დახმარება იყო, მაგრამ უარი მივიღე. მე მისმა პასუხმა გამაკვირვა. მან განაცხადა, რომ იგი ვერ ჩაგვახედებდა თავის საქმეში, რადგან ბიუროში, თურმე, საიდუმლო საკითხებზე მიდის საუბარი. ძალიან მაინტერესებს, რა საიდუმლო უნდა ჰქონდეს მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თავის ამომრჩევლისაგან?"** - კითხულობს ნანა დევიძე.

კანონმდებლობის თანახმად, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უამრავი ფუნქცია აქვს. მისი მოვალეობაა, ორგანიზება გაუწიოს მოქალაქეთა მიღებას, განიხილოს მათ წერილებში, საჩივრებსა და განცხადებებში დასმული საკითხები და მაჟორიტარი დეპუტატისთვის სათანადო დასკვნები და წინადადებები მოამზადოს; ამომრჩეველთა აქტუალური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, მოაწყოს ამომრჩევლებთან დეპუტატის საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები. ბიურომ ხელი უნდა შეუწყოს აგრეთვე, მაჟორიტარი დეპუტატის ურთიერთობას პოლიტიკურ გაერთიანებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან; განახორციელოს საკონსულტაციო და ანალიტიკური ფუნქციები, პარლამენტის წევრის ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურება, შეადგინოს მაჟორიტარის სამუშაო გეგმები. ბიურომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა ითანამშრომლოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურულ ერთეულებთან და კომიტეტებთან, ფრაქციებთან, საგამოძიებო და სხვა დროებით კომისიებთან, აგრეთვე - სამინისტროებთან, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებთან, საწარმოებთან, დაწესებულებებთან; შეასრულოს კანონმდებლობით, პარლამენტისა და კომიტეტის აპარატის დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

"სამართლიანი არჩევნების" თქმით, სამწუხაროდ, მაჟორიტარის ბიუროები დაკისრებულ მოვალეობას ვერ ასრულებენ. არ ტარდება საკონსულტაციო და ინფორმაციული შეხვედრები, რის გამოც ორგანიზაცია ბიუროების მუშაობას უარყოფითად აფასებს. **პარლამენტის წევრის მოღვაწეობა თვალში ნაცრის შეყრით არ განისაზღვრება. მაჟორიტარის ფუნქცია არ არის მარტო წყლის გაყვანა, გზის დაგება და სხვა კომუნალური პრობლემების მოგვარება,"** - აცხადებს "სამართლიანი არჩევნების" კოორდინატორი კახეთში ნანა დევიძე და იმასაც დასძენს, რომ დეპუტატები თავის მოვალეობებს ვერ აცნობიერებენ.

"სამართლიანი არჩევნების" სტაჟიორის მუშაობით კმაყოფილია გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი კაკო ბეგაშვილი. მისი თქმით, რაც უფრო მეტი ადამიანი იმუშავებს ბიუროებთან, პრობლემები უფრო მალე მოგვარდება **"იმედია, ყველა დეპუტატი მოგვბაძავს, რადგან არასამთავრობოებთან მუშაობა ყოველთვის სასარგებლოა. მათი საშუალებით, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებასაც გავიზიარებთ,"** - ამბობს კაკო ბეგაშვილი.

თელავის მაჟორიტარმა დეპუტატმა კი ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

## მორიგი ქართულ-აფხაზური შეხვედრა

მოსკოვში, ჟენევის ფორმატის ფარგლებში, სოჭის შეთანხმების საფუძველზე ქართულ-აფხაზური სამუშაო შეხვედრა გაიმართება.

შეხვედრაზე დევნილთა დაბრუნებისა და სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხებს განიხილავენ.

საქართველოს დელეგაციას უხელმძღვანელებს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკატერინე გურეშიძე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და შპს "საქართველოს რკინიგზის" წარმომადგენლები.

სამუშაო შეხვედრებში, ქართულ-აფხაზური მხარეების გარდა, მონაწილეობას მიიღებენ გაერო-ს მისიის, ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

ქართულ-აფხაზური სამუშაო შეხვედრა 16 ივნისს დასრულდება.

*მედიანიუსი*

არქიტექტურული კონკურსი

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტი და ნაკვეთის მფლობელი ფიზიკური პირები აცხადებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ღია კონკურსს თბილისში საირმის გორაზე ათბინიანი საცხოვრებელი სახლის საუკეთესო ესკიზური პროექტის გამოსავლენად. გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი პრემია, თითოეული 4000 ლარის ოდენობით.

კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონკურსო პროგრამა და პირობები გაიცემა 2005 წლის 7 ივნისიდან საქართველოს არქიტექტორთა კავშირში. დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24, III სართული, ნუგზარ დუდუჩავასთან.

ტელეფონი: 22-74-02, 96-86-58
ფაქსი: 95-99-87
ელ-ფოსტა: archunion_geo@yahoo.com

## ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს კვლავ სახიფათო ქვეყნად მიიჩნევს

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ვებ-გვერდზე, სადაც ყოველ ამერიკელს სამოგზაუროდ წასვლის წინ შეუძლია ქვეყნის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია მიიღოს, საქართველო კვლავ მოხსენიებულია არასტაბილურ და სახიფათო ქვეყნად.

2005 წლის 2 თებერვალს განახლებულ გვერდზე მთავრობა რიგით ამერიკელებს ურჩევს, თავი შეიკავონ ახმეტის ჩრდილოეთით, პანკისის ხეობაში მოგზაურობისგან, მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა სამართალდამცავებმა ჩეჩენი მებრძოლების წინააღმდეგ უკვე მიიღეს შესაბამისი ზომები. აქვე აღნიშნულია, რომ კრიმინალური მდგომარეობა გამწვავებულია. ამიტომ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ამერიკელ ტურისტებს აფრთხილებს, იარონ ჯგუფ-ჯგუფად, ცენტრალურ ქუჩებზე და ისიც - მხოლოდ დღის სინათლეზე.

"რეკომენდებულია, რომ მოქალაქეებმა არ ატარონ დიდი თანხა და ძვირფასი სამკაულები. ტურისტებს მოვუწოდებთ, არ მოიქცნენ ზედმეტად გამომწვევად", - ნათქვამია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

საინტერესოა, რომ საკონსულო ამერიკელებს ურჩევს თავი შეიკავონ მისიონერული მოღვაწეობისაგან (განსაკუთრებით, იეღოველებსა და ბაპტისტებს), მიუხედავად იმისა, რომ სექტანტების წინააღმდეგ "მებრძოლი" ბასილ მკალავიშვილი უკვე დააპატიმრეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ზესტაფონში კონსერვატიული პარტიის ოფისი დაარბიეს

გუშინწინ ზესტაფონში კონსერვატიული პარტიის რაიონული ორგანიზაციის ოფისი დაარბიეს. დარბევაში 30-მდე პირი მონაწილეობდა. ნაცემია პარტიის ორი აქტივისტი - გიორგი ბერაძე და ბადრი გუგუსიანი.

როგორც პარტიის ხელმძღვანელობა აცხადებს, დაზარალებულებმა თავდამსხმელებში ზესტაფონის გამგეობის თანამშრომელი ზაზა დავლაძე ამოიცნეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით კონსერვატიული პარტიის წევრის ბიძინა გუჯაბიძისა და ამავე პარტიის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის კახა ბერაძის მიერ პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ დარბევის მიზეზი გახდა კონსერვატორების მიერ ადგილობრივი ხელისუფლების კორუფციაში მხილება.

8 ივნისს ქრთამის აღების ფაქტზე ზესტაფონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მირიან ბერუაშვილი დააკავეს. იგი ქრთამის გამოძალვაში კონსერვატიული პარტიის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ კახა ბერაძემ ამხილა.

საქმე ის არის, რომ 2003 წელს ინდმეწარმე კახა ბერაძესა და ზესტაფონის რაიონის გამგეობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ბერაძის ფირმას კეთილმოწყობის სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა. ხელშეკრულება სამუშაოების დაწყებისას გაუგებარი მიზეზით გაუქმდა, რის გამოც, ბერაძემ სასამართლოს მიმართა და გაიმარჯვა კიდეც. გამგეობას კი დაკისრებული თანხა არ გადაუხდია. ამის შემდეგ ზესტაფონის გამგეობამ ბერაძეს 40 000-ლარიანი პროექტი შესთავაზა, რომლის 10 პროცენტი, ქრთამის სახით, ბერაძეს ბერუაშვილისთვის უნდა მიეტანა. როგორც ბერუაშვილმა ბერაძეს განუმარტა, ეს თანხა (1500 ლარი) მას ზესტაფონის საკრებულოს თავმჯდომარე გია კობახიძისთვის უნდა გაენაწილებინა. ბერაძე აღნიშნავს, რომ პარტიის ოფისის დარბევა მიზნად ისახავდა მის ლიკვიდაციას. თუმცა, ის დარბევისას ოფისში არ იმყოფებოდა. მისივე თქმით, ზესტაფონის რაიონში ბერუაშვილი კორუფციაში გარეული ყველაზე მცირე რგოლია.

როგორც ბიძინა გუჯაბიძე აცხადებს, ეს არ არის კონსერვატორთა დარბევის პირველი ფაქტი და იგი მოუწოდებს ხელისუფლებას, შეწყვიტოს ოპოზიციური პარტიების შევიწროება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ხუთშაბათს სამთავრობო საათზე კონსერვატორები პასუხს შს მინისტრს ვანო მერაბიშვილსა და გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს მოსთხოვენ.

*მედიანიუსი*

# ვის გადაუსხამენ ჭიპაშვილის სისხლს?

თამარ მაისურაძე

მთავრობა "სისხლს უშვებს". ამის მაგალითს, დონორთა საერთაშორისო დღეს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი იძლევა. იგი ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრის სისხლის გადასხმის სამსახურს ესტუმრა, 250 მილიგრამი სისხლი დატოვა და კომენტარიც გააკეთა: **"ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დღე. ამ დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დონორები უანგაროდ იღებენ სისხლს ბავშვების გადასარჩენად. არც საქართველოა გამონაკლისი. ჩვენ, ჯანდაცვის სისტემის თანამშრომლებმა, დღეს აქტიურად გავიღეთ ჩვენი სისხლი, რათა ჩვენი ავადმყოფები გადავარჩინოთ. სისხლის გაღება ძალიან კარგი ნაბიჯია. ეს პროცესი ჯანმრთელობისთვის საზიანოს არ წარმოადგენს, პირიქით, ორგანიზმში სისხლის განახლება ხდება. მეორე მხრივ, ამაღლებული გრძნობაა, როდესაც შენ მიერ გაღებული სისხლით ვიღაც გადარჩება, სიცოცხლე შეუნარჩუნდება,"** - განაცხადა მინისტრმა. როგორც თავად გვითხრა, პროფესიით ქირურგს არაერთხელ გადაუსხამს სისხლი თავისი პაციენტებისთვის, თუმცა გუშინდელი შემთხვევა პირველი იყო, როდესაც ჭიპაშვილმა არ იცოდა, თუ ვის გადაუსხამდნენ მის სისხლს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სისხლის რამდენიმე ბანკი არსებობს, ჯოენის სისხლის ბანკი ერთადერთია, სადაც სისხლს მსურველები უსასყიდლოდ აბარებენ. ამდენად, იქ სისხლის ჩაბარების მსურველები, სხვა (ფასიან) ბანკებთან შედარებით, მცირეა. თუმცა, გუშინ ჯანდაცვის მინისტრის სტუმრობამდე, სისხლის ბანკის ხელმძღვანელის ლევან ავალიშვილის თქმით, 6-7 დონორს ჩაუბარებია სისხლი. მათ შორის იყვნენ მწერალი დათო ტურაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ **"ჩვენ არ ვართ ისეთი ძლიერი სახელმწიფო, რომ ყველა დონორს საფასური ავუნაზღაუროთ."** როგორც ჟურნალ "ანაბეჭდის" დამფუძნებელმა ნინო დარასელმა გვითხრა, **"ასეთი კეთილშობილური საქმისთვის კაცი ჩხვლეტასაც აიტანს"**. გუშინდელ აქციაში ჯგუფ "სეიშენის" წევრები, ძმები არველაძეები, მერიის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ზაზა გოროზია, ტელეკომპანია "მზის" ჟურნალისტი თათია იდაძე და სხვები იყვნენ. ერთი სიტყვით, მინისტრის გუშინდელი საქციელი ბევრისთვის სამაგალითო აღმოჩნდა.

**"რამდენმა დონორმაც მოგვაკითხა, დაახლოებით იმდენ ადამიანს შეუნარჩუნდება სიცოცხლე,"** - განაცხადა ლევან ავალიშვილმა. როგორც ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრის სისხლის გადასხმის სამსახურის ხელმძღვანელმა აგვიხსნა, **"ფასიანი დონორის მიერ ჩაბარებული სისხლი დიდ რისკთანაა დაკავშირებული. სისხლის უსაფრთხოების თვალსაზრისით, შესაძლოა საკმაოდ სერიოზული პრობლემა შეიქმნას. დონორს არ უნდა ჰქონდეს მატერიალური მოტივაცია, რადგან შეიძლება რაღაც დამალოს და ინფიცირებული სისხლი გაიპაროს. გამოკვლევა ხდება, თუმცა სისხლის 100-პროცენტიან უსაფრთხოებას მსოფლიოში ვერსად უზრუნველყოფენ. დაინფიცირებულ დონორს შესაძლოა "ფანჯრის პერიოდი" ჰქონდეს და ანალიზების ჩატარებისას არც ერთი ინფექცია არ გამოჩნდეს."**



ვახო ხეთაგური. ფოტო

*ჯანდაცვის მინისტრისთვის სისხლის აღება საპასუხისმგებლო საქმეა.*

# მაწანწალა ბავშვების აღრიცხვა ხელახლა დაიწყო

პირველი გვერდიდან

**გაჭირვების გამო არ დგას ქუჩაში. ამ აღწერით კატეგორიების განსაზღვრა მოხდება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას თბილისის არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსმა გიორგი პაპავამ. მისივე თქმით, ბავშვების შესაბამის სტრუქტურებში გადაყვანა მას შემდეგ მოხდება, რაც ბავშვებს ფსიქოლოგიური, ნარკოლოგიური და ვენეროლოგიური შემოწმება ჩაუტარდებათ.

მაწანწალა ბავშვების ერთ-ერთი თავშესაფარი გლდანში მდებარე ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრია. მის დასაფინანსებლად, ჯანდაცვის საქალაქო სამსახურს მიმდინარე წლის ბიუჯეტში 200 ათასი ლარი აქვს გამოყოფილი. ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრის მიზანია, ქუჩაში უმეთვალყურეოდ და განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების მატერიალური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა. ამის შემდეგ კი, მათი შესაბამის გარემოში გადაყვანა.

**"ჩვენთან მოხვედრილ ბავშვს თავისუფალი გადაადგილების საშუალებას ვაძლევთ, ასეთია ფსიქოლოგების რჩევა. ეს ცენტრი არ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყება, მან თავისი ფუნქცია მკვეთრად შეიცვალა. თუკი ბავშვს აქ გაჩერება არ სურს, რაც არ უნდა ძალა იხმარო, ის მაინც გაიქცევა. როდესაც ბავშვები მიმღებ-გამანაწილებელ ცენტრში ძალით მიჰყავდათ, ამით მათ უფლებებს არღვევდნენ. ახლა ამ საკითხზე სოციალური მუშაკები ზრუნავენ. სექტემბრიდან დავარეგულირებთ სკოლებში განაწილების საკითხსაც. მათ, ვისაც 17 წელი შეუსრულდებათ, გვინდა, რომ სამსახური მოვუძებნოთ. რამდენიმე კომპანიამ ამ ბავშვების დასაქმების სურვილი გამოთქვა, "** - განაცხადა ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრის უფროსმა გიორგი თავაძემ.

ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრში ამჟამად 40 ბავშვი ცხოვრობს. როგორც გაირკვა, მათმა უმეტესობამ ცენტრს თავისი სურვილით მიაკითხა. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ასეთ დაწესებულებებში გაჩერება ყველაზე მეტად "ტოქსიკომან" ბავშვებს უჭირთ. ფსიქოლოგები ბავშვებთან და მათ ბიოლოგიურ მშობლებთან მუშაობას აწარმოებენ, რათა ბავშვები თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ. ფსიქოლოგების თქმით, ბავშვების უმრავლესობა ოჯახში დაბრუნებაზე უარს აცხადებს.

კანონის თანახმად, ცენტრის ადმინისტრაციას ბავშვების გაშვილება ეკრძალება. მაშინ, როდესაც გაშვილების შესახებ კანონი იქნა მიღებული, ასეთი ტიპის დაწესებულება საქართველოში არ ფუნქციონირებდა.



ზაურ გოგოლაშვილის ფოტო

*თბილისის ქუჩების განუყრელი ატრიბუტი - მაწანწალა ბავშვები.*

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

**განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)**

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის მაინის ფრანკფურტის რეკონსტრუქციის ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხარაგაულის რაიონის სოფელ ხევის სკოლის რემონტი**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხარაგაულის რაიონის ხევის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ხევის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელი ხევი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: პავლე გორგაძე,**
**ხევის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005** წლის **17** ივნისიდან **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელი ხევი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: პავლე გორგაძე,**
**ხევის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 18 ივლისის 12:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

**განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)**

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის მაინის ფრანკფურტის რეკონსტრუქციის ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხარაგაულის რაიონის სოფელ ვახანის სკოლის რემონტი**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხარაგაულის რაიონის ვახანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ვახანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელი ვახანი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: ნოდარ გოგოლაძე,**
**ვახანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005** წლის **17** ივნისიდან **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელი ვახანი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: ნოდარ გოგოლაძე,**
**ვახანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 18 ივლისის 17:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **17:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

**განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)**

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის მაინის ფრანკფურტის რეკონსტრუქციის ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ხარაგაულის რაიონის სოფელ წყალაფორეთის სკოლის რემონტი**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ხარაგაულის რაიონის წყალაფორეთის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **წყალაფორეთის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელი წყალაფორეთი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: ნუგზარ ჭუმბაძე,**
**წყალაფორეთის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005** წლის **17** ივნისიდან **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ხარაგაულის რაიონი,**
**სოფელი წყალაფორეთი, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: ნუგზარ ჭუმბაძე,**
**წყალაფორეთის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 18 ივლისის 14:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# ევროპული კავშირი ცაიტნოტში

ირაკლი უჯმაჯურიძე

### რა სიახლეს სთავაზობს ევროპული კონსტიტუცია მოსახლეობას




*ევროპული ინტეგრაციის 50-წლიანი ისტორიის მანძილზე გაერთიანებას ყველაზე მძიმე პერიოდი უდგას.*

ევროპული კავშირი თავისი ორმოცდაათწლიანი ისტორიის განმავლობაში ოთხ ძირითად ხელშეკრულებაზეა დაფუძნებული. პირველი სამი, რომელთაც საძირკველი ჩაეყარა ევროპული გაერთიანების შექმნას, არის: ხელშეკრულება ევროპული ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანების შესახებ (1951), ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ (1957) და ხელშეკრულება ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების შესახებ (1957). მეოთხე ხელშეკრულება, რომელმაც ევროპული გაერთიანება ევროპულ კავშირად გარდაქმნა, არის მაასტრიხის ხელშეკრულება (1992). ამ ხელშეკრულებით შეიქმნა ახალი სტრუქტურა, ე.წ. სამი სვეტის სტრუქტურა. პირველი სვეტი მოიცავს ზემოთ ხსენებულ პირველ სამ ხელშეკრულებას და ევროპულ კავშირში ეკონომიკური თამაშის წესებს განსაზღვრავს; მეორე სვეტი ითვალისწინებს ერთიანი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების კუთხით თანამშრომლობას; მესამე კი არეგულირებს სამართლისა და შინაგან საქმეთა საკითხებს.

თავისი ისტორიის მანძილზე ევროკავშირში ხშირი იყო ცვლილებები, რომლებიც შეტანილია ძველ ხელშეკრულებებში. ევროპის კონსტიტუციით, ევროპული კავშირის მთავრობები მოსახლეობას, წინა ხელშეკრულებების მსგავსად, მრავალ სიახლეს და რამდენიმე ხელშეკრულების რევიზიას სთავაზობს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლე თავად კონსტიტუციაა, რომელიც, ფაქტობრივად, დღემდე არსებულ ყველა ხელშეკრულებას ერთ იურდიულ ჩარჩოში აქცევს.

ევროპული კონსტიტუციით იცვლება ევროპული კავშირის საბჭოს პრეზიდენტის არჩევის პრინციპი. დღემდე არსებობს როტაციის პრინციპი ევროპული კავშირის საბჭოს პრეზიდენტობაზე, რომელიც ყოველ ექვს თვეში იცვლება. ახალი კონსტიტუციის მიხედვით, ევროპული კავშირის პრეზიდენტი ორწელიწადნახევარით იქნება არჩეული და მას, განსხვავებით დღევანდელი პრინციპისაგან, აეკრძალება, იყოს რომელიმე სახელმწიფოს მთავრობის წევრი. ეს ნიშნავს, რომ ევროპული საბჭოს პირველი პირის პასუხისმგებლობა უფრო გაიზრდება და, შესაბამისად, უფრო ეფექტური იქნება საბჭოს მუშაობა. ერთიანი საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზნით, შემოღებულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა, რომელიც ევროპული კავშირის საბჭოს მიერ იქნება არჩეული, თუმცა, პარალელურად, ევროპული კომისიის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობასაც შეითავსებს.

ერაყის ომმა კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს, რომ ევროპის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა არ არის ერთიანი და ევროპას დღემდე უჭირს მნიშვნელოვან საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე საერთოევროპული პოზიციის დაფიქსირება. ამ თანამდებობის შემოღებით ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობები ცდილობენ, ერთიანი ევროპული საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებას. კონსტიტუციის მომხრეთა ერთი ნაწილი იმედს გამოთქვამს, რომ ეს ორი ინსტიტუციური ცვლილება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ევროპული კავშირის ინტეგრაციისა და ერთიანი ევროპული სახლის მშენებლობისაკენ.

კონსტიტუციის მიხედვით, ასევე, გამარტივდება და უფრო დაიხვეწება ევროპული კავშირის საბჭოში გადაწყვეტილების მიღების პროცედურა - კერძოდ, 2009 წლის ნოემბრიდან შემოღებული იქნება ორმაგი უმრავლესობის პრინციპი, რაც ითვალისწინებს ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფოების 55 პროცენტისა და ევროპის მოსახლეობის 65 პროცენტის თანხმობას - ანუ გათვალისწინებული იქნება როგორც სახელმწიფოების, ასევე, მოსახლეობის რაოდენობა, ხოლო განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხების (ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის, იურისპრუდენციისა და შინაგან საქმეთა საკითხების) გადაწყვეტა შედარებით გართულებული ფორმით, სახელმწიფოების 72 პროცენტისა და მოსახლეობის 65 პროცენტის თანხმობით მოხდება. ამ ცვლილებით ხდება ნიცის ხელშეკრულების რევიზია, რომლითაც შესაძლებელი იყო ორ დიდ და ერთ პატარა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიეღო. ამ ცვლილებით, ერთი მხრივ, უფრო დაცული იქნება პატარა სახელმწიფოების ინტერესები, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობის რიცხვის გათვალისწინების პრინციპით, უფრო დემოკრატიული გახდება გადაწყვეტილების პროცედურა.

კონსტიტუციის თანახმად, ასევე, უფლებამოსილება გაეზრდება ევროპულ პარლამენტს აგრარულ, სტრუქტურულ, იურიდიულ და საშინაო პოლიტიკის გადაწყვეტილების მიღებაში. განსაკუთრებული უფლება მიენიჭება, აგრეთვე, ბიუჯეტის შესახებ საკითხების განხილვაში. პარალამენტის უფლებების გაზრდით ევროპული სახელმწიფოს მეთაურები ცდილობენ ევროპაში დღემდე არსებული დემოკრატიული დეფიციტის დაძლევას; კერძოდ, ევროპული პარლამენტი ერთადერთი ინსტიტუტია რომელიც ხალხის მიერ არის არჩეული და რომელიც ყველაზე მწირი უფლებამოვალეობის მქონეა. მოსახლეობის მხრიდან კრიტიკის ძირითადი მიზეზიც სწორედ ისაა, რომ ევროპულ კავშირში ცვლილებები, არა ხალხის, არამედ რამდენიმე სახელმწიფოს მეთაურის ინტერესების გამო ხდება. მაგალითად, გამოკითხვების შედეგად მოსახლეობის დიდი ნაწილი, როგორც ევროს შემოღების, ასევე, გაფართოების წინააღმდეგი იყო. ევროპული კავშირის საბჭოში გადაწყვეტილების მიღების ახალი პროცედურის შემოღება და პარალამენტის უფლებების გაზრდა მოსახლეობაში ევროპული კავშირის მიმართ ლოიალურობის გაძლიერებას ემსახურება.

### საფრანგეთში და ნიდერლანდებში კონსტიტუციის ჩავარდნის მიზეზები

პარადოქსულად იქნა აღქმული საფრანგეთში კონსტიტუციის ჩავარდნა და კონსტიტუციის ტექსტის ანგლო-საქსურ მოდელად მიჩნევა. რამეთუ კონსტიტუციის ტექსტის შემუშავება ე.წ. კონვენტს დაევალა, რომელსაც სათავეში საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟისკარ დესტინი ედგა. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის შემუშავებაში ჩართული იყო თხუთმეტივე წევრი სახელმწიფოს და ცამეტი კანდიდატი ქვეყნის (ტექსტი მომზადდა 2003 წელს, ერთი წლით ადრე ვიდრე ცენტრალური ევროპის ქვეყნები გაწევრიანდებოდნენ) მთავარი პირები და ეროვნული პარლამენტის წევრები, ტექსტის შემუშავებაში ფრანგული გავლენა ძალიან დიდი იყო; მეტიც, დიდ ბრიტანეთსა და ახლად გაწევრიანებულ სახელმწიფოებში იგი ფრანგულ კონსტიტუციად შერაცხეს.

ასევე, მოულოდნელი იყო ჰოლანდიელი ხალხის მიერ კონსტიტუციის უარყოფა. რადგანაც ჰოლანდიელი ხალხი ყოველთვის ევროპული ინტეგრაციის მომხრედ გამოდიოდა. თუმცა, თუ ევროპაში და, განსაკუთრებით, ამ ორ სახელმწიფოში წინა წლებში მიმდინარე მოვლენებს გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ კონსტიტუციის ტექსტმა უმნიშვნელო როლი ითამაშა მოსახლეობის პოზიციის დაფიქსირებაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ევროზონის ქვეყნებისათვის ფასების ზრდაა. ამას დაემატა გაფართოების შემდეგ ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან იაფი მუშახელის ნაკადი, რომელმაც უმუშევრობის პრობლემა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საგრძნობლად გაზარდა. ნიდერლანდებისა და საფრანგეთის მოსახლეობის გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა მოახდინა ოპოზიციური პარტიების მხრიდან მუსულმანური მოსახლეობის მიგრაციაზე აგორებულმა PR-კამპანიამ. ნიდერლანდებში დღემდე აქტუალურ თემად რჩება მემარჯვენე პარტიის ლიდერის პიმ ფორტუინის მკვლელობა, რომელიც მუსლიმების მიგრაციის წინააღმდეგ გამოდიოდა. საფრანგეთის შემთხვევაში, ოპოზიციურმა პარტიებმა თურქეთის სამომავლო გაწევრიანება გააკრიტიკეს და მათი კრიტიკა კონსტიტუციას დაუკავშირეს.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის ჩავარდნა ორივე ქვეყანაში, ერთი მხრივ, მთავრობის არასწორი PR-კამპანიის ბრალია, რამაც საშუალება მისცა ოპოზიციურ პარტიებს, ქვეყნის შიდა პრობლემები წინა პლანზე წამოეწიათ და კონსტიტუციის ჩავარდნით მოსახლეობაში ეროვნული მთავრობის მიმართ ლოიალურობა შეესუსტებინათ (მაგალითად საფრანგეთს უახლოესი ისტორიის განმავლობაში არ ახსოვს, რომ პრეზიდენტის პოპულარობის კოეფიციენტი 27პროცენტი ყოფილიყო), მეორე მხრივ კი - მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის, რომელიც ევროს შემოღებისა და გაფართოების შემდეგ წარმოიქმნა.

### როგორ შეიძლება განვითარდეს ევროპის კონსტიტუციის ბედი

ევროპულმა საბჭომ 2004 წლის 18 ივნისს მოიწონა და 29 ოქტომბერს ხელი მოაწერა ევროპულ კონსტიტუციას, რის შემდეგაც წევრ სახელმწიფოებს მიეცათ ორი წლის ვადა კონსტიტუციის რატიფიცირებისათვის. ზოგ ქვეყანაში მისი რატიფიცირება მოხდება სახალხო რეფერენდუმით, ზოგან კი ეროვნული პარლამენტების მიერ. დღემდე 10-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი კონსტიტუციის რატიფიცირებას, ორმა კი - საფრანგეთმა და ნიდერლანდებმა, უარყო. ბელგიაში ჯერ - სენატმა, შემდეგ წარმომადგენლობითმა პალატამ მხარი დაუჭირა და უახლოეს პერიოდში რეგიონულ პარლამენტებში კონსტიტუციის განხილვის შემდეგ, სავარაუდოდ, ბელგია მე-11 ქვეყანა გახდება, სადაც კონსტიტუცია მოიწონეს.

ერთადერთი ქვეყანა ჩეხეთის რესპუბლიკაა, სადაც გაურკვეველია, რა სახით მოხდება კონსტიტუციის მიღება. სახალხო რეფერენდუმით მიღების შემთხვევაში, პარლამენტმა ახალი კანონი უნდა მიიღოს, სხვა შემთხვევაში, პარლამენტის გადასაწყვეტი იქნება ევროპის კონსტიტუციის ბედი. საფრანგეთსა და ნიდერლანდებში რეფერენდუმის შემდეგ, შესაძლებელია, შვედეთშიც შეიცვალოს სიტუაცია. ოფიციალურმა შვედეთმა, დიდი ხანია, განაცხადა, რომ ევროპული კონსტიტუციის მიღება პარლამენტის მიერ 2005 წლის დეკემბერში მოხდება, თუმცა, ტრადიციისამებრ, რეფერენდუმი შვედეთში მაშინ ტარდება, როცა პარტიები ვერ პოულობენ ერთიან გადაწყვეტილებებს. ამდენად, თუ პარტიებს შორის დაპირისპირება გამწვავდა, ადვილად შესაძლებელია, სახალხო რეფერენდუმი გამოცხადდეს, როგორც ეს 1994 წელს შვედეთის ევროპულ კავშირში გაწევრიანებისას და 2003 წელს ევროს შემოღებისას მოხდა. რეფერენდუმის შედეგებმა დიდი გავლენა იქონია დიდ ბრიტანეთზეც. ტონი ბლერმა ნიდერლანდებში რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების მეორე დღეს კონსტიტუციის რატიფიკაციის პროცესი უვადოდ გადადო.

კონსტიტუციის შეთანხმების თანახმად კი, კონსტიტუცია მიღებული იქნება მხოლოდ მაშინ, თუ მას ყველა სახელმწიფო დაუჭერს მხარს. თუმცა, შეთანხმებაში ისიც წერია, რომ თუ 25 სახელმწიფოდან 20 სახელმწიფო მოიწონებს კონსტიტუციას, მაშინ ევროპული საბჭო ევროპულ კომისიასთან ერთად შეიკრიბება და გადაწყვეტს რამოდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილების მიღებას. ამდენად, კონსტიტუციის ჩავარდნის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ის სიახლეები, რაც წარმოდგენილია კონსტიტუციაში, მაინც მიიღონ.

მეორე ვარიანტი შეიძლება იყოს რეფერენდუმების ხელახალი ჩატარება. ასეთი პრაქტიკა არსებობს ევროპაში და, თეორიულად, შესაძლებელია. დანიაში ორჯერ ჩატარდა სახალხო რეფერენდუმი მაასტრიხის ხელშეკრულების მისაღებად, ისევე, როგორც ირლანდიაში ნიცის ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის. რეფერენდუმის განმეორებით ჩატარებას არც ეროვნული კონსტიტუციები ეწინააღმდეგება და არც ევროპის კონსტიტუცია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ნიდერლანდებში რეფერენდუმი საკონსულტაციო მნიშვნელობისაა და, კონსტიტუციის მიხედვით, საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღოს. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, მსგავსი გადაწყვეტილება მიიღონ.

ამ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, ყველა წევრი სახელმწიფოს პირველი პირები იკრიბებიან 16-17 ივნისს, რათა ერთიან პოზიციაზე შეჯერდნენ. შეხვედრამდე რამოდენიმე ქვეყნის პირველმა პირმა დააფიქსირა თავისი პოზიცია. ძირითადად, ყველა რატიფიკაციის პროცესის გაგრძელების მომხრეა. თუმცა, უმეტესობა კომენტარებისაგან თავს იკავებს. სავარაუდოდ, ევროპის ქვეყნების მეთაურები რატიფიკაციის გაგრძელების მომხრედ გამოვლენ, თუმცა დიდი ალბათობა იმისა, რომ ან კონსტიტუციის რატიფიკაციის ვადა გადაწიონ რამდენიმე წლით, ან დანიამ, ირლანდიამ, ლუქსემბურგმა, პოლონეთმა და პორტუგალიამ - მთავრობებმა, სადაც წელს უნდა ჩატარდეს სახალხო გამოკითხვა, მომავალი წლისათვის გადაიტანონ რეფერენდუმის ჩატარება.

# აფეთქება ერაყის ნავთობით მდიდარ რეგიონში



შუამდინარეთში საბრძოლო ოპერაციების ოფიციალურად დასრულებიდან ორ წელიწადზე მეტია გასული. აშშ-ს მოლოდინი, რომ ქვეყნის მართვაზე სრული კონტროლის ერაყელთათვის გადაცემა ოკუპირებულ ქვეყანაში ამბოხს შეაჩერებდა, უსაფუძვლო გამოდგა. მიუხედავად ვაშინგტონის მცდელობისა, ჯერჯერობით ვერ ხერხდება მრავალეთნიკურ ერაყში დაპირისპირების პოლიტიკურ არენაზე გადანაცვლება. შეიძლება ითქვას, საპირისპირო მოვლენებსაც კი აქვს ადგილი. ბოლო ხანებში ძალადობის აქტების რიცხვმა და მასშტაბებმა არათუ იკლო, არამედ მნიშვნელოვნად იმატა კიდეც. მაისის დასაწყისიდან, როცა ერაყის ახალი პრემიერ-მინისტრი იბრაჰიმ ჯაფარი მოვალეობის შესრულებას შეუდგა, სხვადასხვა დროსა და ადგილას განხორციელებულმა თავდასხმებმა უკვე 900 ადამიანი იმსხვერპლა. მათი უმრავლესობა ერაყელია.

აფეთქებები გრძელდება და ჯერჯერობით გამოსავალი არ ჩანს. ასე იყო გუშინაც - ქალაქ კირკუკში, ერაყის ნავთობით მდიდარ რეგიონში მომხდარმა აფეთქებამ, სულ მცირე, ოცდაორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის არიან მოხუცები და ბავშვები. კიდევ ორმოცდაათ ადამიანზე მეტმა სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიიღო.

აფეთქება ბანკ "არ-რაფიდაინ"-თან ახლოს მოხდა. როგორც იტყობინებიან, დაზარალებულთა უმეტესობა სახელმწიფო მოხელეა. ისინი ბანკში ხელფასის ასაღებად იყვნენ მისულები და რიგში იდგნენ. "ბიბისი"-ს ინფორმაციით, აფეთქება თვითმკვლელმა-ტერორისტმა განახორციელა. ადამიანმა, რომელსაც ტანსაცმლის ქვეშ 30 კილოგრამი ნაღმი ჰქონდა დამალული, ამ რიგთან მიახლოებისას აიფეთქა თავი.

აფეთქების შედეგად ორი ახლომდგომი მანქანა გაეხვია ცეცხლის ალში. დაღუპულთა ნაწილი მანქანების ნამსხვრევებმა იმსხვერპლა. შემთხვევას ვერც გზაზე ხილით მოვაჭრე ათამდე ბავშვი გადაურჩა.

**"აქ ხელფასის ასაღებად მოვედი, თანაც - შვილიშვილის დაჟინებული თხოვნით, ისიც თან წამოვიყვანე. ნაღმი მაშინ აფეთქდა, როცა ჩვენ რიგში ჩავდექით"**, - 70 წლის დაზარალებულის, ჰუსეინ მუჰამედის სიტყვები მოჰყავს სააგენტო "ბიბისი"-ს.

კირკუკში, რომელიც ბაღდადის ჩრდილოეთით მდებარეობს, ქურთები, არაბები და თურქმენები ცხოვრობენ. მათ შორის ხშირია ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება. სხვადასხვა წყაროს ცნობით, ნავთობით მდიდარი ქალაქი ინტენსიური ეთნიკური დაპირისპირების ადგილად სადამ ჰუსეინის ხელისუფლების დაცემის შემდეგ გადაიქცა. საქმე ისაა, რომ ქურთებს კირკუკის თავიანთ დედაქალაქად ქცევა უნდათ. ის განთავსებულია დაბლობზე, 25 კილომეტრის დაშორებით ქურთებით დასახლებული სამი მთიანი პროვინციიდან (ერაყი სულ 18 პროვინციისგან შედგება). თუმცა, ნავთობით მდიდარი რეგიონის ქურთების ხელში გადაცემა არც ერთ ჯგუფს ხელს არ აძლევს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე - მის ფარგლებს გარეთ.

*24 საათი*

# კორეის ლიდერი აშშ-ს შეშლილად მიაჩნია

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ტელეკომპანია MSNBC-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დარწმუნებული არ არის, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი ფსიქიკურად ჯანმრთელია, - იტყობინება სააგენტო "როიტერსი". აღნიშნული ინტერვიუს ჩანაწერი ეთერში სამშაბათს გავიდა.

გასულ კვირას აშშ-მ იმედი გამოთქვა, რომ ჩრდილოეთ კორეა კვლავ ჩაერთვება ექვსმხრივ მოლაპარაკებებში ბირთვული განიარაღების შესახებ, რომელსაც ის ერთი წლის წინ გამოეთიშა. რუსეთმა, აშშ-მ, სამხრეთ კორეამ, იაპონიამ და ჩინეთმა არაერთხელ მოუწოდა კომუნისტურ კორეას, მოლაპარაკებათა მაგიდას დაბრუნებოდა, მაგრამ - ამაოდ. ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება მწვავედ რეაგირებს აშშ-ს მხრიდან მის მიმართ გაკეთებულ ყოველგვარ განცხადებაზე; მაგალითად, ფხენიანმა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინს "მონსტრი და სისხლისმსმელი ცხოველი" უწოდა, როდესაც ამ უკანასკნელმა კიმ ჩენ ირი "მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უპასუხისმგებლო პოლიტიკოსად" დაასახელა.

*24 საათი*

# მიწისძვრა ჩილეში

*ჩილეს კვლავ სტიქიური უბედურება დაატყდა თავს. მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ იკაკიდან 115 კილომეტრში მდებარეობდა. დაღუპულია 8 ადამიანი. სტიქიური უბედურების ადგილას სამაშველო სამუშაოები მიმდინარეობს. მოსალოდნელია, მსხვერპლის რაოდენობა გაიზარდოს.*



წინასწარი მონაცემებით, 14 ივნისს ჩილეს ჩრდილოეთ ნაწილში მომხდარი მიწისძვრის შედეგად 8 ადამიანი დაიღუპა. სამი მათგანი ჩამონგრეული შენობის ნანგრევებში მოყვა, ხოლო ხუთი ადამიანი დაიღუპა, როცა მათ ავტომობილს დიდი ლოდი დაეცა.

მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრე, რიხტერის სკალის მიხედვით, 7,9 ბალს აღწევდა და ერთი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. სტიქიამ ყველაზე მეტად იკაკი (მიწისძვრის ეპიცენტრი მისგან 115 კილომეტრში იყო) დააზიანა, აგრეთვე - სანაპირო ქალაქები არიკი და ანტოფაგასტე. ხელისუფლების განცხადებით, აღნიშნულ რეგიონში დარღვეულია სატელეფონო კავშირი და ელექტროენერგიის მიწოდება. მიწისძვრა მეზობელ ბოლივიასა და პერუშიც იგრძნობოდა. ცუნამის საშიშროებით აღელვებული მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. "საგანგებო მდგომარეობათა სხვადასხვა თანამშრომელი, მათ შორის, მეხანძრეები და პოლიცია სტიქიით დაზარალებულ რეგიონში იმყოფება და შექმნილ მდგომარეობას აფასებს. ცუნამის საშიშროება არ არის", - აღნიშნა საგანგებო მდგომარეობათა ცენტრის თანამშრომელმა. სტიქიით დაზარალებული რეგიონი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოინახულეს. სპეციალისტთა განცხადებით, მიწისძვრის ეპიცენტრი მთიან რეგიონში, მიწაში საკმაოდ ღრმად იყო. სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა მსხვერპლის სიმცირე, თუმცა მოსალოდნელია, მისი რაოდენობა გაიზარდოს. ჩილესთვის მსგავსი სტიქიური უბედურება უჩვეულო არ არის. 1960 წელს აღნიშნულ რეგიონში, რიხტერის სკალით, 9,5-ბალიანი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც 2 ათასი ადამიანი იმსხვერპლა.

*24 საათი*

RRM Projects Capacity Development of the Ministry of Justice in Georgia
This Programme is funded by the European Union

**ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე იუსტიციის სამინისტროს დახმარების პროექტი**

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს დახმარების პროექტს საქართველოში, ევროგაერთიანების ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება პატიმართა უფლებების შესახებ.

**გაეროს განვითარების პროგრამა აგრძელებს ტენდერის ვადას პატიმართა უფლებების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პროექტის განხორციელებაზე**

სატენდერო პირობები და ინფორმაცია პროექტის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე: http://www.undp.org.ge

დაინტერესებულ ორგანიზაციებს ვთხოვთ, წარმოადგინონ ინდივიდუალური ან კოალიციური საპროექტო წინადადებები დალუქულ კონვერტში, პროგრამის ანალიტიკოს ქ-ნ ნათია ჩერქეზიშვილის სახელზე, ა/წლის 17 ივნისის 12 საათამდე, მისამართზე: გაეროს სახლი, ერისთავის ქუჩა 9, თბილისი, ტელ 995 32 25 11 26/28/29/31.

# ადმინისტრაციის ასისტენტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს ადმინისტრაციის ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად. ადმინისტრაციის ასისტენტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**

ადმინისტრაციის ასისტენტის ძირითადი მოვალეობაა ზოგადი დამხმარე ადმინისტრაციული სამუშაოს შესრულება.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

ადმინისტრაციის ასისტენტის მოვალეობებს და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

დეპარტამენტის მთლიანი დოკუმენტაციის აღრიცხვა;

- დაარქივების სისტემების და მონაცემთა ბაზის შექმნა, მასზე მუშაობა და მართვა;

შიდა დამკვეთებისაგან მიღებული ყველა დაკვეთის აღრიცხვა და თითოეული ოპერაციის გაკონტროლება, ხელმძღვანელისთვის მოხსენების მიზნით;

- შეხვედრების ოქმების ჩაწერა;

მიღებული მომსახურების ანგარიშ-ფაქტურების და თანმხლები დოკუმენტაციის შემოწმება და შენახვა;

- დოკუმენტაციის მომზადების და დაარქივების პასუხისმგებლობა;

საჭიროების შემთხვევაში, წერილობითი და ზეპირი თარგმანის შესრულება და გარე რესურსების მიერ გაწეული მთარგმნელობითი მომსახურების კოორდინირება;

- მგზავრობის და დაბინავების ორგანიზებაში დახმარება, სათანადო დეპარტამენტისათვის შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნის მეშვეობით;

ხელმძღვანელის / განყოფილების შეხვედრების და მიღებების დაგეგმვა;

- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნისა და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

ადმინისტრაციულ სფეროში მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ინგლისური ენის ფლობის და ზემოთ აღწერილი ფუნქციების შესრულების სათანადო უნარი;

- უმაღლესი განათლების დიპლომი, ენების გაძლიერებული კურსით;

ქართული ენის ფლობა მშობლიური ენის დონეზე, ინგლისურის და რუსულის - თავისუფლად;

- შემდეგი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად ფლობა: MS Word, Excel, PowerPoint, Exchange

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 28 ივნისი, სამშაბათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP Georgia
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND

# განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით საკონსულტაციო მომსახურება - "სსიფ-ის საქმიანობის გაშუქება ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში".

ამ განცხადებით სსიფ იწვევს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რათა წარმოადგინონ ინფორმაცია კვალიფიკაციის შესახებ. საკვალიფიკაციო ფორმების მიღება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
გიორგი ბაჯელიძე, შესყიდვების მენეჯერი
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03
ელ ფოსტა: gsif@ gsif.ge, g bajelidze@ gsif.ge

2005 წლის 15 ივნისიდან, 10 -დან 17 საათამდე, საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა 2005 წლის 29 ივნისი.

# იყიდება კიდევ 5 ობიექტი

## ეკონომიკური განვითარების სამინისტრო განაცხადებს 14 ივლისამდე მიიღებს

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ განაცხადების მიღება კიდევ ხუთ ობიექტზე დაიწყო. ეს პროცესი 14 ივლისამდე გაგრძელდება.

კერძოდ, იყიდება ქუთაისში მდებარე სს "ელექტრომექანიკის" სახელმწიფო წილი, რომელიც 65,96 პროცენტია.

მისი საწყისი ფასია 1 მილიონი დოლარი. ობიექტი 15 ივლისს 17 საათზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროში კონკურსის წესით გაიყიდება.

ასევე კონკურსის წესით გაიყიდება შპს "ქუთაისის სასტუმრო", რომელიც, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ქალაქ ქუთაისში მდებარეობს. ეს არის ოთხსართულიანი შენობა 100-პროცენტიანი სახელმწიფო წილით, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 320 ათასი დოლარია.

კონკურსის წესით გაიყიდება შპს "ვარკეთილის ღვინის ქარხანაც", რომელიც გარდაბანშია განთავსებული. ქარხნის 100-პროცენტიან წილს სახელმწიფო ფლობს, მისი საწყისი გასაყიდი ფასი 1 მილიონი დოლარია.

ასევე კონკურსის წესით, 15 ივლისს გაიყიდება მეოთხე ობიექტი, რომლის საწყისი ფასიც 1 მილიონ 100 ათასი დოლარია. ეს თბილისში, აბაშიძის ქუჩის N17/4-ში მდებარე შენობები და აღჭურვილობებია.

საპრივატიზაციოდ გამოტანილ ხუთ ობიექტს შორის მხოლოდ ერთი - შპს "მშენბაზა" გაიყიდება აუქციონის წესით. ეს ობიექტი ბათუმში მდებარეობს და მისი საწყისი გასაყიდი ფასი 20 ათასი დოლარია.

ამ ობიექტის აუქციონი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში 15 ივლისს 12 საათზე შედგება.

აღნიშნული ობიექტების პრივატიზაციიდან საქართველოს ბიუჯეტი, წინასწარი ინფორმაციით, მინიმუმ 3,5 მილიონ დოლარს მიიღებს.

*24 საათი*

# EBRD-მა "საქართველოს ბანკს" კრედიტი გამოუყო



სს "საქართველოს ბანკმა" გუშინ გამართულ პრეზენტაციაზე ხელი მოაწერა 10 მილიონი აშშ დოლარის ჯამური მოცულობის საკრედიტო და თანამონაწილეობის ხელშეკრულებებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD). ხელშეკრულების თანახმად EBRD უშუალოდ იღებს 5 მილიონი დოლარის დაკრედიტების რისკებს, რაც "საქართველოს ბანკს" შესაძლებლობას მისცემს, გამოუყოს მსხვილ კორპორატიულ კლიენტებს ისეთი სესხები, რომლებიც სცილდება ბანკის ერთ მსესხებელზე გაცემულ კრედიტზე დაწესებულ ლიმიტს.

**"მოხარული ვარ, რომ ჩვენი აქციონერი და ერთ-ერთი ძირითადი კრედიტორი აგრძელებს ჩვენი ბანკის მხარდაჭერას მისი განვითარების გადამწყვეტ ეტაპზე. ჩვენი კორპორატიული და საინვესტიციო დეპარტამენტი, კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს პროდუქტების უპრეცედენტო ფართო არჩევანს, რაც მოიცავს სადაზღვევო, საინვესტიციო, სალიზინგო და ვაჭრობის დაფინანსების მომსახურებას. დაკრედიტების შესაძლებლობების გაუმჯობესება კიდევ უფრო გაზრდის ჩვენს კონკურენტუნარიანობას ბაზარზე. ერგბ-ის თანამონაწილეობა დღევანდელი ხელშეკრულების ფარგლებში ნათლად წარმოაჩენს ნდობას ბანკის დაკრედიტების პროცესისადმი, რომელიც უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გამოსწორდა",** - განაცხადა "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ლადო გურგენიძემ.

*ბექა ევგენიძე*

### საბაჟო დეპარტამენტის შემოსავლებმა საპროგნოზო მაჩვენებელს გადააჭარბა

საბაჟო დეპარტამენტის 2005 წლის იანვარ-მაისის შემოსავლებმა, ოფიციალური მონაცემებით, საპროგნოზო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. კერძოდ, მიმდინარე წლის იანვარ-მაისში დეპარტამენტის მიერ მობილიზებულმა შემოსავლებმა 336 536 ათასი ლარი შეადგინა, რაც 16,3 პროცენტით აღემატება საპროგნოზო მაჩვენებელს - 289 328, 4 ათას ლარს. იანვარში საპროგნოზო მაჩვენებლებით გათვალისწინებული 46 578,1 ათასი ლარის ნაცვლად, მობილიზებული იქნა 54 715 ათასი ლარი, რაც 17,5 პროცენტით გაზრდილი მაჩვენებელია. თებერვალში 48 718,3 ათასი ლარის ნაცვლად, მობილიზებული იქნა 52 080,6 ლარი, რაც 6,9 პროცენტით გაზრდილია; მარტში - 57 482,6 ათასი ლარის ნაცვლად - 74 699,2 ათასი ლარი, რაც 30 პროცენტით გაზრდილი მაჩვენებელია; აპრილში საბაჟო დეპარტამენტის შემოსავლებმა 75 917 ათასი ლარი შეადგინა, რაც 13,7 პროცენტით აღემატება პროგნოზირებულ შემოსავალს, მაისში კი 76 880 ათასი ლარი შევიდა, რაც 12,7 პროცენტით გაზრდილი მაჩვენებელია. **მედია-ნიუსი**

### შავის ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" საკრედიტო ხაზს გაუხსნის.

შავის ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" 3 მილიონი აშშ დოლარის საკრედიტო ხაზს გაუხსნის. როგორც "პრაიმ-ნიუსს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ) აცნობეს, აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღეს ერევანში გამართულ ბანკის მმართველთა საბჭოს მე-7 წლიურ შეხვედრაზე, რომელშიც შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ბანკირები, ბიზნესმენები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სებ-ის ცნობით, ახალი საკრედიტო ხაზის გახსნით შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მიერ დამტკიცებული პროექტების საერთო მოცულობამ საქართველოში 21,5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. **პრაიმ-ნიუსი**

### "თიბისი ბანკი" საცალო საბანკო სისტემის განვითარების პროექტს შეუერთდა

"თიბისი ბანკი" შეუერთდა საცალო საბანკო სისტემის განვითარების პროექტს, რომელშიც "საქართველოს ბანკი" და ბანკი "რესპუბლიკა" 2003 წლიდან მონაწილეობენ. აღნიშნული კომერციული ბანკების მმართველებმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ, ლადო გურგენიძემ და გრიგოლ კაციამ პროექტის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი სამშაბათს მოაწერეს. როგორც ბანკ "რესპუბლიკას" მმართველმა გრიგოლ კაციამ "პრაიმ-ნიუსთან" განაცხადა, პროექტი ითვალისწინებს ბანკის თანამშრომლებისთვის კონსულტაციებს, რაც ორიენტირებულია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის სესხის გაცემის, დეპოზიტზე თანხის განთავსების პროცედურის გამარტივებაზე. კაციას განმარტებით, პროექტი, რომელიც გერმანიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, ფიზიკურ პირებთან წარმოებული საბანკო საქმიანობის მოდერნიზებას, ბანკის მენეჯმენტის რეორგანიზაციას, ექსპერტებისა და გერმანელი ტრენერების საკონსულტაციო საქმიანობას ითვალისწინებს. **პრიამ-ნიუსი**

### თელასის ახალი პროექტი

დღეს 11 საათზე თელასის გენერალური დირექტორი სერგეი კაპლია თბილისის 6 რაიონში მიმდინარე გამრიცხველიანებისა და ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოებს მოინახულებს. გამრიცხველიანების პროექტი 60000 მომხმარებლისათვის ქსელის მოწესრიგებას ითვალისწინებს. პროექტის ღირებულება 30 მლნ ლარია, ხოლო განხორციელების პერიოდი 6 თვეს მოიცავს. **24 საათი**

# კითხვები და ეჭვები აჭარის 2004-2005 წლის ბიუჯეტების მიმართ

## აჭარელი დეპუტატები ფინანსთა მინისტრისგან ახსნა-განმარტებებს ითხოვენ

*აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ნაწილი აღშფოთებულია და საბჭოს უახლოეს სხდომაზე ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს იბარებს. მათ, როგორც თავად ამბობენ, 2004-2005 წლების ბიუჯეტებთან მიმართებაში ბევრი უპასუხოდ დარჩენილი კითხვა დაუგროვდათ, რაზედაც ახსნა-განმარტებებს მინისტრისგან ელიან.*

ეთერ მამულაშვილი

ახლა აჭარაში ის დროა, როცა ადგილობრივმა საკანონმდებლო ხელისუფლებამ აჭარის 2004 წლის ბიუჯეტის შესრულება და 2005 წლის ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი უნდა დაამტკიცოს. თუმცა, როგორც აჭარის უმაღლესი საბჭოს ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენლები იმუქრებიან, არც ერთ და არც მეორე საკითხს მხარს არ დაუჭერენ.

მეტიც, 2004 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით პრეტენზიები უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის წევრებსაც ჰქონდათ. ამასთან დაკავშირებულ მოხსენებაში, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა მოამზადა და რომლის წევრები უმრავლესობას წარმოადგენენ, სერიოზულ დარღვევებზეა საუბარი. თუმცა, როგორც საბჭოს უმცირესობის წევრები ირწმუნებიან, ამ მოხსენების თავდაპირველი ვარიანტის ტონი ბევრად მკაცრი იყო. **"2004 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული, ჩვენი კომიტეტის მიერ დაწერილი დასკვნა ზუსტად ოთხჯერ შეიცვალა. კომიტეტის წევრები გასული წლის ბიუჯეტში არსებული დარღვევების გამო აღშფოთებულები იყვნენ და, შესაბამისად, მათი ტონი ძალიან მკაცრი იყო, რასაც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ჯერ უკმაყოფილება, მოგვიანებით კი, უმრავლესობის წევრებზე ზეწოლა მოჰყვა,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს აჭარის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრმა ხათუნა სამნიძემ.

გასული წლის ბიუჯეტთან დაკავშირებულ პრეტენზიებს უმცირესობის წევრი დავით ბაციკაძე ასე აყალიბებს - გაწეული ხარჯების დიდი ნაწილი კონკრეტიკას არის მოკლებული, მილიონობით ლარი უგზოუკვლოდ არის გამქრალი და პროგრამების გარკვეული ნაწილი არ დაფინანსებულა. კიდევ ერთი ხარვეზი, რაც აჭარის გასული წლის ბიუჯეტის შეუსრულებლობას უკავშირდება, ეს კაპიტალური შემოსავლების ნაწილში არსებული გარღვევაა. ამ მხრივ, გარღვევამ თითქმის 80 პროცენტი შეადგინა, რასაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში ობიექტური მიზეზებით ხსნიან. კაპიტალური შემოსავლების ნაწილში, წლის დასაწყისში დაგეგმილი 9 მილიონის ნაცვლად, წლის ბოლოს მხოლოდ 2 მილიონი ლარი მოგროვდა. ეს კი, პირველ რიგში, როგორც ამას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ამბობენ, შპს "საოკეანო სანაოსნოს" გაჭიანურებული პრივატიზაციით იყო გამოწვეული. ამ ობიექტის გაყიდვიდან შემოსული თანხის გარკვეული ნაწილი, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აჭარის ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა ჩარიცხულიყო. "საოკეანო სანაოსნო", გასული წლის ნაცვლად, მიმდინარე წლის დასაწყისში გაიყიდა, შესაბამისად, აჭარის ბიუჯეტში რეგიონისთვის კუთვნილი თანხა მხოლოდ წელს ჩაირიცხა.

თუმცა, უმაღლესი საბჭოს წევრების ძირითადი პრეტენზიები და შენიშვნები 2005 წლის ბიუჯეტის ახალ, კორექტირებულ ვარიანტს ეხება, რომელზედაც საბჭოში დღეს აქტიურად მსჯელობენ.

დეპუტატთა ერთი ნაწილი იმასაც ირწმუნება, რომ სერიოზული გარღვევა დაფიქსირდა 2005 წლის ბიუჯეტშიც, განსაკუთრებით, წლის პირველ კვარტალში, სადაც საგადასახადო შემოსავლების კუთხით დაგეგმილზე თითქმის 4 მილიონი ლარით ნაკლები მობილიზდა. გარღვევა იყო ხარჯებშიც. როგორც ხათუნა სამნიძე ირწმუნება, უკანასკნელი მონაცემებით, სხვადასხვა პროგრამების 35 პროცენტი დაუფინანსებელი რჩებოდა. განსაკუთრებული გარღვევა იყო სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის მიზნობრივ პროგრამებში, რომლის დიდი ნაწილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრის რწმუნებით, დღემდე არ დაფინანსებულა. **"ყოველივე ამის ფონზე ცოტა გაუგებარია, როგორ აპირებს მთავრობა შემოსავლებისა და ხარჯების გაზრდას?"** - ამბობს დავით ბაციკაძე.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი ის კანონია, რომელიც ოპოზიციური ფრაქციების შეფასებით, აჭარაში ყველაზე ხშირად ირღვევა. ხათუნა სამნიძე ამბობს, რომ რეგიონში სახელმწიფო შესყიდვები ძალიან ხშირად ყოველგვარი ტენდერისა და კონკურსის გარეშე ტარდება. მისივე თქმით, ტენდერის გამოცხადების შემთხვევაშიც კი ის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და იმარჯვებს ის, ვისაც ხელისუფლება ლობირებას გაუწევს. **"ასე იყო ამ ცოტა ხნის წინათ, გზების შესაკეთებლად და სკოლებში მერხების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერის დროს. ასე იყო მაშინ, როცა აჭარაში ავტობუსები შემოიყვანეს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ხათუნა სამნიძემ.

ის ისევე, როგორც მისი კოლეგები, ირწმუნება, რომ 2005 წლის ბიუჯეტის ახალი, კორექტირებული ვარიანტით მნიშვნელოვნად არის შემცირებული სოციალური პროგრამების ხარჯვითი ნაწილი, მაშინ, როცა დაახლოებით ამავე პროპორციით არის გაზრდილი ქალაქის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის გასაწევი ხარჯების მოცულობა. **"ქალაქის კეთილმოწყობა ჩვენთვისაც ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა, თუმცა, ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ჯდება ასფალტის დაგება აჭარაში ასე ძვირი? აქ ფასადების შეღებვაზეც ბევრად მეტი იხარჯება, ვიდრე სხვა რეგიონებში,"** - ამბობს დავით ბაციკაძე.

კითხვები უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის წევრებსაც დაუგროვდათ, თუმცა პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ისინი შედარებით კორექტულები არიან.

უმრავლესობის ფრაქციის წარმომადგენელი პეტრე ზამბახიძე ამბობს, რომ ბიუჯეტებთან მიმართებაში გადაწყვეტილებას ის და მისი თანაპარტიელები მხოლოდ მას შემდეგ მიიღებენ, როცა ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრისგან ამომწურავ პასუხებს მიიღებენ. **"მინისტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი საკმაოდ მოცულობითია, ამიტომ, შეცდომები გამორიცხული არ არის. მით უმეტეს, რომ 2004 წლის ბიუჯეტის ნაწილი ასლან აბაშიძის დროს არის შედგენილი. იმედია, მინისტრისგან ამომწურავ პასუხებს მივიღებთ,"** - აღნიშნა ზამბახიძემ.

# რამდენიმე შენიშვნა რევოლუციური კანონის ირგვლივ

*მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ ექსპერტთა დიდი ნაწილი მთავრობის მიერ წარმოდგენილ ახალ კანონპროექტს "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" ცალსახად დადებითად აფასებს, მათივე თქმით, კანონპროექტში არის რამდენიმე ისეთი მუხლი, რაც ორაზროვნებასა და სხვადასხვა ინტერპრეტაციას იწვევს. უფრო მეტიც, ექსპერტების თქმით, კანონპროექტის ზოგიერთი მუხლი შეუსაბამობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და თავად ამ კანონის ძირითად პრინციპებთან.*

მარიამ ჯაჭვაძე

"ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" და მასთან ერთად სხვადასხვა მოქმედ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონპროექტი მთავრობამ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს 14 მაისს წარუდგინა. თითქმის ერთი თვის გასვლის შემდეგაც კი პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტებში ამ კანონპროექტს დღესაც აქტიურად განიხილავენ, რის შესახებაც "24 საათი" დეტალურად წერდა. შეგახსენებთ, რომ "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი ქართულ სინამდვილეში რამდენიმე ნოვატორულ, თუმცა ევროპის ბევრ ქვეყანაში უკვე კარგად აპრობირებულ პრინციპს ამკვიდრებს. მათ შორის, "ერთი სარკმლისა" და "დუმილი თანხმობის ნიშანიას" პრინციპებს, რაც, ექსპერტების შეფასებით, ხელს შეუწყობს საქართველოში ლიცენზირების გამართული სისტემის ფორმირებას და სამეწარმეო საქმიანობის ბარიერების ოპტიმიზაციას. თავად ამ კანონპროექტის ავტორები მას რევოლუციურს უწოდებენ.

არასამთავრობო სექტორიდან ერთ-ერთი პირველი, ვინც ხსენებული კანონპროექტის ირგვლივ საკუთარი შენიშვნები და რეკომენდაციები მოამზადა, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია იყო. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ანა ქათამიძის თქმით, მართალია, შენიშვნების დიდი ნაწილი რედაქციული და ტექნიკური ხასიათისაა, თუმცა მისი გამოუსწორებლობა სავალალო შედეგებს მოიტანს. გარდა ამისა, წარმოდგენილ კანონპროექტში არის რამდენიმე ისეთი დეტალი, რაც შეუსაბამობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან.

ასე მაგალითად: ხსენებული კანონპროექტი ითვალისწინებს ლიცენზიის გაცემის გაგრძელებული ვადის დამატებით 3 თვით გაგრძელებას, რაც ხორციელდება "მთავრობის მიერ გამცემი უწყების დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე". ეს ჩანაწერი, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის შეფასებით, ეწინააღმდეგება არა მარტო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული



*ანა ქათამიძე "რევოლუციური" კანონის ნაკლოვანებებზე საუბრობს.*

აქტის გამოცემის საერთო ვადა 3 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, არამედ - "ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" კანონპროექტის შემუშავების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, როგორიც არის ლიცენზირების სისტემის ლიბერალიზაცია და ოპტიმიზაცია.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ექსპერტების შეფასებით, ასევე მიზანშეუწონელია კანონპროექტის იმ მუხლის მიღება, რომლის მიხედვითაც, ნებართვის გამცემი განცხადების შეტანიდან 15 დღის ვადაში ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილებას ღებულობს. ასოციაციის ექსპერტი ნიკო თევდორაშვილი ამბობს: **"იმის გათვალისწინებით, რომ ეს ვადა არის ზედმეტად გაზრდილი და გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია გაცილებით მცირე დროში, მიზანშეწონილია, იგი განისაზღვროს განაცხადის შეტანიდან 7 დღით. 15-დღიანი ვადის არსებობა ხშირ შემთხვევაში მაძიებელს გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააყენებს."**

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ექსპერტთა მორიგი შენიშვნა ლიცენზიის მიმღებზე კონტროლის მექანიზმებს ეხება. კანონპროექტის თანახმად, კონტროლის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შერჩევითი შემოწმების განხორციელება მისივე ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ანა ქათამიძის თქმით, **"კორუფციის პრევენციისა და თავისუფალი სამეწარმეო გარემოს ხელშეწყობისათვის მართებული იქნებოდა, ლიცენზიის გამცემს აღნიშნული სახის შემოწმება მოსამართლის ბრძანების საფუძველზე განეხორციელებინა."**

ეს და სხვა შენიშვნები, თანდართული რეკომენდაციებით, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ უკვე გაუგზავნა ყველა შესაბამის უწყებას, მათ შორის, ამ კანონპროექტის ერთ-ერთ ავტორსა და ინიციატორს, სახელმწიფო მინისტრს კახა ბენდუქიძეს. ანა ქათამიძე ამბობს, რომ სახელმწიფო მინისტრმა რამდენიმე შენიშვნის სამართლიანობა აღიარა და მისი გათვალისწინების პირობაც დადო.

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა** კრებული "ვსწავლობთ ტექსტის გააზრებას". კრებული განკუთვნილია 9-10 წლის ბავშვებისათვის და ემსახურება კითხვის უნარის განვითარებას, მოაზროვნე, აქტიური მკითხველის ჩამოყალიბებას, რაზეც ზრუნვა სწავლების ადრეულ საფეხურზევე უნდა დაიწყოს.

კრებულში წარმოდგენილია მასალა, რომელიც გამოყენებული იყო განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტით გათვალისწინებულ 2003 წლის საცდელი პროცესის შეფასებაში. ეს არის ხალხური ზღაპარი, ლიტერატურული ზღაპარი, თანამედროვე საბავშვო მოთხრობა, ისტორიული მოთხრობა და ლექსები, აგრეთვე, საინფორმაციო ხასიათის ტექსტები, რომლებიც მათემატიკისა და ბუნების სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი მასალის ანალოგიურია და რომელთა მსგავსი ტექსტებს მოსწავლეები საბავშვო ენციკლოპედიებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან იცნობენ. ტექსტებს ერთვის სხვადასხვა სირთულის ტესტური კითხვები და დავალებები. კრებული დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს, ნაყოფიერად იმუშაონ მოსწავლეებთან კითხვის უნარის განსავითარებლად.

კრებულის შეძენა შესაძლებელია წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31) და "ლიტერატურული კაფე" (კოსტავას 46/50), წიგნის მაღაზია "პრიმავერა-ჯორჯია" (ცოტნე დადიანის 43), აგრეთვე "სასკოლო ბიბლიოთეკაში" (შალვა დადიანის 11),

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი**




### ახალი კანონი მეთევზეობის შესახებ

დღეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარდება კანონპროექტის - "თევზის მეურნეობის და აქვაკულტურის შესახებ" პრეზენტაცია. "თევზის მეურნეობის დეპარტამენტმა", FAO-ს ექსპერტების დახმარებით, საქართველოში თევზის მეურნეობის სექტორში არსებული მდგომარეობა გამოიკვლია და დარგის განვითარების გენერალური პროგრამა შეიმუშავა. არსებული რეალობიდან გამომდინარე და საერთაშორისო იურიდიულ ნორმებზე დაყრდნობით, შეიქმნა კანონპროექტი: "თევზის მეურნეობის და აქვაკულტურის შესახებ", რომლის მიზანია, უზრუნველყოს საქართველოში თევზის მეურნეობის და აქვაკულტურის მდგრადი განვითარება და მართვა, წყლის ცოცხალი რესურსების ოპტიმალური გამოყენება, თევზჭერასა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე კონტროლის დაწესება, დაცულ ტერიტორიებზე გადაშენების პირას მდგარი თევზის სახეობების დაცვა. აგრეთვე, განხორციელდება ზედამხედველობა საქართველოს ტერიტორიაზე აქვაკულტურის პროდუქტების გადატანასა და ცოცხალი თევზის რესურსების იმპორტზე. მთავრობა კანონპროექტს უახლოეს მომავალში განიხილავს.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორი, ღირსების ორდენის კავალერი, ალექსანდრე გოგუციძე ქრთამის აღების ფაქტზე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, მან, ყალბი დიპლომის დამზადების სანაცვლოდ, მოქალაქეს 300 დოლარი გამოსძალა. მიმდინარეობს მოკვლევა. "ტექნიკურ უნივერსიტეტთან ამ ფაქტს კავშირი არ აქვს, ეს არის ფალსიფიცირებული დოკუმენტი ანუ გარეთ დამზადებული დიპლომი", - აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი რამაზ ხუროძე. **მედია-სნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს თანამშრომლებმა იარაღისა და საბრძოლო მასალის შენახვაში ეჭვმიტანილი ოთხი პირი დააკავეს. სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციამ დააკავა სოფელ ორულუში მცხოვრები, 30 წლის მამედ სორდია, რომლის სახლიდან ამოიღეს ავტომატ "აკს"-ის ერთი მჭიდი და 30 ვაზნა. დაკავებულია, ასევე, ბათუმელი, 40 წლის ლევან ბერიძე, რომლის სახლიდან ამოიღეს ხელყუმბარა "რგდ" დეტონატორით; ასევე, იარაღის უკანონო შენახვისათვის დაკავებულნი არიან სოფელ ჯიხაშკარში მცხოვრებნი - 21 წლის გიორგი ზარანდია და 20 წლის გიორგი ფიჩხაია, რომელთა სახლებიდან ამოიღეს უნომრო გადაჭრილი თოფი, ხელყუმბარა "ფ-1", 5 ძირი კანაფი და ნიღაბი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის აეროპორტში პოლიციამ ყალბი პასპორტის გამოყენებაში ეჭვმიტანილი საქართველოს მოქალაქე დააკავა. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ქუთაისელი 37 წლის ანზორ მანჯავიძე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ათენი-თბილისის რეისზე ჩამოფრინდა საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტით. მანჯავიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ყალბი დოკუმენტების გამოყენების მუხლით აღიძრა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ ორგანოებში (სა-პასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურები) არსებულ ვაკანსიებზე გამართული კონკურსის შედეგი, რომლის თანახმად, საქართველოს მთელი მასშტაბით, ამ სისტემაში დასანიშნად 400-ზე მეტი კონკურსგავლილი შეირჩა. კონკურსის პირველ ეტაპში, 3800-მდე მსურველი მონაწილეობდა, გასაუბრების მეორე ეტაპზე 800 მათგანი გავიდა. დასანიშნად შერჩეულ კანდიდატებს იუსტიციის სასწავლო ცენტრი სპეციალურ ტრეინინგს უტარებს, რომლის გავლის შემდეგ ისინი სერტიფიკატებს მიიღებენ. ტრენინგების კურსი 8 აგვისტომდე გაგრძელდება და მას სამოქალაქო რეესტრის სისტემაში დასანიშნი ყველა კანდიდატი გაივლის. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ღონისძიება "ძებნა 2005"-ის მეორე ეტაპის გატარებისას ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ყვარლისა და ხაშურის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა ხაშურის რაიონის დაბა სურამში დააკავეს ყვარლის შს განყოფილების მიერ განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი, 26 წლის ნოდარ მანანაძე, რომელმაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, 2005 წლის 20 მარტს ყვარელში დანით, განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინა ნინო გაჩეჩილაძის მკვლელობა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა დააკავეს 27 წლის იუზა ბოლქვაძე, რომელიც სხვა პირთან ერთად შევიდა თამარ დიდებაშვილის ბინაში, საიდანაც გამყოფი კედლის დანგრევით ცდილობდა, შეეღწია იქვე მდებარე ვალუტის გადამცვლელი პუნქტის შენობაში, რომელიც ეკუთვნის ნოდარ მაისაიას. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**გარდაბანი.** გარდაბნის გამგეობის წინ, თანატოლის მკვლელობის ბრალდებით, პოლიციელებმა დააკავეს გარდაბანში მცხოვრები, 22 წლის გიორგი გოშთელიანი. შს სამინისტროს ცნობით, ბრალდებულმა გარდაბნის გამგეობის წინ, პარკში, ურთიერთშელაპარაკებისას დანის გულში დარტყმით მოკლა თბილისელი ლაშა დევდარიანი. გოშთელიანისაგან დანა ამოღებულია. **ჯი-ეიჩ-ენი**

# გურჯაანის პოლიციასა და მოსახლეობას შორის შეტაკება მოხდა

*გურჯაანის ცენტრში ადგილობრივ პოლიციასა და მოსახლეობას შორის ინციდენტი მოხდა. კონფლიქტის მიზეზი სოფელ ახაშენის მკვიდრი, 20 წლის ალექსანდრე ნონიაშვილი გახდა, რომელიც პოლიციამ გუშინწინ საღამოს დააკავა შარშან ჩადენილი ქურდობის ბრალდებით. როგორც დაკავებულის ახლობლები აცხადებენ, დაკავებისას პოლიციამ დანაშაულში ეჭვმიტანილს ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა" ჩაუდო.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

დაკავებული ალექსანდრე ნონიაშვილის ახლობლები საქმის გასარკვევად პოლიციაში მივიდნენ და იმ პოლიციის თანამშრომელისგან, რომელმაც დანაშაულში ეჭვმიტანილი დააკავა, მომხდარის შესახებ ახსნა-განმარტებებს ითხოვდნენ. საქმის გარჩევა ქუჩაში დაიწყო და მალევე ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. საქმე ისაა, რომ პოლიციელმა ალექსანდრე მამნიაშვილმა, მასთან პრეტენზიით მისულ დაკავებულის დედას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მამას კი - ფიზიკური.

**"გამომძიებელთან ვიყავით. ქუჩაში რომ გამოვედით, დედამ დაინახა, რომ მანქანით მოძრაობდა ის პოლიციელი, რომელმაც ჩემი ძმა დააკავა. დედამ მანქანა გააჩერა და მისგან პასუხს მოითხოვდა, თუ რისთვის დააკავეს მისი შვილი და როგორ აღმოჩნდა მის ჯიბეში ნარკოტიკული ნივთიერება. იმის ნაცვლად, რომ პოლიციელს წესიერი პასუხი გაეცა, დედას ქუჩის ქალი უწოდა. ამას მოჰყვა სერიოზული ინციდენტი",** - იხსენებს დაკავებულის და თამარ ნონიაშვილი. დანაშაულში ეჭვმიტანილის მამამ ალიკა ნონიაშვილმა მეუღლის შეურაცხყოფა ვერ მოითმინა და პოლიციელს შენიშვნა მისცა, რის შემდეგაც სიტყვიერი შეურაცხყოფა ფიზიკურში გადაიზარდა. ქუჩაში გამოსულმა ათობით პოლიციელმა და ეჭვმიტანილის ახლობლებმა ერთმანეთს უმოწყალოდ სცემეს. ინციდენტი რამდენიმე წუთს გაგრძელდა და ორი ადამიანი - პოლიციელი ალიკა მამნიაშვილი და ნონიაშვილების ახლობელი დაშავდა. ისინი რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

მომხდარ საქმეში სახალხო დამცველის აპარატთან შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი ჩერთო. მონიტორინგის ჯგუფის წევრის, კახეთში არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსიტუტის" წარმომადგენელის, პაატა გოცირიძის თქმით, მათთან საუბარში დანაშაულში ეჭვმიტანილმა განაცხადა: **"პოლიცია, რამდენიმე წელია, გადაკიდებულია ჩემზე. დანაშაული, რომელსაც მაბრალებენ, არ ჩამიდენია, ამიტომაც, პოლიციამ მტკიცებულებები ვერ შეკრიბა, რის გამოც, იძულებულნი გახდნენ, ნარკოტიკი ჩაედოთ და ამ გზით დავეკავებინეთ".**

ალექსანდრე ნონიაშვილმა ქურდობისთვის სასჯელი წლების წინ, 17 წლის ასაკში მოიხადა. სამართალდამცველების მტკიცებით, ნონიაშვილმა შარშან სოფელ ახაშენში მაღაზია გაქურდა. მასზე ძებნა, როგორც პოლიციის უფროსმა არჩილ ბოჟაძემ განაცხადა, გუშინწინ დილიდან გამოცხადდა და იმავე საღამოს დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, მას პოლიციელებმა ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა ჩაუდეს. თავდაპირველად დაკავების მოტივად სწორედ ეს ფაქტი დასახელდა, პოლიციაში მიყვანის შემდეგ კი დაკავების მიზეზი შეიცვალა. აღსანიშნავია, ისიც, რომ პოლიციამ "სპეცოპერაცია" მთელი რიგი დარღვევებით ჩაატარა. დაკავების ოქმის შევსებას და ბინის ჩხრეკას მოწმეები არ დასწრებიან. ეს ფაქტი გამომძიებელმა გოგი პასიკაშვილმა იმით ახსნა, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილმა თავად არ მოინდომა მოწმეების მოწვევა.

სავარაუდოდ, დაკავების დროს პოლიცია ალექსანდე ნონიაშვილს ფიზიკურადაც გაუსწორდა, რის გამოც, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. გამოძიება იმ სამასი ადამიანის დაკითხვას აპირებს, რომლებიც ინციდენტს შეესწრნენ.

# ავტომობილის გატაცებაში ბრალდებული რუსი ოფიცერი გაათავისუფლეს

ბათუმის პოლიციამ რუსი ოფიცერი ოლეგ ხარიტონოვი გაათავისუფლა. "ქართულმა პოლიციამ ოფიცერი ბათუმის სამხედრო ბაზის მეთაურის პასუხისმგებლობის ქვეშ თავდებით გაათავისუფლა", - აცხადებს ამიერკავკასიის საჯარისო დაჯგუფების ოფიციალური წარმომადგენელი ვლადიმერ ყუფარაძე. თუმცა, მისთვის ჯერ უცნობია, მოუხსნეს თუ არა ხარიტონოვს ბრალდება და შეწყდა თუ არა სისხლის სამართლის საქმე. ეს, ყუფარაძის თქმით, 15 ივნისს გახდება ცნობილი.

"ხარიტონოვი დააკავეს ავტომანქანაში, რომლითაც ის ხშირად მიჰყავდათ სამსახურში, ბათუმის რუსულ სამხედრო ბაზაზე. ოფიცერმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, წვიმის გამო, ავტომობილისთვის შეეფარებინა თავი და მძღოლს დალოდებოდა. ავტომობილის მფლობელმა, რომელიც ხარიტონოვს კარგად იცნობდა, ჩვენების მიცემის დროს ხაზი გაუსვა, რომ ძარცვის არავითარი ნიშნები არ არსებობდა და მას ხარიტონოვისადმი პრეტენზიები არ ჰქონდა", - აცხადებს ვლადიმერ ყუფარაძე.

სხვათა შორის, ბათუმში ეს რუსი სამხედრო პირის დაკავების მეორე შემთხვევაა. 20 მაისს იქ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის გამო, ოთხი რუსი სამხედრო მოსამსახურე დააკავეს. ამ ფაქტს საქართველოში რუსეთის საელჩომ თავის საგანგებო განცხადებაში პროვოკაცია უწოდა.

*პრაიმ-ნიუსი*






## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.................................

საკონტაქტო ტელეფონი...........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "[illegible]" ([illegible]);
2. მეტროს სადგური "[illegible]";
3. მეტროს სადგური "[illegible]";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "[illegible]";
7. მეტროს სადგური "[illegible] II", ([illegible]);
8. მეტროს სადგური "[illegible] I";
9. მეტროს სადგური "[illegible]";
10. [illegible] 45 "[illegible]" [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# ევროსასამართლომ ყოფილი პატიმრის სარჩელი დააკმაყოფილა

*ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ რუსეთი დაავალდებულა, 3 ათასი ევრო გადაუხადოს ყოფილ პატიმარს. სტრასბურგელმა მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ რუსეთის ხელისუფლება არაადამიანურად მოეპყრო თავისი ქვეყნის მოქალაქეს, როდესაც ის წელიწადნახევრის მანძილზე წინასწარი დაკავების იზოლატორის გადავსებულ, უჰაერო, ბინძურ და ბნელ საკანში მოათავსა.*

ქართველ პატიმრებს, განსაკუთრებით რამდენიმე საპატიმროში მოთავსებულთ, შანსი გაუჩნდათ, რომ საკუთარი და თავიანთი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა გააუმჯობესონ. ამისათვის საწყის ეტაპზე საჭიროა, ევროსასამართლოს მიმართონ და ის პირობები აღუწერონ, რომელშიც მათ ამყოფებენ. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ქართულმა სახელმწიფომ, შესაძლოა, დიდი ზარალი ნახოს, რადგანაც მხოლოდ ორთაჭალის პირველ იზოლატორს თუ ავიღებთ, იქ 800 კაცზე გათვლილ ციხეში 3000-ზე მეტი პატიმარია გამოკეტილი.

ყოველივე ზემოთ თქმული ევროსასამართლოს მიერ ორიოდ დღის წინ გამოტანილ გადაწყვეტილებას ემყარება. საქმე ის გახლავთ, რომ ევროსასამართლომ დააკმაყოფილა რუსეთის მოქალაქის ანდრეი ნოვოსელოვის სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ. სასამართლომ აღიარა, რომ 44 წლის ნოვოსელოვი წინასწარი დაკავების საკანში ყოფნისას განიცდიდა "არაადამიანურ და დამამცირებელ" მოპყრობას. ამის გამო, რუსეთის ხელისუფლებას მისთვის 3 ათასი ევროს გადახდა მოუწევს. გარდა ამისა, ევროსასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ხელისუფლებას მოუწევს მისთვის სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, რამაც ამ დროისთვის 1,3 ათასი ევრო და 12 ათასი რუბლი შეადგინა.

კრასნოდარის მცხოვრებმა ანდრეი ნოვოსელოვმა ნოვოროსიისკის ერთ-ერთ წინასწარი დაკავების საკანში წელიწადნახევრის გატარების შემდეგ ევროსასამართლოს მიმართა. 1998 წლის ოქტომბერში ის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ბრალდებით დააკავეს, ერთი თვის შემდეგ კი სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და წელიწადნახევრიანი პატიმრობაც მიუსაჯა.

როგორც ნოვოსელოვი თავის სარჩელში აღნიშნავდა, იმ საკნის საერთო ფართობი, რომელშიც სასჯელს იხდიდა, 42 კვადრატული მეტრი იყო და მასში 42-დან 51 პატიმრამდე იმყოფებოდა ხოლმე. მათ წესიერად ძილიც კი არ შეეძლოთ, რადგან საკანში სულ 30 დასაძინებელი ადგილი იყო და საბნები და ბალიშები არ ჰყოფნიდათ. ნოვოსელოვის სარჩელის თანახმად, მას ერთი თვე ლეიბის გარეშეც კი ეძინა.

ყოფილი პატიმრის ნაამბობის თანახმად, საკანში, რომლის დატოვების უფლებასაც პატიმრებს მხოლოდ ერთი საათით თუ აძლევდნენ, ჰაერი თითქმის არ შედიოდა, რადგანაც პატარა ფანჯრები მეტალის ფირფიტებით იყო დაფარული, სავენტილაციო სისტემა კი მხოლოდ რამდენიმე წუთით, შემოვლების დროს ირთვებოდა. საკანში უმეტეს შემთხვევაში ბნელოდა, იატაკს კი ჭუჭყის სქელი ფენა ფარავდა. პატიმრები პედიკულოზით იყვნენ გაწამებულნი, ბევრ მათგანს კანის დაავადებაც აწუხებდა.

როდესაც 1999 წლის აპრილში ნოვოსელოვი ციხიდან გამოვიდა, მას კანის დაავადების მწვავე ფორმის მკურნალობა მოუხდა და ნორმალურად სიარულიც არ შეეძლო. ექიმების დასკვნით, მისი ორგანიზმი გამოფიტული იყო - წელიწადნახევარში მან 15 კილოგრამი დაიკლო. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ნოვოსელოვმა, სასამართლოსთვის მიემართა და მორალური ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა. თუმცა, რუსეთის მართლმსაჯულებამ მიიჩნია, რომ მასთან მიმართებაში ადამიანის უფლებების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. იზოლატორის ხელმძღვანელობის დანაშაულის დამტკიცება ნოვოსელოვმა რუსეთის სასამართლოს ვერც ერთ ინსტანციაში რომ ვერ შეძლო, გადაწყვიტა ევროსასამართლოსთვის მიემართა.

სტრასბურგელმა მოსამართლეებმაც ჩათვალეს, რომ ნოვოსელოვთან მიმართებაში დაირღვა ევროკონვენციის მე-3 მუხლი, რომელშიც განმარტებულია, რომ დაუშვებელია პატიმრების მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაზე რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურ პირებს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

# მართლმსაჯულების მსახურთათვის საგამოცდო ციებ-ცხელება გრძელდება

საქართველოში პირველად ჩატარებული სამოსამართლეო გამოცდები, რომელსაც ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეთა ვინაობა უნდა განესაზღვრა, დასრულებულია. მოსამართლეობის მსურველთა ტესტური გამოცდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით, 11, 12 და 13 ივნისს სპეციალიზაციის მიხედვით, საერთო, სისხლისა და სამოქალაქო სამართალში ჩატარდა. ტესტირებაში 1000-ზე მეტი იურისტი მონაწილეობდა. გამოცდის პირველი ტურის - ტესტირების წინასწარი შედეგი "აბიტურიენტებისთვის", ფაქტობრივად, უკვე ცნობილია, ვინაიდან ტესტირების დასრულებისთანავე სწორი პასუხები გამოქვეყნდა. ოფიციალური შედეგი კი 16 ივნისს გახდება ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეობის მსურველთა ბედი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, უკვე არიან ატესტაციით უკმაყოფილონი. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გუშინ დილიდან ატესტაციაგავლილ მოსამართლეობის მსურველთა პრეტენზიების მიღება დაიწყო. დღის ბოლოსთვის საპრეტენზიო კომისიაში 50 განცხადებაზე მეტი შევიდა. პრეტენზიების პასუხები რამდენიმე დღეში იქნება ცნობილი. ხოლო იმ "აბიტურიენტებს", რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს გამოცდების პირველი ეტაპი, 18 ივნისს წერითი გამოცდა ელოდებათ, რომლის, ასევე წარმატებით დასრულების შემდეგ მათ მოსამართლედ მუშაობის უფლებაც მიეცემათ.

მოსამართლეობის პრეტენდენტთა პარალელურად, გამოცდების ჩაბარება მოუწევთ მოსამართლის თანაშემწეობის მსურველთაც. მათთვის საკვალიფიკაციო გამოცდა 17 ივნისს სამოსამართლო სწავლების ცენტრში ჩატარდება. ტესტირებას გაივლის ის 60 იურისტი, რომლებმაც სამოსამართლო სწავლების ცენტრში მოსამართლის თანაშემწის პრეტენდენტთა 3-თვიანი კურსი გაიარეს. სასწავლო პროგრამის მიხედვით, ტესტები 100 კითხვისაგან შედგება, 70 სწორი პასუხი კი გამსვლელია. სასწავლო პროგრამის მიხედვით, იურისტები მომზადდნენ სამოქალაქო პროცესში, სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართალში, სისხლის პროცესში, საერთაშორისო სამართალში, საკონსტიტუციო სამართალში და ადმინისტრაციულ სამართალში. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებისას საზოგადოებრივი კონტროლის და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოცდაზე მეთვალყურეებად დაიშვებიან იუსტიციის საბჭოს წარმომადგენლები. იურისტები, რომლებიც ტესტირებას გაივლიან, სამოსამართლო სწავლების ცენტრის სერტიფიკატს მიიღებენ, რომლითაც მათ უფლება ენიჭებათ, იმუშაონ მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე.

*24 საათი*

# საპატრულო პოლიციამ გასულ კვირას 1794 მძღოლი დააჯარიმა

შსს-ს საპატრულო პოლიციამ გასული კვირის განმავლობაში გამოავლინა მოძრაობის წესების დარღვევის 1 794 ფაქტი, მათ შორის, არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვის - 82, სიჩქარის გადაჭარბების - 99, ავარიული სიტუაციის შექმნის - 42, ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანის მართვის - 48, პოლიციელის დაუმორჩილებლობის - 6, სახელმწიფოს სანომრე ნიშნის გარეშე ავტომანქანის მართვის - 77, მართვის მოწმობის გარეშე ავტომანქანის მართვის - 62 და მოძრაობის წესების დარღვევის სხვა 476 ფაქტი.

ამავე პერიოდში საპატრულო პოლიციელებმა დააკავეს ძარცვის ფაქტზე - ერთი, ქურდობის ფაქტზე - ექვსი, ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე ორი მოქალაქე, ერთი ძებნილი და ერთი სავიზო რეჟიმის დამრღვევი უცხოეთის მოქალაქე.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ავტომატი "აკს", ერთი მჭიდით და 30 ვაზნით;

აღმოჩენილია გატაცებული ერთი ავტომანქანა.

შსს-ს ინფორმაციით, ბოლო ერთი კვირის მანძილზე საპატრულო პოლიციის მიერ ამოღებულია უკანონო ტვირთები, მათ შორის: 45 333 ლარის ღირებულების უაქციზო სიგარეტი; განუბაჟებელი, 2 000 ლარის ღირებულების პარფიუმერია; 11 255 ლარის ღირებულების ხის მასალა; 2 100 ლარის ღირებულების დიზელი; 1 000 ლარის ღირებულების ავტომანქანის ზეთი; 1 000 ლიტრი შხამქიმიკატები; 2 000 ლარის ღირებულების ფეხსაცმელი; 8 800 ლიტრი საგალანტერიო საქონელი; 2 280 ლარის ღირებულების ავტონაწილები; 2 400 ლარის ღირებულების სამეურნეო საქონელი.

*ჯი-ეიჩ-ენი*



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბერიშვილი

გურამ ოდიშარიას სვეტი

## გასაუბრება 1998-2004 წლების დღიურთან

გაგრძელება

■ ხანდახან ბოდიშს ვიხდი სხვათა გამოც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ სხვებს ჩემი ბოდიშის გამო, ეპატიოს დანაშაული; სწორედ ისევე, როგორც მე არ მაქვს უფლება, ცოდვილს შევუნდო სხვისთვის მიყენებული ზიანი. პატიება - მსხვერპლის პრეროგატივაა.

■ ცოდვათა შორის ერთ-ერთი დიდი ცოდვა სხვისი სიკეთის არდანახვაა. უპირველესად, მოწინააღმდეგის სიკეთეა დასაფასებელი.

■ მოლაპარაკებებს კეთილშობილი ადამიანების შუქი სჭირდება. მათი სინათლე, როგორც ელექტროენერგია, ერთმანეთისკენ ერთმანეთისათვის უნდა გადავანაწილოთ.

■ ქვეყანა, რომლის წესებითაც ნაწილობრივ დღესაც ვცხოვრობთ, უკვე აღარ არსებობს, მაგრამ ხანდახან მისი "ადამიანები წარსულთან" და მისივე "ადამიანები მომავლიდან" თავს იყრიან ჩვენს აწმყოში და ერთმანეთს ემსგავსებიან.

■ პრიმიტიულები არიან "ნებადართული კრიტიკის" ადამიანები; ხოლო ურთიერთობა იმ ადამიანებთან, რომლებიც თავიანთი კრიტიკისათვის სარგებელს პოულობენ, სულის შემხუთველია.

■ სანამ პოლიტიკა და კონსტიტუციები არ გასულიერდებიან და გაკულტურდებიან, მანამდე პრობლემები სულ თავზესაყრელად გვექნება.

■ პლანეტაზე არსებულ სხვადასხვა სახის, ხასიათის და მასშტაბის კონფლიქტებზე ბევრად მეტია ზოგიერთ კონფლიქტოლოგთა შორის არსებული ჩუმი თუ ხმაურიანი კონფლიქტები. მათი ურთიერთსიძულვილი შეიარაღებულ კონფლიქტში დაპირისპირებულთა სიძულვილს ბევრად აღემატება.

■ ჯერ არც ერთი ყველაზე აგრესიული და გაბოროტებული პოლიტიკოსისა თუ არაპოლიტიკოსისაგან არ გამიგონია რომელიმე ხალხის კულტურის ძაგება.

■ არიან საზოგადოებები, რომლებიც თავიანთი ისტორიის გარკვეულ პერიოდებში მეთოდურად ქმნიან და ლუპავენ თავიანთ კერპს. კერპი სიკვდილს იწყებს მაშინ, როდესაც ის, საზოგადოების "სიყვარულით" გაბრუებული, რეალობის შეგრძნებას კარგავს.

■ ბოროტება ღირსეული ადამიანების უმოქმედობის ხარჯზე ძლიერდება.

■ საქართველოში კარგადაა ცნობილი მშვიდობის ასეთი ირონიზება - "მშვიდობის მაძიებელი"; რომელსაც ხშირად უსაქმური ან უცნაური კაცის მისამართით იყენებენ ("აი, მოვიდა მშვიდობის მაძიებელი") და ამავდროულად ტრადიციულ ქართულ სუფრაზე პირველად მშვიდობის სადღეგრძელო წარმოითქმის. ასე რომ, ქართველს შეუძლია ერთი წუთით ვინმეზე იხუმროს - ის კაცი მშვიდობის მაძიებელიაო, ხოლო მეორე წუთს მთელი სერიოზულობით თქვას მშვიდობის სადღეგრძელო. ჩვენი მშვიდობა ლაღ ღიმილსა და მწარე ჩაფიქრების შორისაა გახირული.

■ ომმა ადამიანი უფრო შემაყვარა.

■ არსებობს ჭადრაკში ასეთი სიტუაცია: "მუქარა მეტია შეტევაზე". ცხოვრებაშიც ზუსტად ასეა.

■ ნეტავ, რატომ მახსენდება ასე ხშირად ერთი სკოლის მოსწავლის სიტყვები -"მე დავიღალე ჩემი ქვეყნის გმირობებითა და ტრაგიზმით".

■ პროპაგანდა და ჭეშმარიტება ერთმანეთისაგან განსხვავდება; ჩვენ ვერ ვისწავლეთ, როგორ მივუახლოვოთ ოპტიმიზმი რეალიზმს.

■ ალენ დელონი რუსეთის ერთ-ერთ ტელეარხს ინტერვიუს აძლევს; ჰყვება, თუ როგორ ეწვია დიდი დეპრესია მესამე ცოლთან განქორწინების შემდეგ, მაგრამ "უწამლეს" ქართველი პოეტის - ვაჟა-ფშაველას პოემებმა. მეორე დღეს ერთი მეგობარი მირეკავს: ვაჟას წიგნს ხომ ვერ მათხოვებო. ვეხუმრები: იქნებ ხვალ შვარცნეგერმა რუსთაველი აქოს, მაშინ "ვეფხისტყაოსანსაც" მომთხოვ, ბარემ ორივეს ერთად გათხოვებ-მეთქი.

ვაჟა-ფშაველა ჭეშმარიტად კავკასიელი პოეტია. სამწუხაროდ, მის პოემებს და, საერთოდ, მის შემოქმედებას, კავკასია არ იცნობს.

■ SMS საქართველოს პრეზიდენტს: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ მუშაობთ შესანიშნავ აპარტამენტში, თქვენ ცხოვრობთ და ისვენებთ კომფორტაბელურ ნაგებობაში: გთხოვთ, იქნებ როგორმე მოახერხოთ და იმუშაოთ, იცხოვროთ და დაისვენოთ ლტოლვილთა კომპაქტურ ცენტრებშიც, ბავშვთა და მოხუცთა სახლებშიც, რიგით ანუ ღარიბ თანამოქალაქეთა ბინებშიც... და კიდევ: ხანდახან იმგზავროთ მეტროთი და ავტობუსით.

■ ადამიანი სულს ვერასოდეს მოითქვამს თუ მან გარკვეულობის მიზიდულობა დაკარგა. მას მოუვა სწორედ ისე, როგორც კოსმონავტების მიერ კოსმოსში საექსპერიმენტოდ ატანილ ყვავილის თესლს. თესლი გაღვივდა, მაგრამ, რადგანაც უწონადობის პირობებში ვითარდებოდა ანუ დაკარგული ჰქონდა დედამიწის მიზიდულობის ძალა, თავის ფესვებში გაიხლართა და მცენარე ვერ აყვავილდა. ასევეა გაურკვევლობაში მყოფი ადამიანი.

■ თურმე მთავარია პროპაგანდა, თორემ საფრანგეთის რევოლუციის დროს, 1788 წლის 14 ივლისს ბასტილიიდან ორი განებივრებული ტუსაღი გაათავისუფლეს. იმ დღეს ლუი მე-16 თავის დღიურში ჩაწერა - დღეს არაფერი მომხდარაო. ის იმ დღეს სანადიროდ იყო წასული და ვერაფერი მოინადირა.

■ ერთ-ერთი მოგზაური დაახლოებით ასეთ რამეს წერდა: მტვირთავმა ინდიელებმა უარი განაცხადეს გზის გაგრძელებაზე, ბარგი პატარა მინდორზე დაყარეს და გვითხრეს - ძალიან სწრაფად მივდივართ და ჩვენი სულები ვერ გვეწევიანო; აუცილებელია, სულებს დაველოდოთო. ორი დღე მოლოდინში ვიყავით. მესამე დღეს მათ თქვეს - სულები უკვე ჩვენთან არიანო და გზა განვაგრძეთ.

ჩვენც, უკანასკნელი წლების ორომტრიალში, ჩვენს სულებს გავუსწარით, დავკარგეთ ისინი, მაგრამ იმ მტვირთავი ინდიელების მსგავსად, როდი ველოდებით, მივდივართ და მივდივართ შეუსვენებლივ... ოღონდ საით, წესიერად არც ვიცით.

გაგრძელება იქნება

გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები!



სოხუმი, 1978 წელი. მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებულები და პედაგოგები საბანკეტოდ რესტორან "ამრაში" მიემართებიან.

ფოსტა

## ღმერთმა გვაცილოს ომი და უბედურება

პატივცემულო რედაქცია! აფხაზეთიდან დევნილი, ოთხი ვაჟის მარტოხელა დედა გთხოვთ თანადგომას, რათა თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო იმ პირებს, რომლებმაც უანგარო, ძალზე საჭირო დახმარება აღმომიჩინეს ჩემს უაღრესად გაჭირვებულ დღეებში.

ჩემმა ვაჟმა, მანუჩარ სიხარულიამ, ვერ დაძლია აფხაზეთის ომის დროს მიღებული ტრავმა და მიმდინარე წლის 3 იანვარს გარდაიცვალა ხარკოვის ერთ-ერთ კლინიკაში.

წარმოუდგენელი გაჭირვება შემექნა ცხედრის გადმოსვენებაში, როგორც ეკონომიკურად, ისე ფიზიკურად, მაგრამ დიდი ჯაფით და კეთილი ადამიანების დახმარებით ყველაფერი დავძლიეთ.

დაუვიწყარი იქნებიან ჩემთვის ეს ადამიანები: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ქალბატონი ეთერ ასტემიროვა, ამავე სამინისტროს მინისტრის აპარატის უფროსი ალექსანდრე აბულაძე, საქართველოს ელჩი უკრაინაში გრიგოლ ქათამაძე და მისი მრჩეველი ამირან ბეჟუაშვილი.

ფულადი დახმარება აღმომიჩინეს კიევში მოღვაწე ქართველებმა, სოხუმელმა ვასილ ბერულავამ და მანგლისელმა გელა კუჭაიძემ.

მიუხედავად დიდი მწუხარებისა და გაჭირვებისა, ჩემს ყურადღებას არ გამოპარვია უკრაინელი უბრალო ადამიანების ყოველმხრივი თანაგრძნობა.

გულწრფელი მადლობა აღნიშნულ პირებს, მადლობა უკრაინელ ხალხს.

ღმერთმა გვაცილოს ომი და უბედურება.

*როზა სიხარულია*

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი"**, ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# ჩიხი არ იქნება

*საქართველოს შეიარაღებული ძალები და ქართულ-აფხაზური კონფლიქტი - მოსალოდნელია თუ არა კავშირი ამ ორ რეალობას შორის და რას მოგვიტანდა ასეთი მოვლენა? - კითხვა, რომელიც აწუხებს მთელ საქართველოს, განსაკუთრებით კი, აფხაზეთს. აფხაზეთის საკითხით დაკავებული ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში შეიარაღებული ძალების გამოყენებას კატეგორიულად გამორიცხავენ. ხელისუფლების წარმომადგენლებს კი მშვიდობიანი გზა ულტერნატივოდ სულაც არ მიაჩნიათ და სავსებით დარწმუნებულები არიან, რომ ჩიხში არ მოექცევიან. ამის შესახებ მოსაზრებებს ჩვენი დიალოგიდან გაეცნობით, რომელშიც მონაწილეობენ ექსპერტი ვახტანგ ყოლბაია, სოხუმის უნივერსიტეტის დოცენტი ზურაბ ჭედია და პარლამენტარი ნიკა გვარამია. სამივე აფხაზეთიდან დევნილია.*

ზაზა ფაჩუაშვილი

**- თქვენი აზრით, შეიმჩნევა თუ არა რაიმე ახალი რეალობა ქართლ-აფხაზურ კონფლიქტში?**

**ვახტანგ ყოლბაია:** "ჩემი ინფორმაციით, კონფლიქტისადმი ახლებური მიდგომა აფხაზეთშიც შეიმჩნევა. ამ დღეებში სტანისლავ ლაკობამ საკმაოდ სერიოზული განცხადება გააკეთა და არ უთქვამს, რომ აფხაზეთს რუსეთის იქით გზა არა აქვს. ცხადია, არც საქართველოს სასარგებლო განცხადება გაჟღერებულა, მაგრამ უკვე სხვა აქცენტები კეთდება და აფხაზეთში გაცილებით უფრო დიდ ინტერესს იჩენენ ევროკავშირში ინტეგრაციისადმი. ჩემი აზრით, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ აფხაზებთან მისასვლელი გზები.

კონფლიქტის დაწყებიდან 15 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში სამყარო შეიცვალა და, ცხადია, კონფლიქტისადმი მიდგომაც უნდა შეიცვალოს. ჩვენც განუწყვეტლივ უნდა ვეძებდეთ სოხუმისკენ მიმავალ გზებს. ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ მესამე ძალაზე, მაგრამ მომზადებულნი უნდა შევხვდეთ იმ მომენტს, როცა ამ მესამე ძალას გავანეიტრალებთ."

**ზურაბ ჭედია:** "აფხაზეთში რთული მდგომარეობაა. იქაურებს ქართველებთან ოფიციალური ურთიერთობის ეშინიათ, თუმცა კერძო საუბრებში არის ურთიერთობის სურვილი. 1997 წელს მოსკოვში ერთობლივი გამოფენა მოვაწყვეთ, რომელშიც აფხაზი მხატვრებიც მონაწილეობდნენ. გვიხაროდა, რომ ერთად ვიყავით და ერთმანეთთან არავითარი პრობლემები არ გვქონია, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ ისურვა აფიშაზე საკუთარი გვარის დაფიქსირება. დღესაც ასეთი მდგომარეობაა. არადა, ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა შემოქმედებით კავშირებს ჩვენსა და აფხაზებს შორის. თქვენ იცით, რომ გურამ ოდიშარიამ გააკეთა კავკასიელ მწერალთა წიგნი, სადაც სხვებთან ერთად დაბეჭდილია ქართველი და აფხაზი მწერლების ნაწარმოებები. ძალიან კარგი იქნებოდა ასეთივე ერთობლივი პროექტები განხორციელდეს მხატვრობაში, მუსიკაში და ა.შ. ჩვენ პირდაპირ უნდა გავიდეთ აფხაზებთან დიალოგზე. რაც უფრო მეტ დროს დავკარგავთ და ერთმანეთისგან გაუცხოებული თაობები გაიზრდებიან, საქმე უფრო გართულდება. ტერიტორია რომც შემოიერთო, კონფლიქტის მოგვარება ძალიან გართულდება."

**ნიკა გვარამია:** "ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში საქართველოს შანსები მნიშვნელოვნად გაიზარდა, იმდენად, რამდენადაც ამასთან დაკავშირებით გაჩნდა სახელმწიფოებრივი პოზიცია. წინა ხელისუფლებას საამისო ნება არ გამოუხატავს.

რა პროცესები მიმდინარეობს? - პირველი, ეს არის ზოგადად ქართული სახელმწიფოს განვითარება, რაც სწორად და ენერგიულად ხდება. და მეორე, ეს არის სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან იმის დეკლარირება, რომ აფხაზეთის საკითხი ქვეყნისათვის პირველი და უმთავრესი პრობლემაა, რომელიც უნდა გადაიჭრას. ასეთი დამოკიდებულება დადებითად მოქმედებს საერთაშორისო თანამეგობრობის საქმიანობაზეც, რაც წინა ხელისუფლების დროს ასევე უნიათოდ გამოიყურებოდა. თანამედროვე მსოფლიოში ძალიან სწორი პოზიციაა აქცენტის აშშ-ზე გადატანაც. ჯორჯ ბუშის თბილისში ვიზიტსა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. მართალია, საუბარი იყო იმაზე, რომ პრიორიტეტულია მშვიდობიანი გზა, რასაც საქართველოც ეთანხმება და ეს ბუნებრივია, თუმცა მავანთა გაღიზიანება იმით, რომ ქვეყანაში ჯარის აღმშენებლობა მიმდინარეობს, ჩემთვის სრულიად გაუგებარია. ეს არის შემდგარი სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი და არა აფხაზეთისთვის განკუთვნილი ქმედება. უბრალოდ, საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია პაციფისტური პოზიცია და ვერ განაცხადებს, რომ კონფლიქტის მოგვარების საქმეში შეიარაღებული ძალების გამოყენება გამორიცხულია. მოგეხსენებათ, ეს ფაქტორი ვერ გამოირიცხება, სანამ ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენია. ერთადერთი, რისი თქმაც შეგვიძლია და რასაც სახელმწიფო აცხადებს კიდეც, ისაა, რომ შეიარაღებული ძალების გამოყენება არის უკიდურესი გზა, როცა ყველა სამშვიდობო რესურსი ამოიწურება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ ტერიტორიების დაბრუნება, რომელსაც დღეს კრიმინალები მართავენ, და მათი გავლენისაგან ხალხის გათავისუფლება საქართველოს ხელისუფლების მოვალეობაა. საქართველოს ყველა მოქალაქის კეთილდღეობა სახელმწიფოს ვალდებულებაა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და აფხაზი ერის გადარჩენა საქართველოს ხელისუფლების მისიაა.

აფხაზები დღეს დგანან ასიმილაციის, კრიმინალიზაციისა და ეროვნული გენოფონდის მოშლის საფრთხის წინაშე. არავინ იფიქროს, რომ ჩვენთვის იმ ტერიტორიების დაბრუნება თვითმიზანია და სხვა არაფერი."



ნიკა გვარამია, ვახტანგ ყოლბაია და ზურაბ ჭედია.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

**- როგორ შეხვდა აფხაზური მხარე თქვენს პოზიციას, რომ შეიარაღებული ძალების გამოყენების შესაძლებლობა არსებობს?**

**ნიკა გვარამია:** "შლაინინგის" შეხვედრაზე მე არავითარ განცხადებებს არ მოვერიდებივარ იმიტომ, რომ ნამდვილად არ მიმაჩნია მშვიდობიანი გზა ულტერნატივოდ. ასეთი ალტერნატივა რომ არსებობს, ეს ყველამ კარგად იცის. უბრალოდ, რაც უფრო მცირეა ამ ალტერნატივის გამოყენების ალბათობა, მით უკეთესია და ჩვენ ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. თუმცა, ეს პირდაპირ კავშირშია აფხაზური მხარის პოზიციასთან. ანუ, საქართველომ მაქსიმუმი უნდა გააკეთოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მცდელობის წარმატება დამოკიდებული იქნება აფხაზურ მხარესთან დიალოგის წარმატებაზე. აბსოლუტურად ღიად ვთქვი შეხვედრაზე, რომ, თუ აფხაზური მხარე იქნება ყრუ კედელი და არაადეკვატური საქართველოს ხელისუფლების მიერ შეთავაზებული წინადადებების მიმართ (მაქსიმალურად ფართო ავტონომიურობა, ფედერალური სუბიექტის სტატუსი, თუმცა არა კონფედერაცია, ქვეყნის სახელწოდების შეცვლა ისე, რომ აფხაზეთიც ფიგურირებდეს, აფხაზი ერის ავტოხტონურობის ხაზგასმა, აქედან გამომდინარე ყველა უფლებით და ა.შ), მაშინ, რა თქმა უნდა, გამორიცხული არაფერი იქნება. აფხაზურმა მხარემ იმასაც უნდა გაუწიოს ანგარიში, რომ რაც უფრო განვითარდება და გაძლიერდება საქართველო, მით უფრო ნაკლებ შეთავაზებას მიიღებს.

სამწუხაროდ, აფხაზური მხარის პრინციპია, ქართველებისგან დამოუკიდებლები იყვნენ, თორემ რა უნდათ - დამოუკიდებლობა, რუსეთში ცხოვრება, კონგლომერატის შექმნა ჩრდილოკავკასიელებთან თუ სხვა რამ, - ეს თავად არ იციან. ეს არის მთელი პრობლემა, ეს არის მათი არაგულწრფელობის გამოხატულება და მთელი პრობლემის არსი, რომელიც გვაჩვენებს, რომ მათი პოზიცია არის თვითმიზნური, ანტიქართული და დანარჩენი ყველაფერი მათთვის სულერთია."

**- როგორი უნდა იყოს სახელმწიფო პოზიცია, რომ მაქსიმალური ეფექტი მივიღოთ?**

**ვახტანგ ყოლბაია:** "ოფიციალური ვერსიით, კონცეფციის შემუშავება და აფხაზებისთვის შეთავაზება ჯერ ადრეა. ეს რითია განპირობებული, არ ვიცი, მაგრამ ჩემი აზრით, პოზიცია არასწორია. დოკუმენტი მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ ნებისმიერ დროს შეგვეძლოს მოლაპარაკების მაგიდაზე დადება. მე ვფიქრობ, რომ კონცეფციაზე მუშაობა მიმდინარეობს. სამი წლის წინათ, მე ვიყავი ვენეციის კომისიაში და ვიცი, რომ მათი ჩამოსვლა უკვალოდ არ ჩაივლის და სახელმწიფო კონცეფცია შეიქმნება.

აქ მთავარია, აღდგეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და მოხდეს ქართველებისა და აფხაზების ინტერესების გადაკვეთა. რეალურად უნდა გავითვალისწინოთ აფხაზების მდგომარეობა და ისეთი ურთიერთობები ჩამოვაყალიბოთ, რომ აფხაზეთში მცხოვრები ყველა მოქალაქის უფლებები დაცული იყოს."

**ზურაბ ჭედია:** "რასაკვირველია, დაცული უნდა იყოს საერთო სახელმწიფო ინტერესები და აფხაზების ინტერესები, მაგრამ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობაც არ უნდა დაგვავიწყდეს. სამწუხაროდ. ზოგიერთ კონცეფციაში დევნილების უფლებები დაცული არ არის. უნდა ვიფიქროთ იმ ხალხის ბედზე, ვინც დაბრუნდება და აფხაზეთში იცხოვრებს."

**ნიკა გვარამია:** "ჩარჩო კონცეფცია კეთდება (უბრალოდ, ჯერჯერობით, მუშაობა მიმდინარეობს სამაჩაბლოზე). ცხადია, ვაკუუმი არსებობს და მე ვფიქრობ, რომ უფრო მეტი უნდა კეთდებოდეს. ჩემი აზრით, სტატუსის შესახებ კანონზე მუშაობა დაწყებული უნდა იყოს. მაგრამ ეს ყველაფერი აუცილებლად იქნება და მთავარია, ადეკვატური იყოს აფხაზური მხარე. ყველამ უნდა იცოდეს, რომ თანამეგობრობის მხრიდან დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გასაღები საქართველოში დევს. ჩვენ გვაქვს ყველა საამისო რესურსი (სამართლებრივი, ეკონომიკური, სამხედრო და ა.შ.) და აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ."

**- როგორ ისახება კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა?**

**ნიკა გვარამია:** "ჩიხი არ იქნება, ეს არის მთავარი. ჩიხი არ იქნება იმიტომ, რომ საქართველოს აქვს არჩევანის უფლება და თუ ერთი ვარიანტი არ გაამართლებს, ამოქმედდება მეორე, მესამე... ასე რომ, ჩიხი არ იქნება და ეს არის მთავარი პოზიტივი. აფხაზი ჩემთვის ძალიან ფასეულია და ის რისკი, რომელიც ძალის გამოყენებას მოსდევს და საშიშროებას უქმნის თუნდაც ერთი აფხაზის სიცოცხლეს, ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. ამიტომ, პირადად მე ყოველნაირად ვეცდები, რომ ეს კონფლიქტი უმტკივნეულოდ მოგვარდეს. თუმცა, ეს პროცესი უსასრულოდ ვერ გაიწელება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში რუსეთი აფხაზებს გადაშენებით ემუქრება. აშკარაა რუსეთის მიზანი აფხაზეთში - აფხაზეთი უაფხაზებოდ."

**ვახტანგ ყოლბაია:** "ბევრჯერ მითქვამს, რომ ჩიხი არის, მაგრამ ამ შემთხვევაში ვიზიარებ ნიკას პოზიციას. თუ ქვეყანაში არის იმის პოლიტიკური ნება, რომ პრობლემა ჩიხში არ მოექცეს, მაშინ ჩიხი მართლა არ იქნება"

**ზურაბ ჭედია:** "გამოუვალი მდგომარეობა ბუნებაში არ არსებობს, ამიტომ თუ სურვილი იქნება, გამოსავალი აუცილებლად მოიძებნება."

# "ომის შვილების" სტუმრობა თბილისში

*ბავშვთა საერთაშორისო დღეს თბილისს გალელი მოსწავლეები და პედაგოგები სტუმრობდნენ. აფხაზეთის განათლების სამინისტრომ, აფხაზეთის პროფკავშირებმა და ლეგიტიმური მთავრობის გალის გამგეობამ ბავშვებს დიდი ხნის ნატვრა აუსრულა და თბილისის ნახვის შესაძლებლობა მისცა.*

ლელა მარგიანი

გალის რაიონის ერთ-ერთი სკოლის მეათეკლასელი სალომეს წერილიდან: "ვარ საქართველოს ულამაზესი კუთხიდან - აფხაზეთიდან. გალი ჩემი მშობლიური ქალაქია. მე ის ძალიან მიყვარს. მაგრამ ჩემი საყვარელი კუთხე, ნიკო ლორთქიფანიძის თქმისა არ იყოს, "დღეს ოხრად დარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს".

მე, ისევე როგორც ჩემს თანატოლებს, ხშირად გამჩენია სურვილი, არ მეცხოვრა ისეთ ქალაქში, სადაც ყოველდღე დანგრეული და დამწვარი სახლები გახსენებს სასტიკ წარსულს.

ჩემი თანაკლასელების დიდი სურვილია, ერთად მოვინახულოთ საქართველოს დედაქალაქი, დავათვალიეროთ მისი ღირსშესანიშნავი ადგილები და თუნდაც რამდენიმე დღით დავივიწყოთ ომის საშინელებით მიყენებული ტკივილები."

მისი თანაკლასელი ნოდარიც ოცნებობდა თბილისზე: "თანაკლასელებს მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთმანეთისგან განვსხვავდებით, ჩვენ ერთი რამ გვაქვს საერთო - ჩვენ ომის შვილები ვართ.

ყოველდღე გავდივართ დანგრეულ, დამწვარ სახლებს შორის და მწარე რეალობა ომის დავიწყების საშუალებას არ გვაძლევს. ვინ იცის, რამდენჯერ გვინატრია, გაგვევლო მრავალსართულიან სახლებს შორის, წავსულიყავით ერთად კინოში, და საერთოდ, გვეცხოვრა ისე, როგორც ცხოვრობს ნებისმიერი ჩვენი თანატოლი საქართველოს ნებისმიერ ქალაქში. ჩემი სურვილია, დავათვალიეროთ თბილისის ახალაშენებული სამების ტაძარი."

აღნიშნული წერილები, ცოტა ხნის წინ, თბილისში განთავსებულმა აფხაზეთის განათლების სამსახურის "საინფორმაციო ბანკმა" გალიდან მიიღო. რამდენიმე გალელი მოსწავლისა და მათი პედაგოგის წერილები გაყვითლებულ, საბჭოთა კავშირის დროინდელი ათკაპიკიანი მარკით და წარწერით - "Судебная повестка" დამშვენებულ კონვერტში იდო.

ბავშვების ნატვრა ასრულდა. თორმეტი ბავშვი და მათი სამი პედაგოგი თბილისში ორი დღით იმყოფებოდნენ.

"სამინისტროს თანამშრომლები გალელ ბავშვებს ვაგზალზე ჩვენს შვილებთან ერთად დავხვდით. სტუმრები, ძირითადად, მეცხრე-მეათეკლასელები იყვნენ, ზოგი - შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახიდან. მოვიწვიეთ განათლების სამინისტროში, სადაც მინისტრი და სამინისტროს თანამშრომლები მათ ძალიან თბილად შეხვდნენ. დღის მეორე ნახევარში ბავშვები ვაკის პარკში წავიყვანეთ, სადაც იმ დღეს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გრანდიოზული სანახაობა გაიმართა. გალელმა ბავშვებმა ძალიან ისიამოვნეს ვაკის პარკში ყოფნით. მონაწილეობა მიიღეს სპორტულ ღონისძიებებში, ასფალტზე ხატვაში. აქციის ორგანიზატორებისგან მაისურები და კეპებიც მიიღეს საჩუქრად. მათთვის უფასო კვებაც იყო, ხოლო საღამოს დიდი კონცერტი გაიმართა. კონცერტის დროს გამოცხადდა, რომ იქ იმყოფებოდნენ გალიდან ჩამოსული ბავშვები და ყველა ოვაციებით შეხვდა მათ. გალელი ბავშვები გაოგნებულები იყვნენ თბილისელი ბავშვების ასეთი თბილი შეხვედრით," - გვითხრა აფხაზეთის განათლების სამსახურის თანამშრომელმა, აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ქალბატონმა ელისო კახიანმა.

მისი თქმით, ბავშვების სიხარული ვერც ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ გაანელა. წვიმისგან გაწუწულები და ერთიანად სველები, ისინი მაინც ძალიან ბედნიერები იყვნენ. თურმე, ერთ-ერთს წვიმის დროს მასპინძელი ბავშვი აუყვანია და მთელი გზა ჩახუტებული უტარებია. თან საკუთარი ცხვირსახოციც გადაუფარებია თავზე, არ დასველდესო.

თბილისში ყოფნის პირველი ღამე გალელმა ბავშვებმა სამინისტროს თანამშრომლების ოჯახებში გაატარეს და თანატოლებსაც დაუმეგობრდნენ.

ქალბატონ ირმა გელოვანს სტუმრად ორი გალელი ბავშვი ჰყავდა, ორივეს ნოდარი რქმევია. "ორი ბიჭი წავიყვანე სტუმრად, მეც ბიჭი მყავს. თანატოლები იყვნენ. ძალიან დამეგობრდნენ. გალელი ბავშვები ძალიან გახარებულები იყვნენ. როცა ვკითხე, ამ სტუმრობისას უფრო მეტს ხომ არ ელოდით-მეთქი, ასე მიპასუხეს, ვერც წარმოგვედგინა, თუ თბილისში ასე თბილად მიგვიღებდნენო. წასვლისას, ჩემს ვაჟს დაჰპირდნენ, გალიდან აუცილებლად დაგირეკავთო.

თბილისში სტუმრობის მეორე დღეს გალელმა ბავშვებმა მოინახულეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპოზიცია - "ოქრომრავალი კოლხეთი", პარლამენტის წინ რატომღაც კარგა ხანს შეჩერებულან და შენობას დიდხანს ათვალიერებდნენ.

შედეგ აფხაზეთის განათლების სამინისტროში სპეციალურად მათთვის გამართულ კონცერტს დაესწრნენ, "გმირთა მოედანზე" აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს, ზოოპარკსაც ესტუმრნენ და ბოლოს, კაფე "მარენოს" მესვეურების მიპატიჟებით, კარგადაც ისიამოვნეს. "მარენოს" თანამშრომლებმა ბავშვებს სამახსოვრო ფოტოსურათებიც გადაუღეს და სითბო და სიყვარული არ მოაკლეს.

**"სამწუხაროდ, "მაკდონალდსმა" გალელი ბავშვების უფასოდ გამასპინძლებაზე უარი გვითხრა, ამოგვეწურა დაფინანსებაო. არ მოველოდით, თორმეტი ბავშვის გამასპინძლებაზე თუ გვეტყოდნენ უარს,"** - წუხდნენ გალელი სტუმრების თბილისელი მასპინძლები.

სტუმრობის მეორე ღამეს თბილისის ვაგზალზე მეგობრები ცრემლითა და მომავალი შეხვედრის იმედით ეთხოვებოდნენ ერთმანეთს.

გამოკითხვა

# რამდენად რეალურია გალის ქართული მოსახლეობის გააფხაზების საფრთხე?

**გოჩა თ.** აფხაზეთიდან დევნილი, 46 წლის: "თითო-ოროლა ადამიანს რა პერსპექტივა აქვს მომავალში, ეგ არ ვიცი, მაგრამ ნამდვილად არარეალურია. ჯერ ერთი, გალის რაიონის მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართულია, მეორე, იქ ახლა, ძირითადად, მამების თაობა ცხოვრობს. ახალგაზრდები უფრო მეტად აქეთ მხარეს არიან, სულ აქვთ კონტაქტი და მისვლა-მოსვლა, აღდგა ქართული სკოლები. სიტუაცია გალში სიწყნარისკენ მიდის. ეს, ერთი მხრივ, კარგია, მეორე მხრივ - ცუდი. აფხაზებსაც ეგ აწყობთ, რაც ნაკლებს იხმაურებ, თუკი შეეგუები მონის სტატუსს, მათაც ეს უნდათ. გალს ისინი, ჩემი აზრით, სერიოზულად მიხედავენ, რომ მოსახლეობის უკმაყოფილება ნაკლები იყოს, მაგრამ არ დათმობენ, რადგან გალის დათმობა ნიშნავს, რომ შემდეგ ანალოგიური პროცესები ოჩამჩირეში დაიწყება."

**ნონა მერაბიშვილი**, ფილოლოგი, 39 წლის: "ერთი შეხედვით, საკითხის ასე დასმა კაცს შეიძლება აბსურდულად მოეჩვენოს, თუმცა გამორიცხული არაფერია. რამდენი კაცი დადის მეგრული გვარით და თავს იკლავს, აფხაზი ვარო? ჩემი მეგობრის ცოლი აფხაზეთიდან დევნილია, გვარად კაკაჩია, კაკაჩიები აფხაზებიც არიან. თუ ქართულმა სახელმწიფომ გალის მოსახლეობას განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქცია და აფხაზების მხრიდან ზეწოლა იქნა, შეიძლება ვილაცები კი დაეწერონ აფხაზებად, მაგრამ მასობრივად ასეთი რამ წარმოუდგენელია. მე ვფიქრობ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ "რუსეთს ძალიან დიდი მოთმინება აქვს" და აშკარად და ფარულად მოქმედებს. ჩემი აზრით, გალის ქართველი მოსახლეობის გააფხაზების საფრთხეზე უფრო რეალური აფხაზების რუსებთან ასიმილაციაა."

**ელგუჯა კარიაული**, პენსიონერი, 66 წლის: "თუ აქამდე არ გააფხაზდნენ, ახლა - მით უმეტეს. მე ეგ ამბავი ყურით მოთრეული მგონია. მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ კი დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს გალის ქართულ სკოლებს, უნდა უზრუნველყოს სახელმძღვანელოებით, ხელფასებით და ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი."

**რუსუდან სახამბერიძე**, ინჟინერ-გეოლოგი, 54 წლის: "საფრთხე არსებობს, რა თქმა უნდა. მოსახლეობა იქ ძალიან ცუდ დღეშია, მათ განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ. ასევე გააფხაზდა არაერთი ადამიანი სოხუმში, გაგრაში - საბჭოთა პერიოდში, როცა აფხაზებს, როგორც ეთნიკურ უმცირესობას, ბევრი შეღავათი და უპირატესობა ჰქონდათ, ამ ადამიანებს დიდი წინაპრები, ბებიები, ბაბუები, ქართველები ჰყავდათ, თვითონ კი აფხაზებად მიიჩნევენ თავს. ასეთი პროცესები ყოველთვის და ყველგან ხდება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ეროვნულობის შეგრძნება ისე ძლიერი არ იყო, ძალიან დიდი იყო რუსული გავლენა - სოხუმში, გაგრაში, უმეტესად, რუსულად ლაპარაკობდნენ."

**გიორგი მოდებაძე**, სტუდენტი, 23 წლის: "საფრთხე, იქნებ, არსებობს, მაგრამ ასეთი რამეები ერთ-ორ წელიწადში არ ხდება. ადამიანმა შეიძლება ეროვნება ჩინელი ჩაიწეროს, მაგრამ ჩინელი, გულითაც რომ უნდოდეს, მაშინვე ხომ ვერ გახდება, თუ ჩინეთში, ჩინურ გარემოში არ იცხოვრა, სულ ცოტა, მისმა ორმა თაობამ მაინც. ცალკეული ადამიანები შეიძლება გააფხაზდნენ, ან პირიქით - აფხაზები გაქართველდნენ, მაგრამ ეგ ბევრს არაფერს ნიშნავს."

**ნონა კ.** ეკონომისტი, აფხაზეთიდან დევნილი, 30 წლის: "არ არის ეგ ამბავი მასე. ქართულ სკოლებში აფხაზურს კი ასწავლიან, მაგრამ გალის რაიონში საბუთების წარმოება რუსულად მიმდინარეობს. აფხაზური სკოლებიც არის, მაგრამ უფრო ოჩამჩირისკენ, იმ სოფლებში, სადაც აფხაზური მოსახლეობაა. ბაგაფშის მთავრობამ გალში და მთელს აფხაზეთში რაღაცეების მოწესრიგება გადაწყვიტა. ჩვენ "ნალოგებს" სულ ვიხდიდით, ახლა ამბობენ, ვინც არ იხდიდა, ან მთლიანად დაფარავს დავალიანებას, ან - სახლს ჩამოვართმევთო. გალის მოსახლეობის უსაფრთხოებაზეც ლაპარაკობენ, ამბობენ, სოხუმის კომკავშირის მეორე მდივანი რომ იყო, ელგუჯა ქავთარაძე (დედით აფხაზია), იმას ნიშნავენ გამგებლადო, თუმცა, არ მგონია, მართალი იყოს. კონფლიქტის მოგვარება დიდი ხნის განმავლობაში რომც ვერ მოხერხდეს, მაინც არ მოხდება ის, რომ გალის მოსახლეობა გააფხაზდეს, ეგ ზღაპარია."

საფირონი - დაკარგული თვალი



B2

თალიბანის შემდეგ



B3

გაისად უკეთ ვითამაშებ!



B5

ნომრის სტუმარი

# არ ვიცი, რა არის პოლიტიკა

## მაგრამ თავისუფლების ყველაზე დიდი მონაპოვარი პასუხისმგებლობაა

მაია ჭალაბანიძე

*20 ივლისიდან 7 დღის განმავლობაში შეგიძლიათ, გაეცნოთ ქართული ყოფისა და ცხოვრების წესს. ეს მოხდება თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე და ამ ფესტივალს "არტგენი 2005" ჰქვია. როცა ეთნოგრაფიულს ამბობ, ხშირად ძველს და მივიწყებულს გულისხმობ, მაგრამ ეს არ იქნება მხოლოდ ის, რა ოსტატობის მემკვიდრენიც ვართ. ამ უნიკალურ, თან სამუზეუმო, თან სრულიად აქტუალურ სივრცეში გამართული ფესტივალის მიზანი იმის ჩვენებაა, თუ რა დეტალებით ამდიდრებენ თანამედროვე, უყურადღებოდ დარჩენილი ოსტატები იმას, რაც მათ წინაპრებისგან გადმოეცათ. ზუმბა თავის მეგობრებთან ერთად უკვე მეორე წელია, ამ ფესტივალის ორგანიზატორად გვევლინება.*

- შარშან უფრო ოჯახური ფოლკლორის ტრადიციების ფესტივალი იყო. წელს მთავარი აქცენტის გაკეთება ხალხურ რეწვაზე გადავწყვიტიეთ. რეგიონებში თავად დავდივართ, მოვიწვიეთ ძალიან კარგი ოსტატები, ისინი, ვინც ქვაზე, ხეზე, თიხაზე ტრადიციული ტექნოლოგიებით მუშაობას აგრძელებენ. წლევანდელ ფესტივალზე ამ ხალხის უმრავლესობა ჩამოდის. 7 დღეს თბილისში იცხოვრებენ. იქნება გამოფენები, ყოველდღე კონკრეტულ დარგზე გაკეთდება აქცენტი. იქვე ჩატარდება პატარა მასტერკლასები, სემინარები. ყველაფერი ადგილზე და ცოცხლად მოხდება - ოსტატები საკუთარი ინსტრუმენტებით ჩამოდიან, ადგილზე შექმნიან ნიმუშებს და მსურველის შემთხვევაში გაყიდიან კიდეც.

**- თანდათან თბილისშიც შეინიშნება ძველი ხელობით გატაცება, მაგალითად, თექის ბევრი სალონი გაიხსნა.**

- ადრე სკოლებიც იყო, შეგირდებიც ჰყავდათ, მაგრამ სამწუხაროდ, ახლა ცოტა თუ ასწავლის ოსტატობას, რადგან ხალხური ტრადიციები იმდენად დაჩაგრული და კუთხეში მიყენებულია, რომ ამ ხალხს ერთი სული აქვს, ოღონდ ვინმე დაინტერესდეს და საკუთარი ცოდნის გამოვლენის და ახალი თაობისთვის გადაცემის საშუალება მიეცეს.

**- შარშანდელთან შედარებით ფესტივალისადმი დაინტერესება გაიზარდა?**

- სოფელ-სოფელ, კარდაკარ დავდიოდით და ისე ვკრეფდით ინფორმაციას. ჩვენ პატარა ქვეყანა გვაქვს, ყველამ ყველაფერი იცის და თუ საქმე რაიმე ფასეულობას ეხება, მოძიება არ გაგიჭირდება.

ვფიქრობ, რომ დრომ და ყოფითმა გაჭირვებამ სულიერი მხარე მიჩქმალა, მაგრამ ახლა მოვიდა დრო გავიხსენოთ ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და რა მიმართულებით უნდა წავიდეთ. სანამ ეს ხალხი ცოცხალია (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს), რაც შეიძლება ხშირად უნდა ვეზიაროთ ამ ფესვებს. ფესტივალის მიზანი მეცნიერული კვლევა არ არის. მიზანი პოპულარიზაცია და ახალგაზრდა თაობისთვის იმის ჩვენებაა, ვისი შთამომავლები და მემკვიდრეები არიან.

**- ამბობენ, დღეს ახალი თაობა სულ სხვა რამით ერთობაო.**

- შარშანდელ ფესტივალზე მომსველელთა 80 პროცენტი პატარები იყვნენ, 9 წლიდან 25 წლამდე. თუმცა, პატარა ხრიკსაც მივმართეთ... ბევრმა მართლაც იცოდა სად მოდიოდა და რას წარმოადგენდა ეს ფესტივალი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მშობელი არ იცნობს თავის კულტურას და შვილებს რას გააცნობს? ასეთი პრობლემებიც ხო გვაქვს? ამისთვის გამოვიყენეთ პოპულარული სახეები და ფოლკლორულ საღამოებს ცოცხალი მუსიკის კონცერტი ასრულებდა. სცენაზე ის ხალხი იდგა, ვინც, ჩვენი აზრით, ფასეულ მუსიკას ქმნის. ასე რომ, დასკვნით კონცერტს ელოდნენ და ტრადიციებს ეცნობოდნენ. ამ "ხრიკმა" შედეგი გამოიღო - ბოლო 4 დღის განმავლობაში 4-5 ათასი ადამიანი ამოდიოდა, დახურვაზე კი ტევა აღარ იყო.

**- ელოდით ასეთ ინტერესს?**

- ამაზე არ გვიფიქრია. ამ საქმეს გულით მოვეკიდეთ. ძალიან გვინდოდა, იმ ხალხისთვის გვეგრძნობინებინა, რომ ისინი ყველას სჭირდება, რომ ისინი მიტოვებულები არ არიან და არიან ჩვენი კულტურის ღერძი და საფუძველი.

შარშანდელი ფესტივალის შვიდივე კონცერტი ჩაწერილია და ამ ფესტივალზე პირველი დისკის პრეზენტაციაც იქნება. წლევანდელი ფესტივალის შედეგი ორ ენაზე დაბეჭდილი 100 ფურცლიანი კატალოგი იქნება, სადაც ყველა ეს ოსტატი თავისი ბიოგრაფიით, ნამუშევრებით და მისამართებით იქნება წარმოდგენილი.

**- როგორც ვიცი, ფესტივალის იდეა ზუმბა-ნიაზის საუბარში დაიბადა. გენიალური იდეები ასე უბრალო საუბრებისას იბადება, არა?**

- გენიალური იდეები ჰაერში დაფრინავენ, უბრალოდ დროზე უნდა დაიჭირო. შეიძლება, ეს იდეა ერთდროულად სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებ ადამიანს გაუჩნდეს. თუ ვიცით ამ სამყაროში რა ფუნქცია გვაკისრია, მერე შესრულების გზებს ეძებ. ყველაზე ცუდი ის არის, როცა ფუნქცია არ გაქვს.

**- კონკრეტულად რომელ რეგიონს და ოსტატს გამოყოფდით?**

- უცნაური ბალანსია - რეგიონებში, სადაც სასიმღერო ფოლკლორია განვითარებული რეწვა "მოიკოჭლებს" და პირიქით - სადაც ხალხურ რეწვას მისდევენ, იქ ნაკლები სასიმღერო ტრადიციებია. ეს ჩემი პირადი დაკვირვებაა და მეცნიერული პრეტენზიები არ მაქვს.

**- ყველა რეგიონი შემოიარეთ?**

- უგზოობის გამო ვერ ავედით ფშავში, ხევსურეთში. ბიჭები მთიან აჭარაში იყვნენ, მე რაჭაში ვიყავი. კონტაქტები ყველგან გვაქვს. სადაც წელს ვერ ჩავაღწიეთ, შარშან დადებული სიტყვიერი შეთანხმება გვქონდა. ასე რომ, ფესტივალში თითქმის ყველა რეგიონი მიიღებს მონაწილეობას.

**- ეს ფესტივალი ოდესმე საერთაშორისო გახდება? უცხოელი მონაწილეები ჩამოვლენ, ან ვინმე საზღვარგარეთ გაიტანს ამბავს ამ ხალხის შესახებ?**

- კატალოგზე მოგახსენეთ - ამის გაკეთება თავის თავზე ბრიტანეთის საელჩომ აიღო. ყველა საელჩოში, თვითმფრინავების ბორტებზე, ტურისტულ ბიუროებში დარიგდება, საზღვარგარეთაც გავა და ტურიზმის ხელშემწყობი ცნობარი იქნება.

ფესტივალით შარშანაც დაინტერესდნენ უცხოელები. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა უცხოელს და ისიც მინდა ვთქვა, რომ ქართველები ქართულ საქმეში ფულს არ იხდიან, უცხოელები კი ინტერესდებიან - ასეთი რაღაცეებიც ხდება. ალბათ, დრო სჭირდება იმას, რომ გავერკვეთ, ვინ ვართ და რა ფასეულობა გაგვაჩნია. ვფიქრობ, საკუთარ თავს არ ვაფასებთ. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ, რა გვჭირდებოდა ფესტივალის გასაკეთებლად. სპონსორები თავად ირჩევდნენ რაში დაგვეხმარებოდნენ. წლევანდელ ფესტივალს "ქართული ცხოვრების წესის ფესტივალი" ჰქვია - ცეკვაც არის, თამაშობებიც, რეწვაც, კულინარიაც, ხალხური თეატრები, სიმღერა. ყველა საღამო კონცერტით დასრულდება. უხუცესთა ჯგუფები მოვიწვიეთ... ეს მხოლოდ სანახაობა არ იქნება, სტუმრები ამ ყველაფრის მონაწილენი გახდებიან.

**- სოფელში, ზამთრის ცივ და გრძელ საღამოებში შექმნილ თანამედროვე ფოლკლორს ძველისგან განსხვავებული რა დაემატა?**

- ონის რაიონში, სოფელ მაჟიეთში ცხოვრობს ბატონი ბორია გუგეშაშვილი. დაცარიელებული სოფელია, მხოლოდ რამდენიმე მეზობელი ჰყავს. შვილები მასთან ერთად არ ცხოვრობენ, მათ ზაფხულობით ხვდება. ეს კაცი ფოლკლორის საოცარ ნიმუშებს ქმნის, ლექსებსაც წერს, სიმღერებსაც და თავის ოჯახთან ერთად მღერის.

ამბროლაურში არის სოფელი წესი, იქ ბატონი აკაკი გოცირიძე ცხოვრობს და საკუთარ სიმღერებს თავის ოჯახს და სამეზობლოს ასწავლის.

**- რაზე მღერიან დღეს თანამედროვე ფოლკლორისტები?**

- მათ შემოქმედებაში ყოფითი მომენტებიც არის შემოჭრილი, ოღონდ უფრო ხშირად იუმორისტული, შაირების ფორმით გვხვდება. რიტმიკა და ჰარმონია კი ტრადიციულ ხაზს მისდევს. თუმცა, თანამედროვე დეტალებიც აქვს, მოგასმენინებთ...

ხარაგაულის რაიონის სოფელ კიხში უხუცესთა ანსამბლი ჰყავთ. თუმცა, ეს ბიჭები არც ისე უხუცესები არიან, თავს იზერებენ... მათი ხელმძღვანელი სულიკო ციმაკურიძეა. მან ასეთი რამ მითხრა: "რა გგონია, ბიძია, რასაც ჩვენ ახლა ვმღერით, სულ ძველი იმერული სიმღერებია? სულ ჩემია ყველა, მაგრამ ეს რომ ხმამაღლა ვთქვა, ვინ მომისმენს მერეო..." უძვირფასესი ხალხია. ესენი ძველსაც მღერიან და ახალსაც ქმნიან. ყველა კუთხეში ასეა.



გოჩიტა ბახაძის ფოტო

**მათთვის არსებობს ნამდვილი ხელოვნება და არსებობს იაფფასიანი გზები ბიზნესის საკეთებლად და ერთჯერადი წარმატების მოსაპოვებლად. ის, რაც დროს გადაურჩება და დარჩება, ნამდვილია. ის, რაც ტელევიზიით გამუდმებით ისმის, მათთვის პრიორიტეტი არ არის. მასკულტურა, მათთვის საშაყირო თემაა.**

**რას ნიშნავს, როცა გეძახიან, რომ ხარ საქართველოს მოსახლეობა, ანუ რიცხვითი, პირობითი ერთეული და არა ერის კულტურული ღერძი?! ნამდვილად არ ვარ საქართველოს მოსახლეობის ერთი ინდივიდი, მე ვარ ჩემი ერის ერთ-ერთი შვილი და ამ ტერმინებში დიდი განსხვავებაა.**

**- ამ ადამიანებს რომ დახვეწილი გემოვნება აქვთ, ეს ფესტივალზე ჩანს. რას ფიქრობენ ისინი თანამედროვე ქართული მუსიკის შესახებ?**

- მათ ყველაფერი გაცილებით მარტივად აქვთ დალაგებული, ვიდრე ჩვენ. მათთვის არსებობს ნამდვილი ხელოვნება და არსებობს იაფფასიანი გზები ბიზნესის საკეთებლად და ერთჯერადი წარმატების მოსაპოვებლად. ის, რაც დროს გადაურჩება და დარჩება, ნამდვილია. ის, რაც ტელევიზიით გამუდმებით ისმის, მათთვის პრიორიტეტი არ არის. მასკულტურა, მათთვის საშაყირო თემაა. რა თქმა უნდა, ეს სადარდებელიც არის, რადგან ამაზე ბავშვები იზრდებიან. ყველა ასაკს თავისი მოთხოვნები აქვს. პოპკულტურაც შეიძლება იყოს კარგი. პოპმუსიკა განვითარებისთვის აუცილებელია - როცა ხარ პატარა და სკოლა ახალი დამთავრებული გაქვს, სხვა გემოვნება გაქვს. იზრდები და ინტელექტუალურ მუსიკაში შედიხარ, მაგრამ ხარისხი მასობრივ კულტურაშიც საჭიროა.

**- თქვენი ფესტივალი ალტერნატივაა და ეს სახელი იმიტომ ჰქვია, რომ არ არის უმრავლესობის ინტერესის საგანი. რას შეცვლის ეს ფესტივალი?**

- ყველაზე კარგი ის არის, რომ ამ ფესტივალებზე ტრადიციული კულტურის გვერდით თანამედროვე დგას. რამდენიმე ისეთი ჯგუფი იქნება, რომელიც, ჩვენი აზრით, კარგ მუსიკას ქმნის. ეს კონტრასტისთვის არ კეთდება. არ კეთდება იმისთვის, რომ ვაჩვენოთ, თითქოს წარსული სხვაა და დღევანდელობა - სხვა.

გურულ ბაბუებთან ვძმაკაცობთ. ისინი ჩემი კონცერტის დღეს ჩამოდიან. შეიძლება, სცენაზე ექსპრომტად რაღაც შედგეს. უხეშად რომ ვთქვათ, ქართული "ბუენავისტა" და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან რაც მათთვის ღირებულია და გულთან ახლოს არის, ის უყვართ, იმას გრძნობენ. მუსიკა იმდენად გონებით აღსაქმელი არ არის, რამდენადაც გრძნობით.

**- გურულები სერიოზულად გიყურებენ?**

- ეს 70-80 წლის ბაბუები ჩვენზე უფრო თანამედროვეები არიან. სერიოზულადაც მიყურებენ, შვილადაც ვუყვარვარ, მეხუმრებიან და ზოგჯერ დამცინიან კიდეც - ასე ვართ, ეს ცოცხალი ცხოვრების წესია. იმიტომ გემღერება, რომ სული მოითხოვს ამას და ამ მუსიკალურ მიმართულებას რა ფორმაც არ უნდა მიეცეს, კარგია. მუსიკა ან არის, ან არ არის. მე ასე ვხედავ და ეს ამ ხალხმა მასწავლა.

**- დღეს თითქოს მორჩა შოუ-ბიზნესის ერთი ეტაპი. რაღაც მიმართულებებმა და მომღერლებმა საკუთარი თავი ამოწურეს. რამ უნდა დაიკავოს ეს ადგილი?**

- შრომამ უნდა ჩაანაცვლოს. ყველა მოვლენას სახელს თუ არ დავარქმევთ და არ გავერკვევით, რა რას ნიშნავს, არაფერი გამოვა. ყველაფერს - ერთპიროვნულად ესტრადას ვუწოდებდით. თუმცა, ხარისხიანი, ცოცხალი მუსიკაც იყო. მაგალითად, ანსამბლი "75", "მზე და დედამიწა" და სხვა, რომელიც მიყვარს და ამაზე გავიზარდე. 80-იანი წლების ბოლოს ეს ყველაფერი ჩაანაცვლა ტექნიკის დაკონსერვებულმა მიღწევამ, რომელსაც "სინთეზატორი" ჰქვია. ელემენტარული მათემატიკაა - როდესაც კონცერტზე მიდიხარ და 5 კაცი მიგყავს, აღებული ფული მათ უნდა გაუყო. ამ დროს კი გაქვს "სინთეზატორი", სადაც ხუთი კაცის მაგივრად ერთი უკრავ ყველაფერს. ეს წარმოქმნა წვრილმა ბიზნესმა - მექორწილეებმა, მერესტორნეებმა და სხვა. ამას დაერქვა ესტრადა და მივედით ფონოგრამამდე. არც ერთ ქვეყანაში არ ლაპარაკობენ "პლუსსა" და "მინუსზე", ეს ყველგან აბსურდია. ყველაზე უკანასკნელ პოპვარსკვლავსაც კი თავისი ბენდი ჰყავს და მღერის. როდესაც სცენაზე არ უკრავენ და ოფლი არ ილვრება, იმას შემოქმედება არ ჰქვია.

**- ამან კარგა ხანს გასტანა...**

- დიახ და დააკნინა ძირითადი ფასეულობები, რასაც მრავალხმიანი სიმღერა და რიტმიკა, ჯაზი, როკი, ალტერნატივა ჰქვია.

**- და ეს იქნება გაკვეთილი იმათთვის, ვინც სასიმღერო ჟანრის ახალ ეტაპს დაიწყებს?**

- ეს ერთმანეთზე დამოკიდებული ჯაჭვია. თუ დღეში 7-ჯერ მასმენინებ სიმღერას იმიტომ, რომ ვიღაცის საყვარელმა, ან მამიკომ, ან ბიძამ ფული გადაგიხადა და ეს ფული გჭირდება, მესამე ან მეოთხე დღეს მეც ვიმღერებ იმიტომ, რომ ამეკვიატება. ეს რეკლამის სინდრომია. მერე სპორტის სასახლეშიც წავალ სამლარიან კონცერტზე. სამი ლარი კი იმიტომ ღირს, რომ გახმოვანება იაფია - ამას სჭირდება მხოლოდ CD ფლეიერი, გამორთული მიკროფონი და ორი-სამი დინამიკი. ცოცხლად შესრულებას კი ათჯერ მეტი ხარჯი აქვს. მიუხედავად ამისა, არსებობს ხალხი, რომელიც თავისთვის სარდაფებში ზის, უკაკუნებენ, უჩხაკუნებენ და რაღაც ღირებულს ქმნიან. შარშან ასეთი ხალხისთვის ქუჩის ფესტივალი გავაკეთეთ. კომპანია "მი-ფასი"-მ უფასოდ მოგვცა აპარატურა. ეს ქუჩაში დავდგით და ყველას დაკვრის საშუალება ჰქონდა. ფესტივალმა სამი თვე გასტანა და ამ ხნის განმავლობაში ორმოცამდე ჯგუფი გამოჩნდა. აქედან 15 ჯგუფი მაინც, სავსებით ჩამოყალიბებული, მოაზროვნე და ნორმალური ჟღერადობის მქონე იყო.

**- ბაზარი აკეთებს მოთხოვნებს თუ პირიქით?**

- ბაზარიც ქმნის მოთხოვნებს და მოთხოვნები ბაზარს, მაგრამ, ხშირად, როდესაც მასმედიის წარმომადგენლებს ამ თემაზე ვესაუბრები, ასეთ პასუხს ვიღებ - იმაზე ვწერთ, რაც ხალხს უნდაო... მასამ არასდროს არ იცის, რა სურს, მასის გემოვნებას ხელოვანი და მასმედია ერთად ქმნის. მედიამ კომერციული გვერდით რაღაც კარგიც უნდა შესთავაზოს, რადგან უნდა შექმნას არჩევანი. ბოლოს ტელევიზიით როდის ნახეთ ფოლკლორული კონცერტი? ფილარმონიაში აკეთებენ ამას და ისიც ვალის მოხდის გამო და თან ფული თავად შემსრულებლებმა უნდა გადაიხადონ - ეს ცალკე აბსურდული სისტემაა.

თუ ჩვენ გვინდა, რომ ვარსებობდეთ როგორც სახელმწიფო უნდა დავანებოთ ცოტა ხანს თავი დედაქალაქს და მივხედოთ სოფლებს, შევაჩეროთ ეს მიგრაცია და ახალგაზრდებს უნდა შევუწყოთ ხელი. სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და კულტურა თუ ერთიან სისტემაში არ მოექცა და თუ საზოგადოება არ აყვირდა "სოფელს დავუბრუნდეთ", არაფერს არ ეშველება. ოღონდ ეს მხოლოდ ყვირილი არ უნდა იყოს, ამას სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერი სისტემა უნდა მოჰყვეს.

**- ამის ნიშნებს ხედავთ?**

- დიახ. ეს ყველა ქვეყანამ გაიარა და პროცესი აქაც იწყება. პოლონეთის მაგალითზე ვიცი ეს. ტურისტების მისაღებად კი სოფლებში პირველ რიგში, ტუალეტები და შხაპები უნდა გავაკეთოთ. მას არ სჭირდება შენი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო - ნებისმიერ გლეხს მიუკაკუნებს, ის ღამეს გაათევინებს, დააპურებს, ლეგენდას მოუყვება და ტურისტი ამაში ფულს გადაიხდის. რატომაც არა, იცხოვროს, ისუნთქოს ეს ჰაერი, ადგილზე ნახოს ხელოვნების ნიმუშები და იქვე მოისმინოს სიმღერა.

**- უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მუსიკალური კრიტიკა არ არსებობს და ალბათ ამის ბრალიც არის ამ სფეროს სტაგნაცია...**

- ეს სერიოზული პრობლემაა, რადგან ჯანსაღ სიტუაციას ყოველთვის ჯანსაღი კრიტიკა ქმნის.

**- როკის ოჯახის წარმომადგენელი ჯგუფები არ ტრიალებენ მომრავლებულ მუსიკალურ არხებზე. ეს თქვენი სურვილია თუ ამ არხების?**

- რაღაც ღირებულის შექმნა გინდა, მაგრამ გადის დრო და წელიწადში ერთხელ თუ მოახერხებ კლიპის გადაღებას. ათასი ხელისშემშლელი პირობაა. სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს. ჯობია, არსებობდეს ჯანმრთელი და ღირებული და სასწორზე იდოს, ვიდრე ეყაროს ათასი ნაგავი. არავის არაფერი არ უნდა აუკრძალო, სცენიდან არავინ არ უნდა ჩამოაგდო, ყველაფერი უნდა გაუშვა, რაც უნდათ ის უქნიათ. უბრალოდ, არ ხერხდება კარგი პროდუქციის შექმნა, რადგან ეს ხარჯებთან არის დაკავშირებული.

**- ამ ფესტივალის მოსაწყობად ბიუროკრატიული ბარიერები როგორ გაიარეთ?**

- კულტურის სამინისტროს არაფერს ვთხოვთ. მუზეუმი კულტურის სამინისტროს ქონებაა და მუზეუმისთვის გარკვეულ ვალდებულებებს ვიღებთ. შარშან ღობეები აღვადგინეთ, წყალი გავიყვანეთ. წელს თონეები ჩაიდგმება, გვინდა რამდენიმე სახლსაც დავეხმაროთ. ვნახოთ, როგორ გვეყოფა ფინანსები. მუზეუმისთვის ყოველწლიურად რაღაცას აუცილებლად გავაკეთებთ. ასე ხო არ არის - შევედით, გამოვედით და მომავალ წლამდე კარგად ბრძანდებოდეთ! მუზეუმი ჩვენი, ყველას საკუთრებაა. ნამდვილად ვიცი, რომ ევროპაში ერთ-ერთი უნიკალურია. ერთ სივრცეში ხალხური ცხოვრების წესის ამხელა სპექტრი არც ერთ ქვეყანაში არ არის წარმოდგენილი. ეს საქართველოს პატარა მოდელია.

**- და ამ მოდელში არასასიამოვნო რამეებიც ხდება. თქვენ ხელი მოაწერეთ საზოგადოების ერთი ნაწილის მიმართვას, სადაც სახელმწიფო მანქანის სადამსჯელო ქცევის ტენდენციების გამო შიშია გამოთქმული. თქვენ როდის და სად იგრძენით ეს?**

- ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ჩვენი ბრალია. არავის არ ვადანაშაულებ. ის, რომ გამოუცდელი ხალხი მოვიდოდა, ხელისუფლების სუნს გაიგებდა და გაუჩნდებოდა ამბიციები, ამპარტავნება - ეს ჩვეულებრივი პირადი რამ არის და ნებისმიერს შეიძლება დაემართოს, ვინც სულის სიძლიერით არ გამოირჩევა. ადამიანს, ვისაც ჩამოყალიბებული არ აქვს, რა უნდა ცხოვრებაში, იმას ჰგონია, რომ გაუმართლა და "უბერავს". მაგრამ, სულ ასე ხომ არ იქნება?! ყველანი წარმავალნი ვართ და ზოგად ღირებულებებსა და ფასეულობებზე უნდა ვიფიქროთ. კერძოდ, კულტურაზე, პირველ რიგში, კი პასუხისმგებლობის კულტურაზე. არ ვიცი, რა არის პოლიტიკა, მაგრამ თავისუფლების ყველაზე დიდი მონაპოვარი პასუხისმგებლობაა.

კადრებში სერიოზული პრობლემებია და რეგიონებში ხომ - სიბრიყვეა. რა თქმა უნდა, კარგი ხალხიც არის, მაგრამ ერთმა პასუხისმგებელმა პირმა მითხრა, ხალხური რეწვა რა არიო, რისთვის ჩამოხვედი, რას ეძებო?! მაგრამ ასეთებს რა უნდა მოსთხოვო, როცა ჩვენ, მომღერალ ერს სამ ხმაში კი არა, ერთ ხმაშიც აღარ შეგვიძლია სიმღერა და ასეა მასობრივად. თუმცა, იქ ყველა კუთხეს თავისი ცეცხლი უნთია. სახელმწიფომ ეს ხალხი ხელის გულზე უნდა ატაროს, ხელფასიც უნდა მისცეს და წაახალისოს კიდეც. სკოლები უნდა შეუქმნან რომ ბავშვები გაზარდონ. ასე უნდა მოვიქცეთ თუ გვინდა, რომ ქართული სახელმწიფო გვქონდეს. თუ არ გვინდა, რომ ჩვენი სახელმწიფო ქართული იყოს და გვინდა, რომ იყოს ზოგადდედამიწური, ეს სხვაა... გლობალიზაცია კარგია, მაგრამ საკუთარ ხაზს თუ დაკარგავ, არ იარსებებ როგორც ერი.

სიმართლე გითხრათ, დღევანდელ ხელისუფლებაში ეროვნულად ანთებულ ხალხს ვერ ვხედავ.

**- ამ ხმაურის საბაბი კონკრეტული საქმე იყო, მაგრამ ამ ქვეყანაში არანაკლები ხალხი დაჩაგრა სახელმწიფო მანქანამ. აქამდე ეს არ ხმაურდებოდა, რატომ?**

- არავის არ ვაბრალებ, ეს ჩვენი ბრალია. რას ნიშნავს, როცა გეძახიან, რომ ხარ საქართველოს მოსახლეობა, ანუ რიცხვითი, პირობითი ერთეული და არა ერის კულტურული ღერძი?! ნამდვილად არ ვარ საქართველოს მოსახლეობის ერთი ინდივიდი, მე ვარ ჩემი ერის ერთ-ერთი შვილი და ამ ტერმინებში დიდი განსხვავებაა. ასე რომ, ყველაფერი ჩვენი ბრალია. ჩვენ კი არ უნდა ვაგინოთ და ბუნტი კი არ უნდა მოვაწყოთ, არამედ ხელისუფლებას ჩვენი საქმე უნდა ვაკეთებინოთ. ჩვენ ხომ მაგათ ფულს ვუხდით ამ საქმეში? მათი ვალი სწორი მენეჯმენტია, სწორი სისტემის აწყობაში ვუხდით ფულს, სხვაში არაფერში არ უნდა ჩაერიონ. დღეს პროფესიონალიზმის დეფიციტია, თორემ სათითაოდ ყველა ჩინოვნიკი მოგიყვება რა არის დემოკრატია და ღირებულებები. ფხიზლად უნდა ვიყოთ და არ უნდა ველოდოთ ვიღაც ბიძიას, რომელიც ჩვენი ბაღიდან ჩვენსავე ნაგავს გაიტანს. ეს თავად უნდა გავაკეთოთ, უნდა დავიწყოთ ეზოდან, მერე გავიდეთ ქუჩაში და იქ დავალაგოთ, მერე ქალაქი და ასე შემდეგ. გასაგებია, რომ ყველა თავის საკუთრებას უვლის, მაგრამ ამის გარდა არსებობს ზოგადი საკუთრება, რომელიც ჩვენია, ყველასია. ამის არცოდნა გვიშლის ხელს, რომ არ ვართ ისეთი ძლიერები, როგორიც უნდა ვიყოთ. ამიტომაც წამოყოყლოჩინდებიან პატარა ჩინოვნიკები და ფიქრობენ - "ე, დაუკარი, მაინც ვერავინ გაიგებს..."




### კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"ფორტუნა - 97"
გახსნა: 19:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლეო ქიაჩელი
"თავადის ქალი მაია"
რეჟისორი: გიორგი სავანელი
დას: 20:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
სეზონის დახურვა
მარიო სანტანელი
"დედა-დედოფალი"
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"ჩიტები"
რეჟისორი: ალფრედ ჰიჩკოკი
(1963)
ფასი: 1 ლარი
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"მადაგასკარი"
(ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე)
დას: 12:30; 13:30; 15:15; 17:00 სთ.

"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 19:00; 21:30 სთ.

**ამირანი**
"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 20:00; 22:15 სთ.

"მადაგასკარი"
(ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე)
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

**ახმეტელი**
"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 14:30 სთ.

"ცოდვების ქალაქი"
დას: 17:00 სთ.

"მადაგასკარი"
(ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე)
დას: 19:00 სთ.

### გამოფენები

**გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანელი ფოტოჟურნალისტის თომას გრაბკას ფოტონამუშევრების
გამოფენა "ხედვის შეცვლა" (Blickwechsel)

**მედია არტ ფერმა**
თომას გრაბკას ვორკშოპი თემაზე "ფოტოგრაფია და ეთიკა"

**უნივერსი**
თვითნასწავლ მხატვარ ქალთა მხატვრული ნამუშევრების
გამოფენა "ცისარტყელა"
გახსნა: 15:00 სთ.

**ჰობი**
"თავისუფალი თემა"
კონკურსში გამარჯვებულ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა

**ქარვასლა**
გამოფენა "სპეციალურად მარტივი/ალტერნატიული პროდუქციის კულტურის
წარმოქმნა"
(ახალი გერმანული დიზაინის თვალსაჩინო მაგალითი; 122 ექსპონატი; აქცენტი გაკეთებულია ავეჯზე, განათებასა და საცხოვრებელ ობიექტებზე)

**TMS**
სახვითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა

**შარდენი**
გოგა კუპრაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

### თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ "საჩუქრის" პროგრამა

**15 ივნისი**

**გლობუსი**
ჯოვანი ბოკაჩო
"დეკამერონი"
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
დას: 20:00 სთ.

**საპატრიარქო**
კიევ-პეჩორას ლავრის სასულიერო გუნდი
დას: 20:00 სთ.

# გამოსათხოვარი

87 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მთარგმნელი, ბრწყინვალე რედაქტორი, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის №1, სახელმწიფო და სხვა პრემიების ლაურეატი **ვახტანგ ჭელიძე.** ბატონი ვახტანგისთვის უკანასკნელი პრემია იყო "საბა", რომელიც მას 2003 წელს მიენიჭა ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის. ჟურნალები "ცისკარი" და "ხომლი", გაზეთი "ლიტერატურული საქართველო" სწორედ მისი რედაქტორობისას იყვნენ ზენიტში და მაშინდელ ლიტერატურულ პროცესებს წარმართავდნენ. ყველაზე მეტხანს, 15 წლის განმავლობაში, ის ჟურნალ "ცისკარს" რედაქტორობდა. მწერლობაში ეს მთელ თაობას ნიშნავს. მის ხელში გაიზარდა ყველა გამოჩენილი 60-იანელი, მოგვიანებით რომ ლიტერატურის კლასიკოსებად იქცნენ. **"იცით, რას გეტყვით? მწერლების თაობებად დაყოფა სწორი არ არის. არის ნიჭიერი მწერალი და უნიჭო მწერალი. ყველა თაობაში იყვნენ უნიჭოები. ისინი თითქოს ქუხდნენ და გრგვინავდნენ, მაგრამ ახლა აღარავის ახსოვს, დავიწყებას მიეცნენ. დარჩა გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე... მაშინ კი გალაკტიონს ანგარიშს არ უწევდნენ და მის ყველანაირად შევიწროებას ცდილობდნენ. ის ყოველთვის დაჩაგრულად გრძნობდა თავს",** - თქვა ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ბატონმა ვახტანგმა.


*ვახტანგ ჭელიძე*

გაზეთი "24 საათი" თანაუგრძნობს ვახტანგ ჭელიძის ოჯახს.

# საფირონი - დაკარგული თვალი

**ბისზე გამოსული გედი და ათასი ბრავო**

სოფო კილასონია

*"როგორც აზიელს, და მე წარმოშობით ქართველი ვარ, ყოველთვის მიყვარდა ძვირფასეულობა და მომწონდა ძვირფასი ქვების ციალი, მათი სილამაზე," - ეს სიტყვები ბალანჩინმა მას შემდეგ თქვა, რაც ერთაქტიან ბალეტთა ციკლი "ძვირფასეულობანი" შექმნა. "ლალებს", "ზურმუხტებსა" და "ბრილიანტებს" ერთი დააკლდა. შოუმბერგის მუსიკაზე ჩაფიქრებული "საფირონის" დადგმა მისტერ ბიმ ვერ მოასწრო. 2004 წელი UNESCO-ს მიერ ჯორჯ ბალანჩინის წლად იყო გამოცხადებული. მსოფლიოს სახელოვნებო საზოგადოება სხვადასხვა ღონისძიებით ფართოდ აღინიშნა. მოწინავე თეატრებში ბალანჩინის ბალეტების რეტროსპექტული ჩვენება, მრავალრიცხოვანი გალა-კონცერტები და ქორეოგრაფიული საღამოები გაიმართა. მისი დაბადებიდან 100 წლისთავს მარინის თეატრის ერთ-ერთი წამყვანი ბალერინა ირმა ნიორაძეც თავისებურად გამოეხმაურა. თითქმის ერთი წლის წინ მან "საფირონის" დადგმის წინადადებით ქორეოგრაფ გოგი ალექსიძეს მიმართა და სულ მალე მუსორგსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ქართველმა ქორეოგრაფმა იქაურ დასთან და თავად ნიორაძესთან მუშაობა დაიწყო. მოსკოვურ პრემიერას ქორეოგრაფი არ დასწრებია, თუმცა გუშინ და გუშინწინ, საღამოს, "საფირონის" ჩვენების შემდეგ, თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე გამოსულმა მართლაც დამსახურებული ოვაცია მიიღო.*

ერთი წლის წინ განხორციელებული საბალეტო პროექტი თბილისელმა მაყურებელმაც კონცერტის პირველ მოქმედებად იხილა. მეორე ნაწილში ქართველ პრიმა-ბალერინასთან ერთად პეტერბურგიდან ჩამოსული გასტროლიორები ცნობილ ვარიაციებსა და პა-დე-დეებს ასრულებდნენ.

"საფირონის" განხორციელებაში არაერთი ცნობილი სახე მონაწილეობდა. ქორეოგრაფიული ჩანაფიქრის გარკვეული ნაწილი ეგორ დრუჟინინს ეკუთვნის, რეჟისურა - ანდრის ლიეპას. მას თავის დროზე წილად ხვდა ბედნიერება, ნიუ იორკ სიტი ბალეტის დასის წევრი ყოფილიყო. ალბათ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ნიორაძემ და მისმა მეუღლემ გოჩა ჩხაიძემ (იდეის ავტორმა) ბალეტმაისტერის გვერდით კიდევ რეჟისორის არსებობა მოინდომეს - სხვაგვარი ახსნა ამ შემთხვევას ვერ მოვუძებნე. სპეციალურად "საფირონისთვის" მუსიკა დავით ევგენიძეს დაუწერია. იგი მოსკოვურ პრემიერაზე თავადაც მონაწილეობდა, თუმცა, ამჯერად, როგორც ჩანს, თბილისში არ ჩამოსულა. მისი მუსიკალური ქმნილების გარდა, დადგმაში ჩართულია მენდელსონის მეხუთე სავიოლინო კონცერტი. როგორც შევიტყვე, თავდაპირველად ბალეტმაისტერი შოუმბერგის მუსიკაზე ფიქრობდა, სიმფონიური ცეკვის ხერხით განეხორციელებინა ბალანჩინის ტიპის პაციფონია, თუმცა, მოგვიანებით გეგმა შეცვლილა. მიუხედავად ამისა, ალექსიძის ახალ დადგმას მაყურებელი დიდი ინტერესით უმზერდა და დიდი სიამოვნებაც მიიღო. სპექტაკლში ირმა ნიორაძის გვერდით მიხეილ ლავროვსკიც ცეკვავდა. მონატრებული სტუმარი სცენაზე მისტერ ბის განასახიერებდა, რომელიც, საფირონების ბრწყინვალებით გართული, ქორეოგრაფიულ მონახაზებს თხზავდა. ბალეტის სიუჟეტური ასოციაციები საიუველირო სალონში იწყება, იქ ჩნდება პირველად საფირონის დედოფალი ირმა ნიორაძე, საპატიო სტუმრებთან ერთად ჩნდება მისტერ ბი - მიხეილ ლავროვსკი. შემდეგ ყველაფერი ირევა, ნელ-ნელა მეტი ლირიკა შემოდის, სცენას საფირონისფერი ეფინება და ალექსანდრე ვასილევისა და ანატოლი ნეჟნის მხატვრობა დამაბნეველი დახვეწილობითა და სიმშვიდით იწონებს თავს. ერთნაწილიანი დადგმა პირობითად, მაგრამ მაინც ორ ნაწილად შეიძლება აღვიქვათ, ამაში კი მუსიკალური თანხლებაც მშვენივრად გვეხმარება. პირველი - დათო ევგენიძის ლამაზი მუსიკა, რომელიც თავად გვკარნახობს აქცენტებს და არაჩვეულებრივად ეხმიანება ქორეოგრაფიულ მანერას, და მეორე - როცა ევგენიძის მუსიკას მენდელსონის კონცერტი უნისონში შეუერთდება და ირმა ნიორაძის ახალ კოსტიუმში გამოსვლით წარმოდგენის ლირიკული ნაწილი და თეთრი ბალეტი იწყება.

კონცერტის მეორე ნაწილი შავი გედისა და პრინცის დუეტით დაიწყო. ოდილიას შემსრულებელი ირინა პერენი, მართალია, იშვიათი გარეგნობითა და მონაცემებით გამოირჩევა, მაგრამ რეპერტუარის არჩევაში ამჯერად ნამდვილად შეცდა. შავი გედის შესასრულებლად საჭირო ემოცია ბალერინას ან არა აქვს, ან იმ საღამოს ვერ გამოამჟღავნა. მისი პარტნიორი დანილა კორსუნცევი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ნამდვილად დასამახსოვრებელი მოცეკვავე გახლავთ. ეს აზრი მან მოგვიანებით ირმა ნიორაძესთან ერთად შესრულებული "შეჰერეზადაში" კიდევ ერთხელ გაამყარა. სხვა გასტროლიორებს შორის კიდევ რამდენიმე უნდა აღინიშნოს.


*ირმა ნიორაძე*

ილია კუზნეცოვი, რომელმაც ჯერ კიდევ "საფირონში" ხორუმის თემაზე დადგმული ვარიაციით მოაწონა თავი მაყურებელს, თუმცა, მისი შესრულება ბევრად უფრო სხარტად და მსუბუქადაც შეიძლებოდა. გუშინ საღამოს კუზნეცოვი რამდეჯერმე მოგვევლინა ირმა ნიორაძის პარტნიორად, მაგალითად, დრიგოს "თილისმაში", სადაც, რთული დადგმის ოსტატურად შესრულების მიუხედავად, მსახიობებს მაინც აშკარად დაეტყოთ დაღლა, ყოველ შემთხვევაში, სახეებზე.

კონცერტის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილი პიაცოლას მუსიკაზე პალუბიანცევის მიერ დადგმულ "ტანგოს" უკავშირდება. თუმცა, მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ამ შემთხვევაში მუსიკის ავტორმა და ტანგოს მელოდიამ მოახდინა შთაბეჭდილება. საქმე ის არის, რომ მას გამორჩეულად მომხიბვლელი ქალბატონი დახვეწილად ასრულებდა. არადა, ამ ჟანრის ცეკვებში გადაჭარბებულ ემოციურობას ვხვდებით ხოლმე. გასტროლიორებმა ნამდვილად იპოვეს ოქროს შუალედი. მაყურებელთა უმრავლესობამ კი არ იცოდა, რომ ბალერინა, რომელმაც ისინი მოხიბლა, ქართველი გახლდათ. ქეთი პაპავა უკვე მრავალი წელია, პეტერბურგში ცხოვრობს, სწავლობს და მარინის თეატრშიც კარგა ხანია ცეკვავს. მიუხედავად ამისა, მის შესახებ ბევრმა არაფერი იცის და თბილისის სცენაზეც პირველად ვიხილეთ.

საკმაოდ საინტერესო რეპერტუარისა და შემსრულებლების მიუხედავად, 13 და 14 ივნისის კონცერტების ერთადერთი საფირონი, ბუნებრივია, ირმა ნიორაძე გახლდათ. რომ არაფერი ვთქვათ პირველ ნაწილზე, რომლიც ბალერინამ მართლაც მოირგო და მშვენივრადაც გამოიყურებოდა, დასამახსოვრებლად მის მიერ შექმნილი "შეჰერეზადაც" კმარა. თუმცა, თბილისელი მაყურებლისთვის ყველაზე სასიამოვნო მაინც ბოლო ქორეოგრაფიული ნომერი - სენ-სანსის "მომაკვდავი გედი" აღმოჩნდა.

ნიორაძის მიერ შესრულებული განწირული გედის სახე მრავალჯერ მინახავს, თუმცა, ვფიქრობ, ბალერინას იმდენი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალი შეუტანია, რომ შესრულებას გაცილებით დახვეწილი და სრულყოფილი იერი შეუძენია. ცხადია, მაყურებელმაც იგრძნო ჩვენი პრიმას შრომისმოყვარეობა და გონიერი ცეკვა, რომელიც მის გამოსვლებში კარგად ჩანდა. საღამოს ბოლოს ნიორაძე ბისზე გამოვიდა და ათასზე მეტი "ბრავო" მიიღო.

# "პოეზია იდუმალი სამყაროა"

**შეხვედრა ანა კალანდაძესთან**

ვერა ნეფარიძე

*გუშინ წიგნის სახლში პატარა მკითხველებმა ანა კალანდაძეს უმასპინძლეს. კერძო სკოლა "მწიგნობართუხუცესის" მესამეკლასელები პოეტს მისივე სტროფებს უკითხავდნენ, უზიარებდნენ ამა თუ იმ ლექსით მიღებულ შთაბეჭდილებებს და ეკითხებოდნენ ყველაფერს, რაც ამ ლექსების ავტორისგან აინტერესებდათ. შეხვედრას მასპინძლები ვიოლინოს მუსიკალური ფონით ამრავალფეროვნებდნენ.*

წიგნის სახლში მსგავსი შეხვედრებისთვის დამახასიათებელი თემატიკა ჭარბობდა: სამშობლო, პოეზია, მოგონებები საკუთარ ბავშვობაზე... ბავშვები ცდილობდნენ, უშუალოდ პოეტისგან შეეტყოთ, ვინ იყვნენ კონკრეტული ლექსების გმირები ან ადრესატები და ა.შ. ვინ იცის, მერამდენე იყო თავად პოეტისთვის პატარა მკითხველებთან ამგვარი შეხვედრა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ანა კალანდაძისთვის მორიგი ღონისძიება და პატარა მკითხველებთან გასაუბრება, თუნდაც ხშირად გამეორებული თემების ირგვლივ, მაინც საინტერესო აღმოჩნდა.

ასეთი შეხვედრები უცხო არაა არც წიგნის სახლში გამართული გუშინდელი საღამოს ორგანიზატორისთვის, "მწიგნობარის" პედაგოგის დალი გულავასთვის, რადგან 40-წლიანი პედაგოგიური საქმიანობა მსგავსი ღონისძიებების გარეშე მისთვის წარმოუდგენელია. შეკითხვაზე - თუ რატომ მოინდომა, ბავშვები ანა კალანდაძესთან შეეხვედრებინა (რადგან ხშირად, მსგავს შემთხვევებში, საბავშვო პოეტებსა და მწერლებზე აჩერებენ ხოლმე არჩევანს), ქალბატონმა დალიმ მარტივად გვიპასუხა: "იმიტომ, რომ მე თვითონ განსაკუთრებით მიყვარს. ახლაც კი, როდესაც ცუდად ვგრძნობ თავს, გადავშლი მის ლექსებს და ყველაფერი მავიწყდება".


*წიგნის სახლში სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.*

გუშინდელი შეხვედრა რომ გარკვეულ კვალს დატოვებს "მწიგნობარის" მესამეკლასელების ცხოვრებაში, ფაქტია; ასეთ შინაურულ გარემოში უშუალო კონტაქტს ავტორიტეტებთან ხომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბავშვებისთვის. მით უმეტეს, როდესაც ავტორიტეტი ისეთი გულწრფელი, თბილი და სასიამოვნო ადამიანია, როგორიც წიგნის სახლის გუშინდელი სტუმარი.

შეხვედრა, უფრო სწორად, მისი პირველი, ოფიციალური ნაწილი ლაკონიური იყო. ბავშვები ცდილობდნენ, სხარტად ჩამოეყალიბებინათ სათქმელი. აინტერესებდათ ბევრი რამ. მაგალითად, არის თუ არა საქართველოში ადგილი, რომელიც პოეტს არ უნახავს. ამაზე სტუმარმა უპასუხა: "საქართველოს ნაბიჯ-ნაბიჯ ვინ მოივლის. რა თქმა უნდა, იქნება ასეთი ადგილებიც"; პოეტს გამორჩეულად საყვარელი ლექსის შესახებაც ჰკითხეს; "ყველა ის ლექსი, რომელიც ყველაზე მეტად გხვდებათ გულზე, ჩემთვის განსაკუთრებით საყვარელია", - ასეთი იყო პასუხი. პოეტისთვის საყვარელი დრო გაზაფხული ყოფილა იმიტომ, რომ "გაზაფხული ჩვენთან დღის სინათლესავით შემოდის"; მასპინძლებმა სტუმარს ისიც ჰკითხეს, რა განსხვავებას ხედავდა მის დროინდელსა და ახლანდელ ბავშვებს შორის: "ბავშვი ყველა ეპოქაში ბავშვია, გააჩნია, რა გარემოში იზრდება. ჩემ დროს წარმოუდგენელი იყო სკოლის მოსწავლეს სამკაულებით ევლო, დღეს კი პირველკლასელს ნახავთ ბეჭდებითა და საყურეებით"; პატარები პოეტის აუხდენელი ოცნებითაც დაინტერესდნენ, რაზეც ანა კალანდაძემ უპასუხა: "აუხდენელი ოცნება - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობაა და აბა, თქვენ იცით. ეს იქნება ჩემთვის უდიდესი ბედნიერება. როგორც შემოქმედი კი, ბედნიერი ვარ, რადგან გამოსვლის დღიდან მკითხველი ჩემ გვერდით იდგა"; დაბოლოს, ბავშვებმა ისიც მოინდომეს, გაეგოთ, რა იყო ის უჩინარი ძალა, რაც პოეტებს შედევრების შექმნაში ეხმარება: "პოეზია იდუმალი სამყაროა; არ იცი, რატომ და რისთვის ხდება", - უპასუხა პოეტმა და მასპინძლებთან ურთიერთობა ნაკლებად ოფიციალურ ვითარებაში გააგრძელა.

# თალიბანის შემდეგ

## გერმანელი ფოტორეპორტიორი ავღანელ ქალებს ჩადრს ხდის

ია ვეკუა

ავღანეთში ომი დიდი ხნის წინ დამთავრდა, თალიბანის მმართველობა ისტორიას ჩაბარდა, ამერიკელებმა ავღანელები რეჟიმისგან გაათავისუფლეს, თუმცა იქაური ქალები კვლავ ჩადრით დადიან და არც ბენ ლადენის აჩრდილი გამქრალა. ომის შემდგომი ავღანეთი თბილისში გერმანელმა ფოტოკორესპონდენტმა ტომას გრაბკამ ჩამოიტანა. იგი ექვსი წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების ფოტომემატიანეა.

გრაბკას ავღანურ ფოტორეპორტაჟს გოეთეს ინსტიტუტი მასპინძლობს, გერმანულ სივრცეში თავმოყრილი გერმანული ფოტოგრაფია კი ამ ქვეყნისთვის სრულიად განსხვავებულ სამყაროს წარმოგვიდგენს. აქ ვერ ნახავთ გრაბკას სამშობლოსთვის დამახასიათებელ პედანტურ სიმეტრიებსა თუ დახვეწილ ნაკვთებს - აქ მტვერსა და ოფლში აზელილსახიან მეომარს ექიმი მოკვეთილ ფეხს უხვევს, ხოლო ბავშვები ოპიუმის მოსავალს იღებენ.

ტომას გრაბკა ავღანეთში გაზეთ "შპიგელის" ჟურნალისტებთან ერთად მოგზაურობდა. 1998 წლიდან 2002 წლამდე ექვსჯერ ჩავიდა და თალიბანის რეჟიმიდან ჰამიდ ქარზაის ხელისუფლებამდე ფოტოარქივს ქმნიდა. იგი 1992 წლიდან დამოუკიდებელი ფოტოგრაფია და, ძირითადად, აზიის ქვეყნებში მოგზაურობს. მის ფოტოობიექტივში უკვე მოხვდა ეგვიპტე, თურქეთი, პალესტინა, ერაყი, იემენი, სუდანი, იორდანია, ტაჯიკეთი და ისრაელი. თუმცა, ბოლოს განსხვავებულ ხასიათზე დადგა და გრელანდიას მიაშურა...

ფოტოგრაფიამდეც დაახლოებით ისეთივე გზა გაიარა, როგორიც აზიიდან გრელანდიამდე. ჯერ მტვირთავად მუშაობდა, შემდეგ წიგნებსა და გაზეთებს ყიდდა, საავადმყოფოში მომვლელის მოვალეობასაც ასრულებდა. მერე კი "შპიგელში" აღმოჩნდა, საიდანაც თბილისში ჩამოვიდა.

გოეთეს ინსტიტუტში გახსნილ გამოფენას "ხედვის შეცვლა" ჰქვია. როგორც თავად გრაბკა ამბობს, გამოფენის სათაური იმის სურვილმა განაპირობა, რომ ევროპელებს საკუთარი თვალით დანახული აზია გააცნოს. "ამ ფოტოებით ავღანეთში არსებული რეალური სურათის ასახვა ვცადე. მინდოდა, ჩემს თანამემამულეებსაც ენახათ, როგორ ცხოვრობენ ომის შემდეგ უბრალო ავღანელები. მოგვიანებით ეს გამოფენა ქაბულშიც ჩავიტანე, რადგან იქაურების აზრიც მნიშვნელოვანი იყო. დიდხანს ვფიქრობდი, რომელი ფოტოები გამომეფინა ქაბულის ეროვნულ გალერეაში, რადგან ამ ფოტორეპორტაჟში ქალების თემა მნიშვნელოვანია, ამ სქესის ასე ღიად ჩვენება კი ავღანეთში



ვახო ხალილიას ფოტო

ტომას გრაბკა თბილისში ომის შემდგომი ავღანეთის ფოტოებით ჩამოვიდა

საკმაოდ საჩოთიროა. საბოლოოდ, გალერეის ხელმძღვანელობამ ხელი შემიწყო და ყველა ფოტო თამამად გამოვფინეთ", - ამბობს ტომას გრაბკა.

სახვათა შორის, იმავე ფოტოების ნაწილის გამოფენა გრაბკას თალიბანის რეჟიმის დროსაც სურდა, მაგრამ ამის უფლება ვერ მოიპოვა. ალბათ, ამიტომაა, რომ ფოტოგრაფი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ავღანეთის მათი რეჟიმისგან გათავისუფლებას და ახალ ხელისუფლებას ფოტოებიც მრავლად გადაუღო. აქაა ქვეყნის ახალი პრეზიდენტის ჰამიდ კარზაისა და ავღანეთის ჩრდილოეთის ალიანსის სარდალის აჰმად შაჰ მასუდის საკმაოდ საინტერესო პორტრეტები.

საერთოდ, პორტრეტული ფოტოგრაფია გრაბკას ფოტოგრაფიის ჩაროზია, რისთვისაც აღმოსავლური სახეები საუკეთესო მასალაა. ჩადრისგან თავისუფალი ავღანელი ქალები თამამად თავსდებიან გერმანელი რეპორტიორის ობიექტივში, თუმცა დროებით - "ჩიტის გამოფრენის" შემდეგ კვლავ ჩადრს იფარავენ და უცხო მამაკაცისგან შორს გარბიან.

**ტომას გრაბკა:** "გავრცელებული აზრის თანახმად, თალიბანის დამარცხების შემდეგ ავღანელი ქალები გათავისუფლდნენ, მაგრამ ასე არ არის. როდესაც ახალ ქვეყანაში ახალი მთავრობა მოვიდა, ქალებმა საკუთარი უფლებების დასაცავად დემონსტრაცია გამართეს. მთავრობის ბრძანებით კი მათი მსვლელობა ათ წუთში დაარბიეს. მართალია, ქალებს მისცეს ჩადრის მოხსნის უფლება, მაგრამ თავდაცვის მიზნით, ზოგი მაინც იხურავს. როდესაც ჩადრით არიან, ნაკლებია მათი გატაცების შანსი".

გრაბკას, ძირითადად, ომისშემდგომი კადრები აქვს გადაღებული. მისი თქმით, ჟურნალისტთან ერთად საომარი მოქმედებებისგან დაცილებულ ქალაქებში ჩადიოდა, ამიტომ ტყვიების ზუზუნი მის რეპორტაჟში ნაკლებად ისმის. სამაგიეროდ ოპიუმის დამათრობელი სურნელითაა გაჟღენთილი. რამდენიმე კადრი, სწორედ, ამ ავი მცენარის პლანტაციების სიმწვანეს ასახავს მოსავლის აღების პერიოდში - ესაა აღმოსავლეთი ჩადრებით, მტვრის ბუღით, ლტოლვილთა ბანაკებითა და ოპიუმით გაბრუებული უკბილო მოხუცებით.

# მეფე უდანაშაულოა, გაუმარჯოს მეფეს!

## მაიკლ ჯექსონის სასამართლო ოდისეა დასრულდა

კალიფორნიის ქალაქ სანტა მარიაში მიმდინარე ბოლო დროის ყველაზე პოპულარული "რეალითი შოუ" ანუ მაიკლ ჯექსონის სასამართლო პროცესი დამთავრდა. ჯექსონი უდანაშაულოა, მის მიერ "შეცდენილი" და "გარყვნილი" ბავშვების ადვოკატები დამარცხდნენ, ხოლო პოპის მეფის ფანები დამშვიდებული სინდისით გაეშურნენ შინისკენ - მათ მიერ სასამართლოს შენობასთან გამართული საპროტესტო აქცია იმაზე უფრო შედეგიანი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდნენ.

ყველაფერს ბედი უნდა - მაიკლ ჯექსონი ბავშვობიდან პოპულარული მომღერალი იყო, მას აღმერთებდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნებისმიერი ასაკის, სქესისა და რელიგიური მიმდევრობის მქონე ადამიანები; იგი იცვლიდა კანის ფერს, მაგრამ მისი რასის წარმომადგენლების სიყვარული ამით არ ნელდებოდა, ჰქონდა ხანგრძლივი შემოქმედებითი ჩავარდნა, თუმცა, მაინც რჩებოდა ნომერ პირველ შემსრულებლად. ბოლოს მის წინააღმდეგ ყველაზე სკანდალური სასამართლო პროცესი წამოიწყეს ყველაზე ბინძური ბრალდებით - მაიკლ ჯექსონი არასრულწლოვანი ბიჭების გარყვნაში დაადანაშაულეს.

არაერთი რთული ოპერაციის გამო მაიკლ ჯექსონს, შესაძლოა, სახის კუნთები აღარც აქვს. ამიტომ ძნელია იმის მტკიცება, რომ მას ელემენტარული მიმიკის გამოვლენა შეუძლია. ალბათ სწორედ ამის ბრალია, რომ, როდესაც მოსამართლემ დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მისი უდანაშაულობის შესახებ ამცნო, ყოფილ ბრალდებულს ერთი ნაკვთიც არ შეტოკებია. საქმე ალბათ მართლაც სახის კუნთებშია, რადგან პოპ-მეფეს გუშინ ათი უმძიმესი ბრალდება მოუხსნეს, რითაც მოხდა არა მხოლოდ მისი სახელის რეაბილიტაცია, არამედ ციხის, თუნდაც ელიტარულის, "პარაშის" 20-წლიან ხეხვასაც გადარჩა.

თვითმხილველები კი ამბობენ, რომ ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ ჯექსონს რამდენიმე ცრემლი გადმოუგორდა და თავის მთავარ ადვოკატს ტომას მესეროს გადაეხვია (იმედია, ამ "მამაკაცური" საქციელის გამოც არ უჩივლებენ). დანარჩენი ადვოკატები კი თავად ტიროდნენ, რომლებსაც დარბაზში შეკრებილებიც აძლევდნენ ბანს. სხდომის დამთავრების შემდეგ ჯექსონი რანჩო Neverland-ში გაემგზავრა, რათა უკეთესად შეიგრძნოს თავისუფლების გემო და, ვინ იცის, იქნებ ახალი ეშმაკობებიც დაგეგმოს...

ოთხი მამაკაცისა და რვა ქალისგან შემდგარი მსაჯულთა საბჭო 3 ივნისიდან ცდილობდა ვერდიქტის გამოტანას. ისინი საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე იდგნენ - ერთ მხარეს მაიკლ ჯექსონის ავტორიტეტი და მისი მილიონობით ფანები იდგნენ, მეორე მხარეს კი - ათპუნქტიანი ბრალდება, რომლის მიხედვითაც მომღერალი მოზარდებისა და მათი ნათესავების ამაღელვებელი ჩვენებებით გამყარებულ საკმაოდ საჩოთირო მდგომარეობაში იდგა.

შეიძლება ითქვას, რომ ბრალმდებლებმა ჯექსონს საკმაოდ სუსტ ადგილას მიაყენეს დარტყმა, რამაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაამართლა კიდეც. ალბათ, მხოლოდ მომღერლის თავგადაკლული ფანები არ დაიჯერებენ არასდროს, რომ მათი იდეალი ყოველმხრივ უპატიოსნო, გარყვნილი და ნამდვილი გარეწარია. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ ჯექსონს ერთმანეთის მიყოლებით ორი ცოლი ჰყავდა, ერთ-ერთმა ორი შვილიც კი გაუჩინა. იგივე ფანები მხოლოდ იმას ირწმუნებენ, რომ Neverland-ში მიწვეულ ბიჭუნებს ჯექსონი მხოლოდ "კოკა კოლათი"



ჯექსონს ყველა ბრალდება მოუხსნეს.

უმასპინძლდებოდა (ერთ-ერთი მოწმის ჩვენებით, იგი ბავშვებს გამაგრილებელი სასმელის თუნუქის ქილაში ჩასხმული ღვინით ათრობდა) და საღამოობით მათთან ერთად დისნეის მულტფილმებს უყურებდა. ფანები ხომ სწორედ იმისთვის არსებობენ, რომ საკუთარი იდეალი ბოლომდე გააიდეალონ.

თუმცა, ბრალდება ამ იდეალის წინააღმდეგ მაინც არსებობდა. 2003 წლის თებერვალში დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ტელევიზიით ჯექსონის შესახებ დოკუმენტური ფილმი აჩვენეს. მასში ჩართული იყო 13 წლის გევინ არვიზოს ინტერვიუ, რომელიც ყვებოდა, როგორ დადიოდა სტუმრად ჯექსონთან, ხანდახან კი მასთან ერთად წვებოდა ლოგინში. მართალია, ინტერვიუში არაფერი იყო ნათქვამი ბიჭისადმი მომღერლის სექსუალურ დამოკიდებულებაზე, მაგრამ ხელისუფლება მაინც დაინტერესდა, რა ხდებოდა Neverland-ში.

ცოტა ხანში იმავე ბიჭის დედამ ჯექსონის წინააღმდეგ სასამართლოში აღძრა საქმე, რადგან გევინმა მაინც აღიარა, რომ მომღერალმა მას თვითდაკმაყოფილება ასწავლა, შემდეგ თავსაც აკმაყოფილებინებდა და იყო ასე ორივე კმაყოფილი...

იმავე გევინ არვიზოს ჩვენებით, Neverland-ში სტუმრობისას ჯექსონი პორნოფილმებსაც აყურებინებდა და ღვინითაც ათრობდა. ამის შესახებ არავისთვის რომ არ ეთქვა, ძვირფასი საათი და ქურთუკი აჩუქა.

ასეთი განცხადებების შემდეგ ჯექსონი იძულებული გახდა, თავად გადაეღო დოკუმენტური ფილმი საკუთარი თავის შესახებ, რომელშიც არვიზო სრულიად შეცვლილი ტექსტით გამოვიდა. მან და ჯექსონის ყოფილმა მეუღლემ დები როუმ კამერის წინ მომღერლის ღირსებებისა და სხვა ადამიანური თვისებების შესახებ გულისამაჩუყებლად ისაუბრეს. როგორც ბრალდების მხარე ამბობდა, გევინ არვიზო იძულებული გახადეს, ასე ელაპარაკა, რადგან მისი ოჯახის წევრები Neverland-ში ჰყავდათ დატყვევებული. რანჩოს დატოვების უფლება კი მხოლოდ მას შემდეგ მისცეს, რაც ფილმის გადაღება დამთავრდა.

ჯექსონის წინააღმდეგ საქმე მაინც აღიძრა, რომლის მიზანი იყო არა მხოლოდ მომღერლის ბრალეულობის დამტკიცება, არამედ მისგან მონსტრის შექმნაც. სასამართლო პროცესები შოუს დაემსგავსა, რომელზეც მოურიდებლად აფრიალებდნენ ჯექსონის საძინებლიდან ამოღებულ პორნოჟურნალებსა თუ ფილმებს. ამას სწორედ ის მსაჯულები აკეთებდნენ, რომლებმაც ჯექსონის გამართლების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ, შესაძლოა, მომღერალი მართლაც რყვნიდა ბავშვებს, მაგრამ პროკურორებმა ამის დამტკიცება ვერ შეძლეს.

ოთხთვიანი სასამართლოს განმავლობაში დაიკითხა 130-მდე მოწმე, მაგრამ მოგვიანებით რამდენიმე მათგანმა ჩვენება ნაწილობრივ შეცვალა. ეს პროკურორების უნიათობის გარდა მომღერლის ადვოკატების დამსახურებაცაა, რომლებსაც ჯექსონი ცხვირსახოცებივით იცვლიდა, მაგრამ ისეთ ჰონორარს უხდიდა, რომ თითოეული მათგანი კბილებით იცავდა კლიენტის ინტერესებს. სწორედ მათ შეძლეს არვიზოს ისე დაბნევა, რომ ბიჭუნა სასამართლოზე სრულიად ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს იძლეოდა. ბოლოს კი ჯექსონის წინააღმდეგ გაკეთებული ბრალდების სიტყვები ბებიას გადააბრალა.

მოკლედ, მაიკლ ჯექსონი თავისუფალია, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ დამარცხებულმა მხარემ საქმე კვლავ აღძრას. მანამდე მომღერალს დიდძალი ვალის გასტუმრება მოუწევს, რადგან მისი დანაზოგის დიდი ნაწილი ამჟამად ადვოკატების ანგარიშზე ირიცხება. სავარაუდოდ, ან იმ ავადსახსენებელ Neverland-ს გაყიდის, ან მსოფლიო ტურნეს წამოიწყებს. სავარაუდოდ, ამ უკანასკნელ ხერხს მიმართავს, რადგან ამჟამად ყველაზე აქტუალურ მუსიკოსად მიიჩნევა.

# ადრიანო ალპაგოს ხსოვნას

ქართულ კულტურას, ქართულ მეცნიერებას და კერძოდ, ხელოვნებათმცოდნეობას, გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული (მას შემდეგ, რაც, როგორც იქნა, საამისო პირობები, შეგვექმნა), არაერთი უცხოელი გულშემატკივარი და მეგობარი გამოუჩნდა. მათ შორის ერთი პირველთაგანი გახლდათ იტალიელი ადრიანო ალპაგო ნოველო - იმხანად ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზანტიისა და შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ხუროთმოძღვრების მკვლევარი, იტალიაში კავკასიის არქიტექტურის შემსწავლელი ცენტრის ერთ-ერთი დამაარსებელი. დღეს, სამწუხაროდ, მასზე წარსულში გვიხდება ლაპარაკი (იგი სულ რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა). ჩვენი ვალია, პატივი მივაგოთ მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოში იგი 1971 წელს ჩამოვიდა თავის კოლეგასთან, არქიტექტორ ენძო ჰიბშთან ერთად, რათა გასცნობოდა ძველი ქართული ხელოვნების ნიმუშებს, როგორც წინა აღმოსავლეთის კულტურის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. ყველაფერმა, რაც მათ საქართველოში დახვდათ, მათივე თქმით, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ისინი იმთავითვე მოიხიბლნენ ჩვენი ქვეყნის ბუნებით, ძეგლების სიმრავლითა და ხარისხოვნებით, ხალხით, განსაკუთრებით იმ ადამიანების გულითადი დამოკიდებულებით, ვისთანაც ურთიერთობა უხდებოდათ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და მისი იმჟამინდელი ლიდერის ვახტანგ ბერიძის ხელშეწყობით, მათ შემოიარეს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე, შეაგროვეს ურიცხვი და მრავალფეროვანი მასალა და კიდევ ერთხელ წარუდგინეს ჩვენი ეროვნული სიმდიდრე დასავლეთის არა მარტო ვიწრო სპეციალისტთა წრეებს, არამედ ბევრად უფრო ფართო საზოგადოებას - შესანიშნავი ფოტოგამოფენით, ბრწყინვალედ დასურათებული წიგნებით (ორივე უმაღლესი კლასის ფოტოხელოვანი იყო), ლექცია-მოხსენებებით.

დაუფასებელია ის ღვაწლი, რომელიც ადრიანო ალპაგო ნოველოს მიუძღვის, განსაკუთრებით ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საქმეში. მარტო ის რად ღირს, რომ მან დაუდო სათავე ჩვენს იტალიელ თანამემამულესთან, ქალბატონ ნინი ყაუხჩიშვილთან და აკადემიკოს ვახტანგ ბერიძესთან ერთად, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებს, რომლებიც მონაცვლეობით იმართებოდა იტალიასა და საქართველოში (1974-1989 წლებში). ამ ფორუმებს სრულიად განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც (სამწუხაროდ, მე-6 ასეთი სიმპოზიუმი უკანასკნელი გამოდგა საქართველოში 1992-95 წლებში განვითარებული მოვლენების გამო). ბატონი ადრიანო არის ავტორი რიგი საინტერესო ნარკვევებისა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ, თანაავტორი ლუვენში (ბელგია) 1980 წელს ინგლისურ ენაზე გამოცემული მონუმენტური წიგნისა "ხელოვნება და არქიტექტურა შუა საუკუნეების საქართველოში", მილანში გამოქვეყნებული წიგნისა "ქართული ხელოვნება, მხატვრობა და ხუროთმოძღვრება" (იტალიურად და ფრანგულად). ამ წიგნებს ამშვენებს ფერადი ილუსტრაციები, რაც განსაკუთრებით ღირებულს ხდის ამ პუბლიკაციებს.

ცხადია, ადრიანო ალპაგო ნოველო არ იყო ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელი, მაგრამ იგი ყოველთვის ჩვენ გვერდით იდგა, მუდმივად ჩართული ინსტიტუტის საქმიანობაში, მუდამ დაინტერესებული ინსტიტუტისა და ინსტიტუტელების ცხოვრებით. გამორჩეული იყო იგი თავისი პიროვნული ბუნებითაც: ნამდვილად დახვეწილი ინტელიგენტი, საოცრად მოკრძალებული, იშვიათი ადამიანური თვისებებით შემკული. ჩვენ ყველას გვახსოვს, უფროსებსაც, უმცროსებსაც, მისი განსაკუთრებული სითბო და ყურადღება. ხშირად გვეხმიანებოდა წერილებითაც, მისალოცი ბარათებითაც, გვანებივრებდა საჩუქრებითაც. არასოდეს არაფერი ავიწყდებოდა, რაც ინსტიტუტთან იყო დაკავშირებული. ჩვენთვის იმ უმძიმეს დღეებში, როცა 1991-1992 წლების მიჯნაზე თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას, შენობასთან ერთად, ინსტიტუტის უძვირფასესი ფონდებიც შეეწირა, იგი, უკვე განუკურნებელი სენით დაავადებული, ჩვენ გვერდით აღმოჩნდა, ჩამოგვიტანა ჩვენი ისტორიული ძეგლების ამსახველი ნეგატივები, სლაიდები, ნახაზები, წიგნებიც.

ადრიანო ალპაგო ნოველოს სახელი დიდხანს დარჩება ჩვენს ხსოვნაში. ის უთუოდ კუთვნილ ადგილს დაიკავებს ჩვენი ინსტიტუტის ისტორიაშიც.

*გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი*

სამსონ ლეჟავას სვეტი

# ფიროსმანაშვილის უნივერსალიზმი - დიდი მასშტაბის მოვლენა



ფიროსმანაშვილის მხატვრობის მრავლისმომცველობა, უნივერსალიზმი, მისი ეპიკური მონუმენტურობა (ტუგენჰოლდი) იმთავითვე ცხადია და თვალშისაცემი. ამასთანავე ამ მოვლენის ანალიზი ყოველთვის მიმზიდველია - თავისი უამრავი ნიუანსით.

ნიკალას ფერწერის გადმწყვეტთაგანი თვისება მისი მხატვრული სამყაროს უაღრესად ტევადი მთლიანობაა - იგი ლამისაა მთელ თვალხილულ რეალობას წარმოაჩენს თავისი განუმეორებელი, ძალზე სადა ინტენსივობით, და იმავე დროს, შეფარულ შრეებსაც არსობრივად სწვდება.

შთამბეჭდავია ე.წ. "ეპოსები" - "ფართო სუნთქვით", გაქანებითა და სიდიადით. ადამიანი აქ მოწყვეტილი როდია ღვთიური მადლით აღვსილ ბუნებას, არამედ მასთან შეზიარებულია, თუმცა იმავდროულად აღმატებულიც, როგორც მეტწილად სასიკეთო, აქტიური ქმედების მატარებელი ამ, ჯერაც შინაურად აღქმულ სივრცეში, რომელსაც დღეს იგი, თავისით დაუოკებელი, ბრიყვული და გაბოროტებული სიჯიუტით - მტრულად, "მომხმარებლურად", ხშირად ბრმა აგრესიით ეკიდება.

გრიგოლ რობაქიძემ ძალიან ზუსტად და შეუმცდარად აღიქვა ფიროსმანაშვილთან - "პირველქმნილი მიწის" მისტერიულობა. მის პანორამულ ლანდშაფტებში ჩვენ "გვეუწყება" არა იმდენად პეიზაჟი, რამდენადაც თავისებური ხილვა მითოსური გეასი, თავისი ზღვარდაუდებელი სასიცოცხლო ძალით. ჯეიმზ ლავლოკისეული იდეა (XXს 70-იანი წ.წ.) იმის შესახებ, რომ თავად დედა-მიწა, გეა არის ცოცხალი არსი, ფიროსმანაშვილის მხატვრობაში დიდი შთამბეჭდავობით არის გამოხატული, მეტიც - ეს მისი თვისობრივობაა.

ამ კონტექსტში შეუძლებელია, არ შევეხოთ ქართული, კონკრეტულად კი ქართლ-კახური სასიმღერო კულტურის განსაკუთრებულ შინაგან სიახლოვეს ფიროსმანაშვილის სამყაროსთან - მასშიც ხომ მძაფრად შეიგრძნობა სწორედ მიწის სურნელი და თანაც, თავისებური "ხაო" გამოხატული ხმათა შეხამების ნაჯერ, თიხისებრ ფაქტურულობაში. თუმცა იმავდროულად, ასეთი "ხელშესახები" საწყისის სიძლიერესთან ერთად, თუნდაც კახური მრავალჟამიერი, დიდ სივრცეებს გადასწვდება, უმაღლეს სულიერ განზომილებებს ერთვის, თავისი ღვთისაკენ მიმხმობი, ყოვლადი სიყვარულის განცდით. მასშიც ხომ იმ "სილაჟვარდის" მონატრებაა, მისკენ სწრაფვაა, როგორიც ჩანს, ფიროსმანაშვილისეულ, ზოგიერთ "ანიმალისტურ"ქმნილებაში (მაგალითად "ირემი"), სადაც გაადამიანებული ცხოველები იმზირებიან ისევე ფართოდ გახელილი თვალებით, როგორც თავად მხატვარი აღიქვამდა სამყაროს.

ფიროსმანის შემოქმედება აგრეთვე ღრმად ენათესავება იმავე კახურ, უკიდურესად ლაკონურ, სამკაულს თითქმის მოკლებულ, ხშირად რიყის ქვით ნაგებ, და თავისი უბრალოებითა და სინაღდით აღმაფრთოვანებელ - სოფლის მოკრძალებულ ტაძრებს, რომლებშიც "თავმდაბალი მონუმენტურობა" იკითხება.

გახსოვთ ალბათ, მის სურათებში არაიშვიათად გამოსახული, გალაქტიონს თუ დავესესხებით, "გიგანტიური" ქვევრები. მათში ალბათ კონცენტრულად გამოვლინდა თითქოსდა ჩვენ წინაშე "ზრდადი", უსასრულო მატების შემცველი, და თანადროულად - თავდაჭერილი, მოთოკილი, უმაღლეს წესრიგს შერთული ენერგია, რაც ზოგადი მახასიათებელია ფიროსმანაშვილის ფორმათა ქმნისათვის.

სწორედ ამ რიგის ენერგიის განცდა აახლოვებს ურთიერთს, დედაბოძის "სკნელთამაკავშირებელი", ძალამოსილი ფორმის სპეციფიკას ფიროსმანაშვილისეულ ფორმათა განცდასთან, რომელსაც ზოგან თავისი უკიდეგანო მონუმენტურობის დროს, თითქმის ყოველთვის ახასიათებს უცნაური, ერთგვარად მიმტევებლური ქრისტიანული სირბილე, დიდად თავისებური თანალმობა...

საფლავის ქვათა გამოსახულებების დარად, მასთანაც - ადამიანი ღვთის ხატად არის წარმოჩენილი თავისი შეუბღალავი არსით, ვინაიდან ის სჭვრეტს ადმიანის თავდაპირველ ხელშეუხებ საწყისს...

ფიროსმანაშვილის მხატვრობაში მთელი სისავსით შეიგრძნობა ნოსტალგია ტაძრის სივრცისადმი. ესაა შემოქმედება, რომელშიც დიდი, მთლიანი, ერთიანი სამყაროს ნგრევის უმძაფრესი ტკივილი, ყოველგვარი კონვულსიურობის გარეშე, გამორჩეული სულიერი სიმაღლითა და განსაკუთრებული ღირსებით არის გამოვლენილი.

ინფოთეკა

## ემრეზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია - ინგლისური კლუბები აქტიურობენ

"არსენალი", "ნიუკასლი", "ლივერპული", "ევერტონი" და "მანჩესტერ იუნაიტედი" პრემიერ-ლიგის ის კლუბებია, რომლებიც დიდ ინტერესს ამჟღავნებენ "ინტერის" 24 წლის ფეხბურთელის მიმართ.

"შეთავაზება ბევრია. ინგლისურ კლუბებს ძალიან უნდათ ჩვენი ფეხბურთელის შეძენა. ჩვენ სიტუაციას სათანადოდ შევაფასებთ და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას", - განაცხადა "ინტერის" სპორტულმა დირექტორმა მარკო ბრანკამ.

ემრემ, რომელიც 2001 წელს გადავიდა იტალიურ კლუბში, გასულ სეზონზე სერია A-ში 19 მატჩში ითამაშა.

## უეფა მატჩების უსაფრთხოების საკითხს განიხილავს

პარასკევსა და შაბათს მანჩესტერში უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართება. ძირითადი ყურადღება მიექცევა საფეხბურთო მატჩებზე უსაფრთხოების საკითხს. შეხვედრას უეფას პრეზიდენტი ლენარტ იოჰანსონი გაუძღვება. სხდომაზე ისაუბრებენ საკითხებზე, რომელიც სტადიონებზე უსაფრთხოების ზომების გაძლიერებას და წესრიგის დამღვევთა მიმართ სასჯელის ზომის გამკაცრებას შეეხება. საჭიროა ფეხბურთელების, გულშემატკივრებისა და მსაჯების უსაფრთხოების უფრო მეტად დაცვა.

უეფამ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ევროპული სტადიონების ტრიბუნებზე ხშირია არეულობა, რაც აუცილებელს ხდის მატჩის შეწყვეტას, როგორც ეს მოხდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური შეხვედრისას, "მილანი" - "ინტერის" მატჩზე ამა წლის აპრილში. სასჯელის სახით "ინტერმა" ევროთასის ოთხი მატჩი ცარიელ ტრიბუნების პირობებში უნდა ჩაატაროს და ორიც - იმ შემთხვევაში, თუ ინციდენტი განმეორდება. გარდა ამისა, ჯარიმის სახით კლუბს 300 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა დაეკისრა.

## "ევერტონი" მზადაა, საასთვის 7,7 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს

"ევერტონის" ხელმძღვანელობამ მოლაპარაკება დაიწყო "მანჩესტერ იუნაიტედთან" თავდამსხმელის ლუი საას შეძენის გამო. ინგლისური მედიის ცნობით, სატრანფერო თანხამ, შესაძლოა, 7,7 მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინოს.

ადრე ამ ფორვარდის ხანგრძლივი იჯარით აყვანა სურდა მის ყოფილ კლუბს - "ფულჰემს", თუმცა, გაყიდვა უფრო მეტად აძლევს ხელს "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს, რომელსაც ზაფხულში გუნდის გასაძლიერებლად ფული სჭირდება.

## პარკერისთვის ბრძოლა "ნიუკასლმა" მოიგო

Sky Sports-ის ცნობით, უახლოეს პერიოდში ლონდონის "ჩელსის" ნახევარმცველი სკოტ პარკერი "ნიუკასლთან" გააფორმებს კონტრაქტს. ამგვარად, სწორედ "ნიუკასლმა" მოიგო დაძაბული ბრძოლა, რომელშიც მისი კონკურენტები: "ევერტონი", "ტოტენჰემი", "ჩარლტონი", "ასტონ ვილა" და "ბირმინგემი" იყვნენ. სხვათა შორის, თავდაპირველად ფავორიტად "ევერტონი" ითვლებოდა. თუმცა, თავად პარკერმა კარიერის გაგრძელება "ნიუკასლში" მოისურვა. 24 წლის ნახევარმცველი გრემ სუნესის გუნდს 6,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდება.

## ბარტეზი "მარსელში" რჩება

33 წლის ფრანგმა მეკარემ ფაბიენ ბარტეზმა უარი განაცხადა ლონდონის "ვესტ ჰემში" გადასვლაზე. "მარსელში" დარჩენა ამჯობინა. თუმცა, ამაზე თანხობა ფეხბურთელს არც საფრანგეთის ფეხბურთის ასოციაციამ მისცა. შეგახსენებთ, მაროკოელი არბიტრის შეფურთხებისთვის ბარტეზი წლის ბოლომდე დისკვალიფიცირებულია.

"ფაბიენი საფრანგეთში უნდა დარჩეს და დისკვალიფიკაცია აქ მოიხადოს", - განაცხადა ფედერაციის წარმომადგენელმა.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ "ვესტ ჰემი" "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილ მეკარეს ირლანდიელ როი კეროლს მოელაპარაკა გადმოსვლასთან დაკავშირებით.

ფეხბურთი

# ვინ იქნება პირველი?

მიხეილ აბაიშვილი



საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელობის ყველაზე რეალური კანდიდატები - კობიაშვილი, ასათიანი და კალაძე.

პოპულარული ქართული სპორტული გამოცემა "სარბიელი" 1993 წლიდან ატარებს საქართველოს სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვას. ტრადიცია არც წელს დარღვეულა, თუმცა, ეს გამოკითხვა უკვე ახალ ფორმებს და მასშტაბებს იძენს. საქართველოს ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ ქართულ საფეხბურთო სამყაროს კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადა. დარწმუნებული ვარ, ფეხბურთის ქომაგებს კარგად ახსოვთ პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ ორგანიზებული შთამბეჭდავი სანახაობა, რომელმაც საქართველოს თასის ფინალი გაალამაზა. ნაკლები პომპეზურობით შოუ საქართველოს ჩემპიონის თბილისის "დინამოს" დაჯილდოების ცერემონიალზეც დაიდგა.

ამჯერად პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ საფეხბურთო სპეციალისტებისა და ჟურნალისტების გამოკითხვა მოაწყო და პოზიციების მიხედვით (მეკარე, მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი) გამოავლინა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელები, ასევე, საუკეთესო მსაჯები. გამოკითხვის შედეგები ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. თუმცა, დღეს, საღამოს 6 საათზე, გასართობ ცენტრ "ბერიკონში" პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ ორგანიზებულ შოუში ყველაფერს ფარდა აეხდება და შევიტყობთ როგორც "სარბიელის" (2004-05 წლის სეზონის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი), ისე პრფესიული საფეხბურთო ლიგის გამოკითხვის შედეგებს.

გუშინ გასართობ ცენტრ "ბერიკონში" გაიმართა დღევანდელი საღამოსადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია, რომელსაც უძღვებოდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი, ლიგის პრესსამსახურის ხელმძღვანელი პაატა ბურჯალიანი და რეჟისორი ნიკუშა შენგელაია, ვისაც დღევანდელი საღამოს მხატვრული მხარე აქვს მინდობილი.

"პირველ რიგში ნოდარ ახალკაცს ვულოცავ არჩევნებში გამარჯვებას. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა ძალზე საპასუხისმგებლო თანამდებობაა. არსებულ სიტუაციაში ამ პოსტის დაკავება გმირობის ტოლფასია. ახალკაცს ბევრი კარგი თვისება აქვს, იგი ინტელექტუალია და დიდი იმედი მაქვს, რომ საზოგადოების, ქართული საფეხბურთო სამყაროს, ხელისუფლების მხარდაჭერით იგი ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს. ფეხბურთს ხელოვანთა მხარდაჭერაც სჭირდება, რისი დასტურიცაა თუნდაც ხვალინდელი საღამო. წინასწარ გეტყვით, რომ ხვალ არ იქნება ორდინარული დაჯილდოების ცერემონიალი. საღამოს გაამდიდრებს შოუს ელემენტები და სასიამოვნო სიურპრიზები", - თქვა ნიკუშა შენგელაიამ.

ქართული ფეხბურთის ახალმა ლიდერმა მადლობის სიტყვები არ დაიშურა პროფლიგის შეფების მიმართ.

"დიდ მადლობას ვუხდი დიმიტრი რამიშვილს ხვალინდელი საღამოს ორგანიზებისთვის. ასეთი ღონისძიებები აუცილებელია ფეხბურთის წინსვლისა და განვითარებისთვის. მსგავსი საღამოები ფეხბურთში მოღვაწე ყველა ადამიანს დამატებით სტიმულს მისცემს. ამ თვალსაზრისით პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელების თანამოაზრეები ვართ", - აღნიშნა ნოდარ ახალკაცმა.

პრიზს, რომელსაც ხვალ სეზონში თავგამოჩენილ ფეხბურთელებს გადასცემენ, თავისი სახელი აქვს - "დია - 2005". დია ძველქართულად პლანეტა იუპიტერის სახელი იყო და გამარჯვებასთან ასოცირდებოდა. რაც შეეხება მომავალ ნომინანტებს, დანამდვილებით ერთი რამ შეიძლება ითქვას: სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს სამი მთავარი მაძიებელი ჰყავს - მოსკოვის "ლოკომოტივის" მცველი მალხაზ ასათიანი, გერმანიის "შალკეს" ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი და იტალიის "მილანის" მცველი კახა კალაძე. ვის ერგება სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული, ხვალ შეიტყობთ.

# ყველაზე სასტიკი სასჯელები ინგლისურ ფეხბურთში

ნინო ტიკარაძე

*სასჯელსა და დასჯილებზე საუბარს რამდენიმე ხნის წინანდელი შემთხვევით დავიწყებ. საქმე ეხება ლონდონის ორ გუნდს - "არსენალსა" და "ჩელსის", უფრო კონკრეტულად, "მეთოფეთა" მცველის ეშლი კოულისა და "არისტოკრატების" აღმასრულებელი დირექტორის პიტერ კენიონის, ასევე მათი მთავარი მწვთნელის ჟოზე მოურინიოს ამა წლის 27 იანვარს გამართულ საიდუმლო შეხვედრას, რომელიც მხარეებს დიდი ჯარიმის ფასად დაუჯდათ: "ჩელსის" - 300 ათასი გირვანქა სტერლინგად, მოურინიოს - 200 ათასად, კოულს კი - 100 ათასად. სკანდალის მონაწილეები არც პირველები არიან და, სამწუხაროდ, არც უკანასკნელები, რომლებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს (ან მომავალში იწვნევენ) ინგლისური ფეხბურთის ადმინისტრაციის საკმაოდ სასტიკი სასჯელი...*



ერთ-ერთი ბოლო გახმაურებული საქმე. ეშლი კოული 100 ათასი გირვანქით დასაჯეს.

### ტურნირებიდან მოხსნილი გუნდები

1990 წელს პლეი-ოფის მატჩებში გამარჯვებამ "სუინდონს" ინგლისის პირველ დივიზიონში შესვლის უფლება მოუტანა. თუმცა, როცა გუნდი ფეხბურთელებისთვის ხელფასის უკანონოდ გადახდაში დაადანაშაულეს (ოფიციალურად სახელფასო თანხა გაცილებით ნაკლებს შეადგენდა!), იგი მაშინვე ორი დივიზიონით დააქვეითეს. ამის საპასუხოდ გუნდმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და სასჯელის შემსუბუქებასაც მიაღწია - "სუინდონი" მეორე დივიზიონში დატოვეს, იქ, სადაც ადრე გამოდიოდა.

### ქულების ჩამორთმევა

1994 წელს ზუსტად იგივე მიზეზით დაისაჯა "ტოტენჰემი". მას 600 ათასი გირვანქა სტერლინგის (დაახლოებით 1,1 მილიონი დოლარი) ღირებულების ჯარიმის გადახდა დააკისრეს, ინგლისის თასისთვის ბრძოლის უფლება ჩამოართვეს და ინგლისის ჩემპიონატში 12 ქულა დააკლეს. კლუბმა აპელაცია შეიტანა, თუმცა, სასჯელის ზომის შემცირების ნაცვლად, იმას მიაღწია, რომ ჯარიმა რეკორდულ თანხამდე - 1,5 გირვანქა სტერლინგამდე გაუზარდეს. სამაგიეროდ ინგლისის თასის მოსაპოვებლად გამართულ ტურნირში დააბრუნეს და მოპოვებული ქულებიც აღუდგინეს.

1997 წელს მიდლსბროს" სამი ქულა წაართვეს და 50 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს, რადგან კლუბმა "ბლექბერნთან" მატჩის გადადების ამბავი შეხვედრამდე მხოლოდ ერთი დღით ადრე გამოაცხადა. "მიდლსბრომ" სასჯელის შემსუბუქებას ვერ მიაღწია და სეზონის შედეგების მიხედვით პრემიერ-ლიგიდან გამოვარდა.

2004-2005 წლის სეზონის დასაწყისიდან მოქმედებს წესი, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი კლუბი, რომელსაც ჩემპიონატის მსვლელობის დროს ფინანსური პრობლემების გამო ადმინისტრაციულ მმართველობაში გარეშე პირი შემოჰყავს, ათ ქულას კარგავს.

2004 წლის დეკემბერში "რექსჰემს" ათი ქულა წაართვეს და მესამიდან მეოთხე ლიგაში გადაიყვანეს.

გასული წლის ნოემბერში მეხუთე ლიგის კლუბს "ნორვიჩს" თავდაპირველად ათი ქულა ჩამოართვეს, შემდეგ - კიდევ ექვსი, როცა მისი ახალი მფლობელი მაიკ კონეტი გახდა.

2001 წელს "ჩესტერფილდს" ფინანსური დარღვევისთვის ცხრა ქულა ჩამოაკლეს და 20 ათასი გირვანქა სტერლინგიც გადაახდევინეს.

1990-91 წლის სეზონზე "არსენალმა" ორი ქულა, "მანჩესტერ იუნაიტედმა" კი ერთი ქულა დაკარგა. ორივე კლუბი 50-50 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს. მსგავსი სასჯელი კლუბებმა მას შემდეგ დაიმსახურეს, რაც მათი ფეხბურთელები პირდაპირ მოედანზე დაერივნენ ერთმანეთს და მუშტი-კრივი გამართეს.

### დისკვალიფიცირებულები

1995 წელს "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელს ერიკ კანტონას "კრისტალ პალასის" გულშემატკივრის მეთიუ საიმონის ცემისთვის ცხრა თვით აუკრძალეს მოედანზე გასვლა და 20 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობის ჯარიმის გადახდაც დააკისრეს.

2003 წლის სექტემბერში "მანჩესტერ იუნაიტედის" კიდევ ერთი ფეხბურთელი დაისაჯა, ამჯერად რიო ფერდინანდი. მან შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია და 50 გირვანქა სტერლინგის ოდენობის ჯარიმა მიიღო იმის გამო, რომ თავის დროზე არ ჩაიტარა დოპინგ-ტესტი.

2004 წლის ნოემბერში ლონდონის "ჩელსის" თავდამსხმელი ადრიან მუტუ შვიდით თვით ჩამოაშორეს ფეხბურთს, რადგან მის სისხლში კოკაინის კვალი აღმოაჩინეს.

1998 წლის კლუბ "შეფერდი უენსდეის" იტალიელმა ფორვარდმა პაოლო დი კანიომ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს პოლ ალკოკს, რისთვისაც 10 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხდა და 11 მატჩი გამოტოვა.

გასული საფეხბურთო სეზონის უკანასკნელი მატჩის დროს სათამაშო მოედანს დაუბრუნდა "საუთჰემპტონის" ნახევარმცველი დევიდ პრუტონი. ამ ფეხბურთელს ცხრამატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა და ექვსი ათასი გირვანქა სტერლინგიც გადაიხდა. მან აგრესიულად გააპროტესტა მსაჯის გადაწყვეტილება, რომელიც "არსენალის" ფეხბურთელთან რობერ პირესთან შელაპარაკების გამო მოედნიდან მის გაძევებას შეეხებოდა.

გასული სეზონის დროს "ნიუკასლის" ფეხბურთელმა ლი ბოიერმა თამაშის დროს თანაგუნდელ კიერონ დაიერთან შეხლა-შემოხლის გამო შვიდმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

### დასჯილი მწვრთნელები

გასული წლის დეკემბერში ლონდონის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა 15 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. ამის მიზეზი მის მიერ "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელის რუდ ვან ნისტელროოის მისამართით წარმოთქმული არაკორექტული ფრაზები იყო.

**P.S.** როგორც მოგახსენეთ, ეს სასჯელები არც პირველია და არც უკანასკნელი, ამიტომ ეს თემა აუცილებლად გაგრძელდება...

ინფოთეკა

## ჯერარდი მზადაა, ახალ კონტრაქტს ხელი მოაწეროს

"ლივერპულის" კაპიტანი სტივენ ჯერარდი მზადაა, თავის ამჟამინდელ კლუბთან ახალ კონტრაქტს მოაწეროს ხელი.

"ხელმძღვანელობისგან პასუხს ველოდები, როდის და სად უნდა მოვაწერო ხელი ახალ შეთანხმებას. რა თქმა უნდა, აქ დარჩენა მინდა. რაც უფრო მალე გაფორმდება კონტრაქტი, მით უკეთესი, რადგან მინდა, ჩემი ბედი ახალი სეზონის დაწყებამდე გადაწყდეს", - განაცხადა "ლივერპულის" კაპიტანმა.

## ბერლუსკონი ჯილარდინოს შეძენისთვის 45 მილიონს გამოყოფს

"მილანის" მფლობელმა სილვიო ბერლუსკონიმ კლუბ "პარმას" თავდამსხმელის ალბერტო ჯილარდინოს შეძენის გადაწყვეტილება მოუწონა.

"მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი გასულ შაბათკვირას ესაუბრა ბერლუსკონის ჯილადრინოს ტრანფერის შესახებ და მისგან თანხობა მიიღო.

ამ დღეებში "მილანისა" და "პარმას" წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდებიან და მოლაპარაკების პირველ ტურს გამართავენ.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

**ოთხშაბათი, 15 ივნისი**

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ეგვიპტე - არგენტინა
13:55 ამხანაგური შეხვედრა. "ბარსელონა" - "ურავა რედსი" (იაპონია). პირდაპირი ტრანსლაცია იაპონიიდან
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. პანამა - თურქეთი
17:45 ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალი. "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) - "გვადალაჰარა" (მექსიკა). საპასუხო მატჩი
19:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. შვეიცარია - ბრაზილია. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან
21:30 თავისუფალი დარტყმა
21:45 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "პოლარული გაზაფხული" საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში
22:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ავსტრალია - ჰოლანდია. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან
00:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. კანადა - კოლუმბია

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:15, 15:50, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ცურვა. "Mare Nostrum Swimming Series" მონტე კარლოში
13:30 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:30 "ნადირობის სეზონი"
15:00 "ფენომენი"
16:05 საავტომობილო სპორტი. "გამარჯვების თასი". წრიული რბოლების რუსეთის ჩემპიონატი და თასი მოსკოვში. მეორე ეტაპი. მეორე ნაწილი
17:55 ცხენოსნობა. "Royal Ascot". პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 "სპორტისიმო"
20:15 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT PISTONS" - "SAN ANTONIO SPURS". მე-3 მატჩი. შესვენებისას (21:00) - პრესცენტრი
23:00 NBA-ს ფინალი. "ექო"
23:30 ფლორბოლი. მსოფლიო ჩემპიონატი სინგაპურში. ქალები. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:15 01:15-დან 04:40-მდე შესვენება
04:40 ფეხბურთი. ბრაზილიის თასი. პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი რუსეთში
11:30 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი უნგრეთში
12:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ხორვატიაში
13:30 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერ დიდი პრიზი საბერძნეთში.
15:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩები
17:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ჰოლანდიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
20:15 ცხენოსნობა. ნაციის თასი პორტუგალიაში
21:15 ახალი ამბები - ბიზნესკლასი
21:30 ფეხბურთი. ევროპის ქალთა ჩემპიონატი ინგლისში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:15 გოლფი. მიმოხილვა
00:45 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:00 ფეხბურთი. ფიფას კონფედერაციის თასი. მიმოხილვა
02:30 ფეხბურთი. ევროპის ქალთა ჩემპიონატი ინგლისში. ნახევარფინალი

ახალგაზრდული თამაშები

# ახალგაზრდა ჭვაროსნები მოსკოვისკენ დაიძრნენ

გიგა გურასაშვილი

*ვერის ბაღი და კეკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო დარბაზი. გოგო-ბიჭებით სავსე დარბაზი. სახელმწიფო დროშის ფერებში გამოწყობილი ახალგაზრდა სპორტსმენები და გიგანტური სახელმწიფო დროშა. პატარა დროშებიც, ოღონდ გულშემატკივართა ხელში, საგულშემატკივრო კი ხვალიდან იწყება. იწყება დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების ახალგაზრდული თამაშები, რომელსაც 16-26 ივნისს მოსკოვი უმასპინძლებს.*

ტრადიციულ თამაშებზე საქართველოს ნაკრები მეორედ მიიღებს მონაწილეობას. დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ახალგაზრდული თამაშები მესამედ ტარდება. წინა გათამაშებაზე ქართველმა ბავშვებმა 13 მედალი მოიპოვეს, აქედან ხუთი -ოქროსი.

გუშინდელი თავყრილობის მიზეზი მოსკოვში წასასვლელად გამზადებული ნაკრების წევრთა გაცილება იყო. დღეს პირველი ჯგუფი მიემგზავრება, მეორე ჯგუფი კი 20 ივნისს გაფრინდება.

მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის წყალობით, საქართველოს ნაკრების წევრები (15-დან 20 წლამდე 131 სპორტსმენი) ქართულმა ფირმა "სარომ" შემოსა, ხოლო მერიამ და ქალაქის საკრებულომ მათი მგზავრობის ხარჯები აიღო საკუთარ თავზე.

კეკელიძის საკალათბურთო დარბაზს არც სტუმრები აკლდნენ. კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი, მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი უდესიანი.



გუშინ ახალგაზრდა სპორტსმენები თამაშებზე გაემგზავრნენ.

"ეს ფერები, რომლითაცაა გაწყობილი თქვენის სამოსი, დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებთ. ასე რომ, თქვენ იცით. თქვენი იმედი გვაქვს. მალე ოლიმპიური მედლები მოგველოცოს", - ასე მიმართა ახალგაზრდებს გიორგი გაბაშვილი.

მინისტრისგან განსხვავებით, ბევრად ემოციური და პათეტიკური იყო საკრებულოს თავმჯდომარის გამოსვლა: "თქვენ უნდა იბრძოლოთ, არაფერი დათმოთ და გაიმარჯვოთ, რადგან დღეს საქართველოს ყველაზე მეტად გამარჯვება სჭირდება!"

ასპარეზობები სპორტის 12 სახეობაში ჩატარდება. საქართველოს ნაკრები ცხრა სახეობაში (ცურვა, მხატვრული ტანვარჯიში, კალათბურთი, ფარიკაობა, სამბო, ძიუდო, თავისუფალი და ბერძნულ-რომაულის სტილით ჭიდაობა, მძლეოსნობა) მოსინჯავს ძალებს. დანარჩენი სამი (ტყვიით სროლა, ფრენბურთი, ხელბურთი) საქართველოს ნაკრების გარეშე ჩაივლის. თავდაპირველად მასპინძლებს ფეხბურთიც ჰქონდა პროგრამაში ჩართული, მაგრამ მოგვიანებით მასზე უარი თქვეს.

სარბიელზე თავდაპირველად მოცურავეები, თავისუფალი სტილით მოჭიდავეები და სამბისტები გავლენ. დასრულებით კი დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების ახალგაზრდულ თამაშებს სპორტის დედოფალი - მძლეოსნობა დაასრულებს.

მართალია, ახალგაზრდული თამაშები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვისაა გამიზნული, მაგრამ ორგანიზატორებმა, ერთგვარი პატივისცემის ნიშნად, 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლები - ჩინელებიც მიიწვიეს. თუ რა შემადგენლობით ჩავა რუსეთის დედაქალაქში ჩინეთის ნაკრები, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

საფეხბურთო გალერეა

# სამუელ ეტო`ო: „გაისად უკეთ ვითამაშებ!"

სამუელ ეტო`ოსთვის გასული სეზონი დაუვიწყარი იქნება - ფეხბურთელმა ესპანეთის ჩემპიონატის ტიტული მოიპოვა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პრიმერადივიზიონში 24 გოლი გაიტანა, რომლის წყალობითაც ევროპის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნია ისიც, რომ თებერვალში ეტო`ო აფრიკის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. არ დაგავიწყდეთ, რომ მან ასეთ აღიარებას ზედიზედ მეორედ მიაღწია. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა ფეხბურთელმა გასულ სეზონში "რეალში" მოგებულ ჩემპიონთა ლიგასა და საკონტინენტთაშორისო თასს რამდენიმე ტიტული შემატა.

უეფას ინტერნეტ-გვერდისთვის მიემულ ინტერვიუში სამუელ ეტო`ომ განაცხადა: **"გასული სეზონი მარტო ჩემთვის არ იყო შესანიშნავი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ "ბარსელონამ" ექვსწლიანი შესვენების შემდეგ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი და გუნდმა დიდი პრობლემების გადაჭრის შემდეგ მიაღწია მიზანს - სეზონის განმავლობაში ჩვენ მუდმივად გვაკლდნენ წამყვანი ფეხბურთელები. საბედნიეროდ, საკუთარ თავს ვაჯობეთ, რამაც მეტოქეებთან ბრძოლა გაგვიადვილა. შესანიშნავია იყო ჩემპიონი! კარგა ხანია, ასე ბედნიერი არ ვყოფილვარ!"**

ჩემპიონატში "ბარსელონას" მიერ გატანილი გოლების თითქმის მესამედი სამუელ ეტო`ოს ანგარიშზეა - 73 გოლიდან 24. დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი სტატისტიკაა. **"სეზონის წინ ვფიქრობდი, რომ გოლებს ხშირად გავიტანდი, თუმცა, თუ ლიგის საუკეთესო გოლეადორობისთვის ვიბრძოლებდი, ეს ნამდვილად ვერ წარმომედგინა. მოხარული ვარ, რომ ჩემი შედეგი ერთ-ერთი საუკეთესოა პრიმერადივიზიონში!"**

ესპანეთის რამდენიმე საინფორმაციო სააგენტომ ეტო`ოს 25 გოლი დაუთვალა, თუმცა, ოფიციალური მონაცემებით, კამერუნელმა ფორვარდმა 24 გოლი შეაგდო. ის ერთი გოლი, რომელიც ეტო`ომ 19 თებერვალს გაუტანა ყოფილ კლუბ "მალიორკას", აფრიკელის თანაკლუბელ დეკოს მიაკუთვნეს - საქმე ისაა, რომ პორტუგალიელის მიერ დარტყმული



ბურთი ეტო`ოს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და კარში შევარდა. იტალია რომ ყოფილიყო, გოლი უეჭველდ ეტო`ოს ჩაეთვლებოდა, მაგრამ ესპანეთში სხვანაირად გადაწყვიტეს. **"მიუხედავად იმისა, რომ ამ ერთი გოლი გამო ვერც პრიმერადივიზიონის საუკეთესო გოლეადორის წოდება მოვიპოვე და ვერც ევროპის ოქროს ბუცი", გული არ დამწყვეტია. ორივე ჯილდოსთვის მომავალ სეზონში ვიბრძოლებ!"**

24 გოლიდან რამდენიმეს თამამად შეიძლება ვუწოდოთ შესანიშნავი. აფრიკის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი ასეთად მიიჩნევს "ლევანტეს" კარში შეგდებულ ბურთს: **"შობის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე შევხვდით "ლევანტეს" და მაშინ გავიტანე ულამაზესი გოლი. მართლა ძალიან ლამაზი იყო! სხვათა შორის, სწორედ "ლევანტესთან" ფრეს შემდეგ მოვიგეთ პრიმერადივიზიონი და გოლი იმ მატჩში ისევ მე გავიტანე!"**

გასული სეზონიდან ჩემპიონთა ლიგის მატჩებიცაა აღსანიშნავი. განსაკუთრებით დაუვიწყარია ბარსელონელთა პაექრობა იტალიის "მილანთან" და ინგლისის "ჩელსისთან". ეტო`ო ამბობს: **"შეგვეძლო უფრო შორს წასვლა, მაგრამ მოვდუნდით, რამაც ჩვენი მარცხი გამოიწვია. წავაგეთ გუნდთან, რომელმაც ბრწყინვალედ იცის შანსის გამოყენება - "ჩელსიმ" შეცდომები არ გვაპატია და ეს მის პროფესიონალიზმზე მეტყველებს! პირადად ჩემთვის "მილანთან" ორივე დაპირისპირება დაუვიწყარია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ორივე მატჩი გადაჭედილ სტადიონზე შედგა, რაც უფრო მეტ ხიბლს მატებდა თამაშებს. მეორეც - მიყვარს იმ მატჩებში მონაწილეობა, რომლებშიც ნერვები უკიდურესობამდეა დაძაბული. არაფერი სჯობს იმას, როცა ასეთ მატჩებში გოლი გაგაქვს!"**

რაც შეეხება მომავალ სეზონს, კამერუნელი ფორვარდი მას იმედიანად ხვდება: **"პირადად მე გასულმა სეზონმა ბევრი მომცა - ვისწავლე, როგორ ავარიდო თავი შეცდომებს და მომავალ სეზონში ეს ნაღდად გამომადგება. მჯერა, რომ გაისად გაცილებით უკეთ ვითამაშებ და პირადად ჩემი შედეგებიც უკეთესი იქნება!"**

კრივი

# უკანასკნელი მოჰიკანის აღსარება

## ტაისონი მისიონერობას აპირებს

*შეშლილ, შეშლილ, შეშლილ მსოფლიოში გეტოდან გამოსულმა მაიკ ტაისონმა საკუთარი თავი ვერ დაიცვა და თავით ფეხებამდე გაშიშვლდა. ერთმა გულშემატკივარმა "რკინის მაიკი" ტარზანსაც კი შეადარა, რომელიც ჯუნგლებიდან მეგაპოლისში გადასახლდა. მაიკ ტაისონის სახელი კრივის სამყაროში ვულკანივით ამოიფრქვა. 19 წლის ბიჭი უკვე მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მძიმეწონოსან ჩემპიონად იწოდებოდა. საკუთარი ოფლით მოპოვებულ მილიონებს მაიკი უყაირათოდ ფლანგავდა და როდესაც ვალებში ჩაიძირა, მაიკ ტაისონისგან მხოლოდ სახელიღა იყო დარჩენილი. ერთი მხრივ, ოდესღაც დიდმა ჩემპიონმა ყველაფერში საკუთარი თავი უნდა დაადანაშაულოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უმისოდ კრივმა ბევრი რამ დაკარგა. დიად ჩემპიონთა უკანასკნელმა მოჰიკანმა რინგი დატოვა, თუმცა, "რკინის მაიკის" სახელი სამუდამოდ ჩაიწერება მსოფლიო კრივის ისტორიაში.*

გიგა გურასაშვილი

მაიკ ტაისონის ბედის ბორბალი უკუღმა მას შემდეგ დატრიალდა, რაც ბასტერ დუგლასთან თხუთმეტი წლის წინ ვაკანტურად გამოცხადებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა წააგო. 1990 წლის 2 ნოემბრის ორთაბრძოლიდან მოყოლებული 11 ივნისამდე მაიკმა კიდევ არაერთხელ დატოვა რინგი თავჩაქინდრულმა, მაგრამ თითოეულ დაპირისპირებაში ღირსებისა და ტიტულების დაუფლების სურვილზე მეტად ფულის შოვნის წყურვილი ჰკლავდა. ერთ დროს 300 მილიონის პატრონი, დღეს კი - ჯიბეგაფხეკილი, მაგრამ მაინც სასურველი მეტოქე. სასურველი იმათთვის, ვინც ვერაფერს მიაღწია და "რკინის მაიკის" სახელის სპეკულაციით კრივის მარაქაში გარევა უნდოდა. 2004 წლის 30 ივლისამდე აბა ვინ იცოდა ბრიტანელი დენი უილიამსი. ალბათ თითზე ჩამოსათვლელმა კრივის მოტრფიალემ. 30 ივლისის შემდეგ კი უილიამსი იწოდება არა მსოფლიო ჩემპიონად, არამედ მაიკ ტაისონის დამმარცხებლად, რომელიც დღემდე ყოყლოჩინობს და ამბიციებიც მოსძალებია. ულიამსისა არ იყოს, 11 ივნისამდე აყლაყუდა ირლანდიელის კევინ მაკბრაიდის შესახებაც ბევრს არაფერი გაეგონა. დღეს ისიც ტაისონის დამმარცხებლად იწოდება.

კევინ მაკბრაიდს ერთადერთ "დამსახურებად" ის შეიძლება ჩავუთვალოთ, რომ მან რინგიდან "რკინის მაიკის" დროულად წასვლაზე იმოქმედა. ტაისონი კი მართლაც წავიდა რინგიდან - დაღლილ-დაქანცული და დაბეჩავებულიც. მის თვალებში სწორედ სიბეჩავე იკითხებოდა - გალიაში გამომწყვდეულ ლომს ჰგავდა, რომელსაც ჯუნგლებთან მხოლოდ გენები აკავშირებდა.

დღეს კი რინგიდან წასულ მაიკს ამერიკის დატოვება და ერთ-ერთ ქრისტიანულ მისიასთან შეერთება სურს.

"რაც არ უნდა მოხდეს, აღარ ვიჩხუბებ. როდესაც კრივი დავიწყე, არაფერი მებადა და რაღაცის მიღწევა მსურდა. ახლა აღარაფერი არ მსურს. ვფიქრობ მისიონერობაზე. არის ერთი ქრისტიანული მისიონერული ორგანიზაცია, რომელმაც ბოსნიაში, რუანდასა და სხვა ქვეყნებში წასვლა შემომთავაზა იმისთვის, რომ მედიკამენტებითა და სურსათსანოვაგით დავეხმარო გაჭირვებულ ადამიანებს. მინდა რამე სასარგებლო გავაკეთო. უბრალოდ, მინდა ისეთი რამ გავაკეთო, რასაც სარგებელი მოქვს. თუ ამას არ გავაკეთებ, საკუთარ თავს მკვდრად ჩავთვლი...

ამერიკაში ვერანაირ წარმატებას ველარ მივაღწევ. აქ დამღადადებული ვარ. ვუყურებ ჩემს ფანებს და ვხედავ, რომ მათ არ ვუყვარვარ. ისინი ძალზე ცუდად მიცნობენ იმისთვის, რომ ვუყვარდე. მათ მხოლოდ ის მოსწონთ, რასაც მე ვაკეთებ. არც ერთი მათგანი სახლშიც არ შემიშვებდა. უფლებას არ მომცემდნენ, შევხვედროდი მათ ქალიშვილს. მათ მხოლოდ გასართობად ვჭირდები".

სხვათა შორის, ამ სიტყვების შემდეგ ტაისონმა ყველას მოუწოდა, ჩემი შეცოდება არაა საჭიროო. "რკინის მაიკის" ამ სიტყვებს დარბაზში დიდი ოვაცია მოჰყვა, მან კი თქვა, მეყოფა აპლოდისმენტები. ჩემს ცხოვრებაში ეს ბევრჯერ მოვისმინეო: "უბრალოდ, მინდა საკუთარ საქმეებში გავერკვე. ბოლოს და ბოლოს, მინდა, საკუთარი ცხოვრება კონტროლს დავუქვემდებარო და ბედნიერება მოვიპოვო".

მაიკ ტაისონის გულახდილობა ამით არ დასრულებულა. რინგიდან საკუთარი ნებით წასულმა სხვა მნიშვნელოვანი რამეც თქვა. საკუთარი ნებით, რადგან კევინ მაკბრაიდთან ჩხუბს მაიკი იგებდა. მართალია, უმნიშვნელო უპირატესობით, მაგრამ მაინც. ტექნიკური ნოკაუტით წაგება იმიტომ ჩაუთვალეს, რომ ირლანდიელთან შეხლისას არაქათი გამოეცალა. არ გეგონოთ, რომ გამართლებას ვცდილობდე, მაგრამ სწორედ ასე იყო. თქმით კი ის თქვა, რომ...

"ჩემთვის ჯერ კიდევ 1990 წელს დასრულდა ყველაფერი. მას შემდეგ საკუთარ თავს აღარ ვგავარ. სულ საკუთარი თავის მოტყუებას ვცდილობდი. ჩემი გული რინგს აღარ ეკუთვნოდა. 1990 წლის შემდეგ მხოლოდ ფულისთვის ვჩხუბობდი, რათა საკუთარი თავისთვის ცხოვრების გარკვეული სტილის უფლება მიმეცა. მაშინ ძალიან მიყვარდა ფული. გოგოებს ფული უყვარდათ, მე კი გოგოები. ამიტომაც გავდიოდი რინგზე".

მაიკ ტაისონის აღსარების შემდეგ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნაც კი შეიძლება, ალბათ, საინტერესო სურათსაც მივიღებდით ყოფილი ჩემპიონის ბუნებაზე.



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს უცხოური წარმოების ბულდოზერის (T- 171 ან მისი ექვივალენტი) სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: ბულდოზერი მუშა მდგომარეობაში, გამოშვების წელი - არა უგვიანეს 1995 წლისა, არანაკლებ 170 ცხძ სიმძლავრით; რაოდენობა - 2 ცალი.
**2.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე.
**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 30 ივნისიდან 12 საათიდან 1 ივლისის 17საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.
**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
4.1 იურიდიული პირისათვის:
- ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობები შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი ) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
4.2 ფიზიკური პირისათვის:
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
**5.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
**6.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 4 ივლისის 12 საათიდან 5 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.
**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: კარლო ჩოთირიძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-54-20, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

## ასკეტიკიდან ჰორორამდე



იერონიმუს ბოსხი, "გიჟი გრეტა".

XVI საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით კი ტრიდენტის საეკლესიო კრების შემდეგ კათოლიკურ ეკლესიაში ფეხი მოიკიდა ახალმა ასკეტურმა დოქტრინამ, რომლის სულის ჩამდგმელი იყო იეზუიტთა ორდენის ფუძემდებელი წმინდა **ეგნატე ლოიოლა**. თუ ადრე საკუთარი სინდისის მუდმივი გამოკვლევა და ფსიქოლოგიურ-მორალისტური პრაქტიკა წმინდანთა ხვედრი იყო, ახლა უკვე რიგით ქრისტიანებსაც ევალებოდათ საკუთარი თავისადმი შეკითხვების დასმა, საკუთარი სარწმუნოებრივი სიმტკიცის რეგულარული გამოკვლევა და სულის სიღრმეში ჩაბუდებული დემონის მხილება.

საინტერესოა, რომ იგივე პროცესები მიმდინარეობდა პროტესტანტთა გარემოშიც. სწორედ ამ დროს, დაახლოებით 1587 წელს დაიბადა მითი დოქტორ ფაუსტუსისა და მეფისტოფელის შესახებ. ეს ნიშანი იყო მეტად საინტერესო საზოგადოებრივი და კულტურული ფენომენისა: წმინდანობის მოდელი გამოვიდა ეკლესიური სფეროდან და მთელ საზოგადოებას მოედო როგორც დანაშაულის გრძნობისა და ბოროტის წინაშე შიშის საყოველთაო გავრცელება. კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის გამწვავებულმა კონფლიქტმა კიდევ უფრო გაზარდა ეს შიში და მის დასაძლევად შეიქმნა ბოროტის "მოშინაურების" საჭიროება. მოშინაურების ყველაზე ცხადი ხერხია ხილული გამოსახულება: გამოსახულების წინაშე განცდილი ემოციური შოკი ხსნის გაურკვევლობის შეგრძნებას, მუდმივ სასპენზს, რომელშიც პრაქტიკულად არსებობს ასკეტი. გამოსახულება ასატანს ხდის მოლოდინს, საშინელებას კი ჩვეულ სახეს აძლევს.

XVI საუკუნის ბოლოს ჰუმანისტებს, **ტომას მორისა** და **ფრანსუა რაბლესაგან** განსხვავებით, უკვე აღარ სწამდათ უტოპიებისა. რელიგიური ომების დასაწყისმა კი საყოველთაოდ გაავრცელა იმის შეგრძნება, რომ ჯოჯოხეთი უკვე ამქვეყნად იწყება. ეს შეგრძნება განსაკუთრებით მწვავედ აისახა ჰოლანდიელი მხატვრის, **იერონიმუს ბოსხის** შემოქმედებაში. მისი ტილო, "გიჟი გრეტა", რომელიც დაახლოებით 1563 წელს შეიქმნა, სწორედ ამგვარ განწყობას გამოხატავს: უცნაურად გამოწყობილი ფსიქიკურად ავადმყოფი ქალი თითქოს ძილბურანში მიაბიჯებს წინ, ჯოჯოხეთის გახსნილი ხახისკენ, ხელში უკვე უსარგებლოდ ქცეული ავლა-დიდება აქვს ჩაბღუჯული, მის უკან კი ეშმაკეული ცეცხლი უკვე ედება ქვეყნიერებას და უცნაური ურჩხულები ეპატრონებიან დედამიწას.

დღეს ყველა იცნობს ილიაში ბიბლიაამოჩრილ ამერიკელ გმირებს, რომლებიც ჰოლივუდურ ბლოკბასტერებში უპირისპირდებიან ბოროტებას და იმარჯვებენ. ეს მხატვრული სახეები ორმაგ ფუნქციას ატარებენ — ერთი მხრივ, წარმოადგენენ ხანგრძლივ სარეკლამო კლიპებს ერთობლივი სლოგანით: "მხოლოდ აშშ გიხსნით საფრთხისაგან". ეროვნული თვითშეგნებისა და მსოფლიო გავლენის ეს მესიჯი განსაკუთრებით საგრძნობია კატასტროფათა ფილმებში ("არმაგედონი", "უფსკრულის დარტყმა", "დღე ხვალის შემდეგ"...). მეორე ფუნქცია კი თანამედროვე ადამიანის შიშების განსახიერება, ფიქტიური მატერიალიზაცია და აქედან გამომდინარე დაძლევაა. ასევე ორმაგ ფუნქციას ატარებდა XVI საუკუნის ჰოლანდიელთა მიერ ტილოზე საღებავებით გამოსახული ჰორორიც.

ახლა უკვე აღარავინ ეკამათება იმ ვარაუდს, რომ იერონიმუს ბოსხი შუასაუკუნეობრივი დემონოლოგიის ბრწყინვალე მცოდნე იყო. ამას მოწმობს თუნდაც მისი ნამუშევრები "წმინდა ანტონის ცდუნება" (ლისაბონი) და "საშინელი სამსჯავრო" (ვენა). აქ აშკარად შეინიშნება გერმანელი ავტორის, ნიდერის დემონოლოგიური ტრაქტატი "ჭიანჭველების ბუდე", რომელიც 1487 წელს გამოქვეყნდა. ბოსხისა და მისი თანამედროვის, **პიტერ ბრეიგელის** ნამუშევრები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი არა მარტო თარგმნიან თეორიულ მსჯელობათა რთულ მიმდევრობას ხილული ხატების ენაზე, არამედ დემონთა სამყაროს ნამდვილ ადამიანურ განზომილებას სძენენ. მხატვრები ასახავენ ადამიანის სულში ჩაბუდებულ ბოროტებას, მაგრამ ამავე დროს ხელს უწყობენ დემონის სრულიად კონკრეტული ხილული სახის ჩამოყალიბებას. ეს დემონი სადღაც ახლოსაა, აქვეა და სწორედ ამიტომაა განსაკუთრებით სახიფათო.

ერთი მხრივ, მხატვრის შემოქმედების გარეგნული, ასე ვთქვათ, პოლიტიკური საბაბი იყო ნიდერლანდების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ომის საშინელებები, ჰოლანდიის ველებზე დაგდებული დაუმარხავი გვამები და გაჩანაგებული სახლები იყო ბოსხის ყველაზე უშუალო "ნატურა". ერთ-ერთ ნამუშევარზე გამოსახულ სატანას ჰოლანდიელთა მტარვალის, ჰერცოგ ალბას სახე აქვს მიცემული. ესაა ბოსხის შემოქმედების ერთი, გარეგნული და კონკრეტული მხარე.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მხატვრები არასოდეს ქმნიდნენ ნაწარმოებებს უბრალო ხალხისთვის. მათი კლიენტები, ჩვეულებრივ, სამეფო კარზე ან ქალაქელ ელიტაში მოიპოვებოდნენ. ოსტატები ერთგვარ სარკისებურ ანარეკლებს ქმნიდნენ, რომლებშიც მდიდარი და გავლენიანი ინტელექტუალები თავიანთ თავს სცნობდნენ, როგორც უშუალოდ, ასევე გაშუალებულად, ტილოებზე გამოხატული მათი ანტიპოდების მეშვეობით. ეს უკანასკნელნი იყვნენ სურათებზე გამოსახული უხეში და გაუთლელი გლეხები, რომლებიც არასოდეს ყიდულობდნენ სურათებს და, შესაბამისად, ვერასოდეს ხედავდნენ თავიანთ გამოსახულებას.

თუმცა მხატვრის მიერ გამოსახული სამყარო ფორმალურად განუმეორებელია, ის მაინც ასახავს თანამედროვეობის წარმოდგენებს, ეპოქის წარმოსახვას, რომელიც ოსტატსა და დამკვეთს საზიარო ჰქონდათ. ამ წარმოსახვაში კი საკვანძო ფიგურა სწორედ დემონია, ბოროტების გაპიროვნებული განსახიერება. დემონის ნიშნით ყალიბდებოდა სწავლული კულტურა, რომელსაც ეკუთვნოდნენ არა მარტო ინტელექტუალები, არამედ ძალაუფლების მპყრობელნიც.

საოცარია, რომ ერთ-ერთი ყველაზე მხურვალე თაყვანისმცემელი ბოსხის შემოქმედებამ იმ პიროვნებაში ჰპოვა, რომლის პოლიტიკური პრეტენზიების წინააღმდეგაც იყო ეს შემოქმედება მიმართული. ესპანეთის მეფე, **ფილიპე II**, რომელიც 1598 წელს გარდაიცვალა, აღფრთოვანებული იყო იერონიმუს ბოსხის ტილოებით. მან თავისი კაბინეტი მორთო მხატვრის წარმტაცი და საშინელი ხილვებით: ასე არ მოხდებოდა, ეს ჰორორის ჟანრის ნიმუშები, რომ არ პასუხობდნენ მეფის შინაგან რელიგიურ შეგნებას, რომელიც დამახასიათებელი იყო კონტრრეფორმაციის პერიოდისთვის. აქ იჩინა თავი ბოსხის მეორე, უფრო ღრმა და ზოგადმა პლანმა, რომელიც დღესაც ცოცხალია და მიუხედავად ისტორიული დისტანციისა, იზიდავს აღფრთოვანებული მაყურებლის მზერას.

# XVII საუკუნის ბესტსელერები

სიტყვაზე "კამიუ" ზოგიერთს საშუალო ხარისხის ფრანგული სასმელი წარმოუდგება ხოლმე, სხვებს კი გასული საუკუნის ცნობილი ეგზისტენციალისტი მწერალი **ალბერ კამიუ**. მაგრამ სულ რაღაც სამასი წლის წინათ საფრანგეთში ცხოვრობდა კიდევ ერთი კალმოსანი — **ჟან პიერ კამიუ**, რომლის თხზულებები გაცილებით უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობდა, სანამ დრომ დავიწყების რიდე არ გადააფარა...



ფრანგი ეპისკოპოსი და მწერალი ჟან-პიერ კამიუ.

ჟან პიერ კამიუ დაიბადა 1582 წელს და გარდაიცვალა 1652-ში, ან ერთი წლით უფრო გვიან. 1608 წლიდან იგი საფრანგეთის ქალაქ ბელეს ეპისკოპოსი იყო. ამ მაღალ ხარისხში აყვანისას ახლახან შეუსრულდა 26 წელი, მაგრამ რენესანსისა და ბაროკოს ეპოქაში ამგვარი ნორჩი ეპისკოპოსები იშვიათობა არ ყოფილა. 1628 წელს დათმო საეპისკოპოსო კათედრა და მთლიანად მიუძღვნა თავი მწერლობას. მისი ხელიდან გამოვიდა 265 წიგნი, რომელთა შორის 21 კრებულია, რომელიც საერთო ჯამში 950 ტრაგიკულ ნოველას შეიცავს.

ძირითადი იდეა: სატანის კლანჭებში ტყვედ ჩავარდნილი ქვეყნიერების გამოხსნა იარაღით ხელში.

უფრო კონკრეტულად, თავისი შემოქმედებით, რომელსაც დღეს ალბათ ჰორორის (უფრო გავრცელებული ტერმინოლოგიის მიხედვით კი "უჟასების") ჟანრში მოეძებნებოდა ადგილი, ჟან პიერ კამიუ ცდილობდა, მკითხველის ხელიდან გამოეგლიჯა ისეთი "საშიში" წიგნები, როგორებსაც მიეკუთვნება, მაგალითად, ფრანგი მწერლის, **ონორე დ`იურფეს** (1567 - 1625) პასტორალური რომანი "ასტრეა". ასტრეა მშვენიერი მწყემსი ქალის სახელია, უსაშველოდ გრძელი რომანი კი მოგვითხრობს მისი და მასზე შეყვარებული ვაჟის, სელადონის მრავალრიცხოვან სასიყვარულო თავგადასავალზე. რომანში, ეპოქის ტრადიციის თანახმად, მრავალი მოთხრობა თუ ამბავია ჩართული. დღეს ასეთი რომანი საოცრად მოსაწყენი მოგვეჩვენებოდა, XVII საუკუნის ფრანგი საზოგადოება კი ჭკუას კარგავდა "ასტრეას" კითხვისას.

სწორედ ამ წიგნში ასახულ ვნებათაღელვას დაუპირისპირდა ჟან პიერ კამიუ, რომელმაც 1609-1618 წლებში ჯერ რამდენიმე სათავგადასავლო კრებული შექმნა საერთო სათაურით "სხვადასხვა შემთხვევები", მერე კი ჭკუის სასწავლებელი რომანის ჟანრს მიჰყო ხელი და 1624 წელს მკითხველს აჩუქა წიგნი "პადომბა ანუ პატივსაცემი ქალი". მიუხედავად მკითხველთა საოცარი ამტანობისა, განათლებულ ფრანგებს არ მოეწონათ კამიუს მრავალსიტყვაობა და მორალიზმი.

მაშინ მოუვიდა აზრად ქრისტიან ჰუმანისტსა და მქადაგებელს, რომ მოკლე ტრაგიკული მოთხრობის ფორმა იდეალური იქნებოდა მისი მიზნების შესასრულებლად. მაშინ, ისევე როგორც ახლა, ადამიანებს მოსწონდათ, როცა ზომიერად აშინებდნენ.

კამიუმ დაიწყო ანტიკური სიუჟეტების გაქრისტიანება და სხვადასხვა ეფექტური მომენტების დამატებით ცდილობდა სარწმუნოებაში დაეჭვებულის გონებაზე შოკურ ზემოქმედებას.

პირველი კრებული, სათაურით "გასაოცარი მოვლენები" გამოვიდა ლიონში 1628 წელს. უნდა ითქვას, რომ მოკლე მოთხრობა მაინცდამაინც მოკლე არ ყოფილა: 70 ნოველის საერთო სივრცე თითქმის ათასი გვერდი იყო. კრებულის წარმატებაზე მეტყველებს ის, რომ 1660 წლამდე მან 18 გამოცემას გაუძლო. ამას ინგლისურენოვანი თარგმანის ორი გამოცემაც უნდა დავუმატოთ.

ამავე წელს ეპისკოპოსობისგან დასვენებულმა კამიუმ ხუთი ტრაგიკული რომანი გამოაცხო და 30 სხვა ნოველა, რომლებიც გააერთიანა კრებულში სათაურით "ღირშესანიშნავი შემთხვევები". კიდევ უფრო დიდი პოპულარობა მოუტანა ავტორს ორმა კრებულმა: "სისხლიანი ამფითეატრი" და "საშინელი სანახაობები" — ეს კრებულები სტილისტური სრულყოფილებით გამოირჩეოდა. არც მომდევნო თხზულებების სათაურებია ნაკლებად შთამბეჭდავი: "ისტორიული პენტაგრამა", "სარკისებური კოშკი", "საბედისწერო შეხვედრები". 1660-1670 წლებში კამიუს სიკვდილის შემდეგ კიდევ რამდენიმე წიგნი გამოვიდა.

შევაფასოთ ამ ლიტერატურული ფენომენის მასშტაბები.

შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნეში მკითხველთა შორის სამი ფენა გამოიყოფოდა. პირველი მოხეტიალე მოვაჭრეთაგან ყიდულობდა იაფფასიან ბროშურებს. ესენი კამიუს ნაწერებს თითქოსდა არ იძენდნენ, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ სრულიად არ იცნობდნენ ამ ავტორს. მეორე ფენას წარმოადგენდნენ ჰუმანისტები და სხვადასხვა სამეცნიერო დარგის სპეციალისტები. მათი რიცხვი საუკუნის დასაწყისში სულ რაღაც რამდენიმე ასეული იყო, მაგრამ მოგვიანებით, კლასიცისტური პერიოდის დაწყებისთვის ორ ან სამ ათასამდე გაიზარდა. მესამე ფენა — საშუალო შეძლების განათლებული ერისკაცები — გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო და რვა თუ ათი ათასს აღწევდა. 1660 წლისთვის სამი ათასი ასეთი ადამიანი პარიზის მცხოვრები იყო. ამ ტიპის მკითხველებში შედიოდნენ აზნაურები, მდიდარი ბურჟუები, დამები და ქალწულები, რომლებიც გიჟდებოდნენ პოეზიაზე, რომანებსა და ეპისტოლარულ წიგნებზე.

მაგრამ კამიუს ნაწარმოებების საერთო ტირაჟი რომ დავითვალოთ, აღმოჩნდება, რომ წიგნების რიცხვი საგრძნობლად ჭარბობს ამ უკანასკნელ ფენაში შემავალ მკითხველთა რაოდენობას. როგორც ვხედავთ, მწერლის წარმატება მართლაც გასაოცარი იყო, ყოველ შემთხვევაში, მსგავს პოპულარობაზე ვერც იოცნებებდა მისი ეგზისტენციალისტი მოგვარე.

თვით ჟან პიერ კამიუ ამბობდა, რომ შთაგონების წყარო მისთვის რეალობაა. ამავე წლებით თარიღდება საფრანგეთში პირველი გაზეთების გამოსვლაც. სწორედ გაზეთებმა აქციეს სისხლიანი და საზარელი ამბები მოდურ საკითხავად. ძლიერ შეგრძნებათა მოყვარულები მკითხველთა შორის XVI საუკუნის შუაწლებიდან გამოიკვეთნენ და მათი რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა. კამიუ ხშირად არა მარტო გავლენას ახდენდა მკითხველის გემოვნების ჩამოყალიბებაზე, არამედ თვითონ ცდილობდა მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებას: მიუხედავად მორალისტური და მქადაგებლური განწყობისა, არასოდეს ამბობდა უარს საშინელი გარყვნილების თუ სისასტიკის დაწვრილებით აღწერაზე.

შეიძლება ითქვას, რომ ჟან პიერ კამიუმ შექმნა ფრანგულ ლიტერატურაში პირველი "ადამიანური კომედია": მართლაც მეტად შთამბეჭდავია მაშინდელი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ასახვა. მიუხედავად არისტოკრატიის სატირული აღწერისა, აშკარად ჩანს, რომ ავტორი იზიარებს ამ ფენის იდეალებს. ბურჟუაზიის აღწერისას მისი მხილებით ტონი რამდენიმე საფეხურით მაღლდება. იშვიათად გვხვდებიან ხელოსნები და ვაჭრები, მაგრამ ბევრია გლეხი და მსახური.

ამ სოციალურ ფონზე ახდენს ჟან პიერ კამიუ თავისი საყვარელი სიუჟეტის, ვნებათა ბრძოლისა და ზღვარგადასული შფოთვის ჩამოყალიბებას. ვნებებს ავტორი ფსიქოლოგის თვალსაზრისით განიხილავს, თუმცა ეს ფსიქოლოგი, რა თქმა უნდა, XVII საუკუნეს ეკუთვნის. მოქმედება, ჩვეულებრივ არნახული ძალადობით ვითარდება. კამიუს ნაწერებში მოქმედი ღმერთი თუ განგება გამსჭვალულია ნეტარი ავგუსტინესათვის დამახასიათებელი პესიმიზმით, მისთვის უცხოა მოწყალება და იგი სრულიად ეთანხმება მეფის მართლმსაჯულებას, რომელიც დანაშაულისადმი სიძულვილის გაღვივებას საშინელი ფიზიკური ტანჯვისა და საჯარო დასჯების თვალსაჩინო სურათებით ცდილობდა.

მაგრამ ღმერთზე მეტი ადგილი აქ ბოროტ ძალას ეთმობა — ისაა სიუჟეტის მთავარი მამოძრავებელი ღერძი.

კრებულში "საშინელი სანახაობები", რომელიც ავტორის შედევრებს მიეკუთვნება, კამიუ განიხილავს ხერხთა მრავალსახეობას, რომელსაც იყენებს სატანა ადამიანის სულზე გავლენის მოსახდენად. ამ წიგნში ძალადობრივი სიკვდილით 126 პერსონაჟი კვდება. შეიძლება ითქვას, რომ კამიუ **პრევოსა** და **დე სადის** "შავი პროზის" წინამორბედია. კრებული სავსეა გამოუვალი და ტრაგიკული ვითარებებით, მასში მოქმედი მაცდური სული დაუმარცხებელია, მას ვერავინ უპირისპირდება.

მაგალითად, ნოველაში "ნაადრევი ეჭვიანობა" ცოლი ელოდება ქმრის ჩაძინებას, რათა რამდენჯერმე ჩასცეს მას საგანგებოდ შემონახული ხანჯალი. ის ასობს ხანჯალს ყელში, მუცელში, კუჭში და ამგვარად დევნის სულს ქმრის სხეულიდან, რომელიც ამაოდ ინახავდა ცოლისადმი ერთგულებას. ნოველაში "გონდოლიერი", პირიქით, ქმარი კლავს თავის ქარაფშუტა ცოლს. ნოველაში "დედა მედეა" ქალი შურს იძიებს მოღალატე ქმარზე და ნაჯახით აჩეხავს მის შვილებს. სხვა მოთხრობაში კი ქმარი ცოლს აიძულებს სატრფოს გულის შეჭმას.

ყოველ ნოველას ასრულებს მოკლე დასკვნა, რომელშიც ავტორი ლაკონური სტილით ახსენებს მკითხველს, რომ ღვთის სასჯელი გარდაუვალია. მას იმედი აქვს, რომ ამგვარი დასკვნის წაკითხვის შემდეგ ყველა მაშინვე დაადგება სიკეთისა და ღვთისმოსაობის გზას. აქ კი უნდა დავსვათ შეკითხვა: განა ამგვარი დასკვნა და მასში მოცემული იდეოლოგია განაპირობებს მკითხველის ინტერესსა და, შესაბამისად, ავტორის პოპულარობას?

ალბათ უფრო სარწმუნო იქნება ვივარაუდოთ, რომ მკითხველის მთავარი მოტივაცია აკრძალულთან მიახლოება, ჭრუჭრუტანაში ჩახედვის შესაძლებლობა, ან, როგორც დღეს იტყოდა რომელიმე მემარცხენე მიმართულების ინტელექტუალი, ვუაერისტული ვნებების დაკმაყოფილებაა. მაგრამ საქმე არც ისე მარტივადაა: იმხანად მორალისტური დისკურსი არ ყოფილა აშკარად გამოკვეთილი და განცალკევებული, მაგალითად, საშინელი სანახაობების მოყვარულის დისკურსისგან. ავტორი ხშირად ურევს ამ ორ მიზანს. როგორც ეტყობა, მკითხველებსაც უჭირთ განსხვავების დანახვა. სისასტიკესთან შეხების ვნებიანი ჟრუანტელი მათ ქრისტიანული ღვთისმოსაობის გამოხატულება ჰგონიათ და სრულიად გულწრფელნი არიან ამაში.

ბუნებრივია, რომ ქრისტიანული სიწმინდის იდეალი სწორედ იმიტომ ყვავის ასე წარმტაცად იმ ეპოქაში, რომ ფესვები ყოველდღიური სისასტიკის სიბინძურეში აქვს გადგმული. მართლაც, XVII საუკუნის ევროპელი მუდმივად დანის პირზე დადის: ხშირი პოლიტიკური შეთქმულებები, სახალხო ამბოხები, სისხლიანი შურისძიება, კოცონზე მოგიზგიზე კუდიანები, 1630 წლის შავი ჭირის ჯერაც ჩაუმქრალი მოგონება. სატანის, ბოროტი სულის ხილვა მოსახლეობის თვალსაწიერს მთლიანად მოიცავდა. ადვილი იყო დამაჯერებლობის მიღწევა, როცა საქმე საშინელ და სისხლიან მოთხრობას ეხებოდა.

აქ ყოველნაირი საშუალებები გამოიყენებოდა და XVII საუკუნის ბესტსელერთა ავტორი არაფრით ჩამორჩებოდა თავის პოსტმოდერნისტ კოლეგებს.

ერთ-ერთი ასეთი ხერხია მეცნიერების "მიღწევათა" ჩართვა მხატვრულ ტექსტში. იმ დროს სწავლულმა მედიკოსმა, ვინმე **ლემნიუსმა**, მეცნიერულად გააფორმა შუასაუკუნეობრივ ცრურწმენაზე აგებული თვალსაზრისი, თითქოს მკვლელის მოახლოებისას მოკლულის ჭრილობებიდან სისხლი იწყებს ჟონვას. ჟან პიერ კამიუმ ამ თვალსაზრისს მხატვრული მტკიცება შეუქმნა და ათასობით მკითხველის ყურამდე მიიყვანა წიგნში "სისხლიანი ამფითეატრი".

სხვა ხერხია უაღრესად ეფექტური შავი იუმორი. მაგალითად, ნოველა "გვიანი სინანული", სადაც მოთხრობილია სიძვით გატაცებული მეროჭიკე ბერის ამბავი, ანდა მოთხრობა "მყრალი თანამეცხედრე". თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამგვარი ტექსტები უფრო "შავია", ვიდრე იუმორისტული. ძნელი დასაჯერებელია, რომ მაშინდელი მკითხველები მათში ჩვენს მსგავსად პოულობდნენ ღიმილის საბაბს.

ნოველა "მყრალი თანამეცხედრე" შემდეგი შინაარსისაა: მისი მთავარი პერსონაჟია საფრანგეთის პროვინციული კოლეჯის მასწავლებელი, ლათინურისა და ბერძნულის მცოდნე. თუმცა ამ ინტელექტუალს უამრავი ნაკლიც ჰქონდა: უყვარდა ღვინო, აზარტული თამაშები და ლამაზი ქალები. სიცოცხლის ბოლოს მას თავდავიწყებით შეუყვარდა ერთი ნორჩი ლამაზმანი, მაგრამ იმდენად ეჭვიანი იყო, რომ როგორც კი მის სატრფოს ლოყაზე ბუზი დააჯდებოდა, პროფესორი მაშინვე ცდილობდა ბუზის სქესის გარკვევას. შვიდი თუ რვა წლის შემდეგ პროფესორის ჯანმრთელობა შეირყა. ის პირობას დებს, რომ მოინანიებს ცოდვებს და უარს იტყვის უსჯულო კავშირზე. ქალი სასოწარკვეთილია, რადგან მოხუც პროფესორთან მხოლოდ მატერიალური ინტერესი ამყოფებს. ბოლოს და ბოლოს ქალი ითანხმებს პროფესორს, რომელიც ანდერძით უტოვებს მას სახლსა და მთელ ქონებას და მოუნანიებლად კვდება მის მკლავებში. სულ რაღაც ერთ საათში მისი გვამი აყროლებულ მძორად იქცევა. სახლი იმდენად იწამლება სიმყრალით, რომ მასში ცხოვრება შეუძლებელია. სიმყრალე აღწევს ტყვიის ჰერმეტული კუბოდანაც კი. შეუძლებელია მისი დაკრძალვა ტაძარში, ვერც სასაფლაო იკარებს საშინელ გვამს. ღამით მას თხრიან და მდინარეში აგდებენ, მაგრამ თევზი იხოცება...

რატომ მაინცდამაინც ეს მოთხრობა მოვიყვანეთ? იმიტომ რომ თანამედროვეობას ეხმიანება. ამაზრზენი სუნი, გოთიკური რომანებიდან მოყოლებული, ჰორორის ჟანრის განუყოფელი ელემენტია. ისეთ კლასიკოსებთან, როგორიც **ჰოვარდ ლავკრაფტია**, თემატურ მნიშვნელობასაც იძენს. ბუნებრივია, რომ შამპუნებისა და დეზოდორანტების სტერილურ, ჰიგიენურ სამყაროში სიმყრალე ბოროტების ერთ-ერთ ყველაზე საგრძნობ ნიშნად იქცევა.

*ნოდარ ლადარია*

*ლეილა ბეჟარაშვილი*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს 2005 წლისათვის დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაციის საშუალებებუს შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს. დაფინანსების წყარო - საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები.

| № | საქონლის დასახელება | რაოდენობა | № | საქონლის დასახელება | რაოდენობა | № | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | საკონტროლო პანელი (16 ზონიანი) | 50 | 15 | დისტანციური ღილაკი | 100 | 29 | ატლას-6 | 2 |
| 2 | საკონტროლო პანელი (4 ზონიანი) | 300 | 16 | ფიქსირებული საგანგაშო ღილაკი | 600 | 30 | რადიო-პულტი | 1 |
| 3 | სირენა | 350 | 17 | მაგნიტო-კონტაქტური მაუწყებელი | 800 | 31 | რადიო-პულტის რეტრანსლიატორი | 1 |
| 4 | ტრანსფორმატორი | 350 | 18 | კაბელის სამაგრი | 80000 | 32 | რადიო-პულტის გადამცემი | 350 |
| 5 | შიფრატორი | 50 | 19 | აკუმულატორი 40 ა/სთ | 200 | 33 | რიპიტერი (MOTOROLA GR-500 მსგავსი) | 2 |
| 6 | მოძრაობის დეტექტორი | 2000 | 20 | აკუმულატორი 65 ა/სთ | 150 | 34 | კვების ბლოკი | 2 |
| 7 | მსხვრევის დეტექტორი | 700 | 21 | ავტომატური სამუხტი | 350 | 35 | საბაზო ანტენა | 4 |
| 8 | სახანძრო მაუწყებელი | 100 | 22 | მობილურის ავტო-დამრეკი | 50 | 36 | კოაქსიალური კაბელი | 300 |
| 9 | სენსორული დეტექტორი | 50 | 23 | კაბელი 4X0.5 | 18000 | 37 | კონექტორები | 4 |
| 10 | ორმაგი მოქმედების დეტექტორი | 50 | 24 | კაბელი 6X0.5 | 3000 | 38 | საბაზო ანტენის ადაპტერი | 4 |
| 11 | იმუნიტეტური დეტექტორი | 50 | 25 | კაბელი 10X0.5 | 3000 | 39 | საავტომობილო რადიოსადგური | 10 |
| 12 | გაზის დეტექტორი (CO) | 150 | 26 | კაბელი 12X0.5 | 2000 | 40 | საავტომობილო რადიოსადგურის მაგნიტური ანტენები | 10 |
| 13 | ქურის დეტექტორი | 25 | 27 | საკაბელო არხი ზომა 16X10 | 1500 | 41 | პორტატული რადიოსადგური | 10 |
| 14 | გამოსავალი მოდული | 25 | 28 | საკაბელო არხი ზომა 20X12.5 | 1000 | 42 | ვიდეო-მონიტორინგის სისტემა (კომპლექტი) | 1 |

2. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. ტენდერში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მოწოდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად.

4. ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების სესახებ ხელშეკრულების ცალკეული ნაწილების (ელემენტების) შესრულების უფლება.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მანაცენები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე **ა.წ 1 ივლისიდან 4 ივლისის 17 საათამდე** სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ. სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

6. საკვალიფიკაციო მონაცენები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**6.1 იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელძღვანელი (ხელმძვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**6.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მითითებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

9. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა დასრულდება **ა.წ 5 ივლისს.**

10. ღია ტენდერში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად შესატანია სატენდერო მოსაკრებელი 500 (ხუთასი) ლარი. ჩვენი რეკვიზიტებია:

ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი ანგარიშის N345919 კოდი 220101757.

11. სატენდერო დოლუმენტაცია დგება ქართულ ენაზე. პრეტენდენტებზე მათი გაცემა მოხდება **ა.წ** 12 **ივლისიდან 15 ივლისის 17 საათამდე** სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სატენდერო კომისიაში.

12. პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 22 ივლისის 17 საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 22 ივლისს 17 საათზე.**

13. დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

**საკონტაქტო პირი გურამ გოცაძე ტ: 517406.**
**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლოციის დეპარტამენტის სახელით**

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - საოფისე და ელექტრო ტექნიკა**
**დაფინანსების წყარო - გრანტი**

| N | დასახელება | განზ. | რაოდ. |
|---|---|---|---|
| 1 | ასლგადამღები, ა4, 8-10 ასლი/წთ | ცალი | 16 |
| 2 | ასლგადამღები, ა3, 16 და მეტი ასლი/წთ | ცალი | 2 |
| 3 | ფაქსი, ა4, ჩვეულებრივი ქაღალდი, კოპირი | ცალი | 82 |
| 4 | კონდიციონერი, კედლის, 3.5 კვტ, სპლიტ-სისტემა | ცალი | 16 |
| 5 | გენერატორები - 4 კვტ | ცალი | 8 |
| 6 | გენერატორები - 10 კვტ, 3-ფაზიანი | ცალი | 5 |
| 7 | სტაბილიზატორი - 1500 ვტ, 220 ვ | ცალი | 10 |

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთა:**

მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

**ფიზიკურ პირთა:**

უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკიურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

**დამატებითი მოთხოვნები:**

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);

ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2005 წლის **30 ივნისიდან** 2005 წლის **5 ივლისის 17 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70**
**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

**სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2005 წლის **7 ივნისს** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500** ლარის ოდენობით მათ სახელზე გამოგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაეცემა პრეტენდენტებს **2005 წლის 8 ივლისიდან 2005 წლის 11 ივლისის 17 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული. რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება ქ. თბილისში 2005 წლის ოქტომბრამდე.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრებს ირაკლი ათანასოვს და სოფიკო ბერიშვილს, ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის გლდანი-ნაძლადევის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია საერთაშორისო ტენდერს ყოფილი ნაძალადევის რაიონის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისა და მოსახლეობიდან საოჯახო საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:
-I კატეგორიის 9 ქუჩის დასაგველი ფართი -230.0 ათ.კვ.მ;
-II კატეგორიის 18 ქუჩის დასაგველი ფართი - 280.0 ათ.კვ.მ;
-ხევები და ფერდობების დასაგველი ფართი - 200 ათ. კვ.მ;
-ნაგავშემკრები კონტეინერების რაიოდენობა - 280 ცალი;
-ნაგავშემკრები ბუნკერების რაიოდენობა - 630 ცალი;
-საოჯახო საყოფაცხოვრებო ნარჩენების სავარაუდო რაოდენობა თვეში 10-10,5 ათ.კუბმ;
ზიდვის საშუალო მანძილი უახლოეს ნაგავსაყრელამდე 42.5 კმ.
მორწყვა-მორეცხვას დაქვებდებარებული ქუჩების ფართი- 140,0 ათ. Kკვმ;
უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მეეზოვის ინსტიტუტის მეშვეობით ეზოების დაგვა-დასუფთავება.
2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 1 იანვრამდე
3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე, 2005 წლის 6-7 ივლისს 11 სთ-დან 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი სარაჯიშვილის გამზირი N1 გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა. Uუცხო ქვეყნის წარმომადგენლობის მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ საკვალიფიუკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
4.საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
4.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობებს სასამართლოდან ადგილმდებერეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
გ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიურ ან სხვა სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

4.2 ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობას შსს-ს საიფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:
ა) ინფორმაციას მომსახურების გაწევისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ.
ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
გ) ცნობას მონაწილის იურიდიული სტატუსის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან).
5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 14 ივლისის 10 საათიდან 15 ივლისის 17 საათამდე,Qშემდეგ მისამართზე: სარაჯიშვილის გამზირი N1 გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა.
სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
7. ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული პირების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების ფასის მიმართ გამოყენებული იქნება პრეფერენციული შეღავათი 15 %-ის ფარგლებში.
8. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება გარანტიის მექანიზმი.
9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნანა ლომჯარია - საბინაო-კომუნალური განყოფილება.

# ზღაპარი, ცოფი, წიგნიბუსი - ჰარმონია

დეისი დაშკოვა

*ყველა ზღაპარი მთავრდებაო, მღერიან მსახიობები, მაგრამ მიხეილ ანთაძის შემოქმედებითი ცხოვრებას თუ თვალს გადაავლებ, ასე არ არის: ზღაპარი გრძელდება. 19 წლიდან იბეჭდებოდა მისი მოთხრობები, შემდეგ რომანებიც, გადაღებული აქვს ფილმები, რომელთაგან თვითონ ორს გამოყოფს: "ოქროს ობობას" და "მთვარის გლობუსს" ლევაშოვ - თუმანიშვილთან ერთად, 1995 წელს ზღაპრის თეატრი დააარსა, თეატრალურ ინსტიტუტში კინორეჟისორთა მეორე თაობას ზრდის და მის ბიოგრაფიაში სიახლეც არის - მალე, ალბათ (ეს სიტყვა თავად მოითხოვა, ჯერ წინ არისო!), ბავშვთა ესთეტიკური განვითარების ცენტრს ჩაუდგება სათავეში.*


გოგიტა ბახაძის ფოტო

გუშინ საბავშვო ქალაქ "მზიურში" ორი პრეზენტაცია ერთდროულად გაიმართა- "ცოფის" და "წიგნიბუსის". ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ სერიით "ყველა დროის საუკეთესო ქართული მცირე რომანი" გამოსცა მიხეილ ანთაძის რომანი "ცოფი". რომანი პირველად 1989 წელს ჟურნალ "მნათობში" დაიბეჭდა. კოტე ჯანდიერი "ცოფზე" დღეს წერს: "საოცარია, მაგრამ ტექსტი თანამედროვე ენით მეტყველებს. რაშია საქმე?... ან იქნებ დრო არ გასულა და "მეტაფიზიკურ ცოფს" აქტუალობა არ დაუკარგავს?" ეს ფაქტია, თუმცა ბორხესის მტკიცების საწინააღმდეგოდ, რომელსაც ნებისმიერი ენა მარადიულზე სალაპარაკოდ გამოუსადეგარად, მხოლოდ დროის განსახიერებად მიაჩნია. ჩვენში, ჯერჯერობით, ისევ "ზმე ჩამოდის", როგორც რომანი იწყება და მკითხველისთვის მას აქტუალობა არ დაუკარგავს.

მიხეილ ანთაძემ სიხარულით აღნიშნა, რომ იმ თვრამეტ წიგნში, რომელიც ამ სერიით გამოიცა, მისი რომანიც მოხვდა. "მიუხედავად ჩემი მრავალფეროვანი მოღვაწეობისა, ჩემთვის მწერლობა მაინც უმთავრესია"- თქვა მან.

მანამ კი ღია ცის ქვეშ მაყურებელ-მსმენელებს მეორე სიახლეც წარუდგინა, თუმცა მხოლოდ სიტყვიერად - "წიგნიბუსი" ტექნიკური მიზეზების გამო "მზიურში" ვერ მოიტანეს, თუ მოიყვანეს. "წიგნიბუსი" "ექსპო-ჯორჯიის" ტერიტორიაზე დგას. ეს პროექტი დააფინანსა "ღია საზოგადოება საქართველომ" და დღეს ლაგოდეხის მოზარდი თაობის წიგნებით მომარაგებას ემსახურება. მოძრავი ბიბლიოთეკის, ან წიგნის მაღაზიის იდეა მსოფლიოში გავრცელებულია, მაგრამ საქართველოში სიახლეა. ეს არის ბიბლიოთეკაც და წიგნის მაღაზიაც. საერთოდ, "წიგნიბუსის" იდეა მიხეილ ანთაძის მეორე "მოძრავი ახირებაა". ათი წლის წინ მან მოძრავი საბავშვო თეატრი დააარსა: "თუ ადამიანი ვერ მიდის თეატრში, თეატრი უნდა მივიდეს მასთან", ამბობს რეჟისორი. შემდეგ თეატრმა ბევრი იმოგზაურა, რა თქმა უნდა, საბავშვო წარმოდგენებით და საქართველოს ყველა მხარეს ესტუმრა. ამ მოძრაობაში "საგინესე" რეკორდიც დაამყარა- 6 სეზონში 40 სპექტაკლი 4 500-ჯერ ითამაშა. "ზღაპრის თეატრის" გმირები გუშინ "მზიურის" სცენაზე საპრეზენტაციო წარმოდგენაში ეხმარებოდნენ თავიანთ ყარაბას-ბარაბასს: მღეროდნენ, ცეკვავდნენ და ბავშვებს და უფრო დიდებსაც ამხიარულებდნენ.

პრეზენტაციაზე ჩემი მეგობრები, ნათესავები, სტუდენტები და მომავალი თანამშრომლები მოვიწვიეო, აღნიშნა "პრეზენტატორმა". ეს ახალი თანამშრომლები რაღაა-მეთქი.თურმე ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ცენტრის გახმაურებული და გამწვავებული საქმე დასასრულს უახლოვდება. დასრულდება იურიდიული პროცესი და მალე ცენტრი ახალი იურიდიული სტატუსით გააგრძელებს ახალგაზრდობასთან მუშაობას, მიხეილ ანთაძემ კი ცენტრის ძველი და ახალი ყოფა ჰარმონიულად უნდა დააბალანსოს. პრეზენტაციაზე მას დაპირისპირებული მხარეები, თანასწორი უფლებებით, მომავალი თანამშრომლების სტატუსით ჰყავდა მოწვეული.

სცენაზე მსახიობებს ანთაძის კინოსახელოსნოს სტუდენტებიც მიეხმარნენ და მხიარული განწყობა არ შენელებულა.

ბატონი მიხეილი ამინდმაც დაინდო - არ გაწვიმებულა და ბევრი ავტოგრაფიც დაარიგა.

*მოკლედ*

## ცისფერი გალერეა წლის ბოლომდე დაიხურება

"სუხიშვილების" 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა ეროვნულ გალერეაში 2005 წელს ბოლო აღმოჩნდა. დღეიდან ეროვნული გალერეა სარემონტო სამუშაოების გამო წლის ბოლომდე დაიხურება. ჯერჯერობით უცნობია, ვინ დააფინანსებს მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს. პირველი ეტაპისთვის კი თანხა კულტურის სამინისტრომ გამოყო. ***"ჯი-ეიჩ-ენი"***

## ევროპული რეკლამის ფესტივალი

"ულტრაჯგუფი" ევროპული რეკლამის ფესტივალს, "ეპიკას დღეები თბილისში", ივლისის დასაწყისში წარმოადგენს. პროექტი თბილისის მერიის პატრონაჟითა და საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება. ფესტივალის ორგანიზატორი "ეპიკა ევორდსის" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, კომპანია "ულტრაჯგუფის" დამფუძნებელი, მიხო ქოჩაკიძეა. ***"ჯი-ეიჩ-ენი"***

## გიგა ლორთქიფანიძე "დონ კიხოტზე" მუშაობს

ახმეტელის თეატრში რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ მიუზიკლზე დაიწყო მუშაობა. "დონ კიხოტის" რეპეტიციები უკვე მიმდინარეობს. მთავარ როლებს მსახიობები: ნუგზარ ყურაშვილი (დონ კიხოტი) და კახა გოგიძე (სანჩო) განასახიერებენ. რეჟისორის თქმით, სპექტაკლზე მუშაობას სავარაუდოდ სეზონის ბოლოს დაასრულებს. სპექტაკლს მაყურებელი სექტემბერში იხილავს. ***"ჯი-ეიჩ-ენი"***

## "კინოტავრი" დასრულდა

სოჭში რუსული კინოს ფესტივალი "კინოტავრი" დასრულდა. პრიზი საუკეთესო რეჟისურისა და სცენარისთვის პავლე ლუნგინის ფილმს "ღარიბ ნათესავებს" გადაეცა. მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისათვის ჟიურიმ პრიზი ორად გაყო და ნიკიტა მიხალკოვსა და კონსტანტინ ხაბენსკის მიანიჭა. პრიზი ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის კი საერთოდ არ გაცემულა. ჟიურის აზრით, წელს მას არცერთი ქალბატონი არ იმსახურებდა. ***"ჯი-ეიჩ-ენი"***





კოკა-კოლას ჯაზფესტივალი

**2 ივლისი**
**ვაკის პარკი**
18:00 – ლემონ ჯუს (საქ.)
19:00 – პაპარაცი (საქ.)
20:00 – გიორგის ჯაზდივიზიონი (საქ.)

**3 ივლისი**
**შერატონ მეტეხი პალასი**
21:00 – ქლაიენტს ფანკ სოსაითი
მოწვეული სტუმარი ფრედა გუდლეთი (შვეიცარია-აშშ)

**4 ივლისი**
ნესკაფე წარმოგიდგენთ
**დიდი საკონცერტო დარბაზი**
20:00 - დეივიდ სენბორნი და ოლსთარ ბენდი (აშშ) გილ გოლდშტეინი, დონ ელაიასი, ტერი-ლინ ქარინგტონი, ქრისთიან მაქბრაიდი.

შერატონ მეტეხი პალასი
23:00 – ჯემსეიშენი: ქლაიენტს ფანკ სოსაითი (შვეიცარია)

**5 ივლისი**
დიდი საკონცერტო დარბაზი
20:00 - შინი (საქ.)
მოწვეული სტუმარი- რენდი ბრეკერი (აშშ)

21:00 - ჯონ სქოფილდის კვარტეტი (აშშ)
მოწვეული სტუმარი- ქრის ფოთერი

**6 ივლისი**
**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ბანკი რესპუბლიკა და ნესკაფე წარმოგიდგენთ
20:00 - ჯორჯ ბენსონი (აშშ)

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლიუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყავლაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge




* ბილეთები გაყიდვაშია 2005 წლის 15 ივლისამდე, ფასებში არ შედის აეროპორტის მოსაკრებელი, ვრცელდება შეზღუდვა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

Maki
Fujitsu-Siemens-ის პრემიერ-პარტნიორი გთავაზობთ
ნოუთბუქებს - 888$-დან
2 წლიანი გარანტიით
AMD Athlon 64
დღგ-ს ჩათვლით!!!
კომპიუტერებს - 298$-დან
15 თვიანი გარანტიით
ტელ.: 921836, 921826 ირაკლი აბაშიძის 24

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24